

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის



# მაცნე

675-ფ  
1975

ფილოსოფიის,  
ფსიქოლოგიის,  
ეკონომიკისა და  
სამართლის სერია

2 · 1975

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის,  
ეკონომიკისა და სამართლის  
სერია

СЕРИЯ  
ФИЛОСОФИИ, ПСИХОЛОГИИ,  
ЭКОНОМИКИ И ПРАВА

12648



თბილისი  
ТБИЛИСИ

2·1975

კ. შატავის სსრ სსრ  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა  
ბი ბიბლიოთეკა



ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა : ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),  
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი,  
გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (редактор),  
Бочоришвили А. Т., Григолава В. В. (зам. редактора), Гугушвили П. В.,  
Тевзадзе Г. Б., Микеладзе И. С., Прангишвили А. С., Церетели Т. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ბოჭორაძე  
Ответственный секретарь Г. Г. Бочорадзе

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., № 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46 телефон

---

ზელმოწერილია დასაბეჭდად 11.6.1975; შუკვ. № 1046; ანაწყოების ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>;

ქაღალდის ზომა 7×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 22.40; სააღრიცხვო-საგამომცემლო

თაბახი 13.08; უე 01943; ტირაჟი 600

ფასი 1 მან.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19

Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

=

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა. თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19

Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

•

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ფილოსოფია

ბ. გამყრელიძე, საზოგადოების ეკოლოგიური გარემოცვისა და სოციალური სტრუქტურის ურთიერთქმედება	5
ბ. ასანდიძე, ოთხფასა ლოგიკის დროითი ინტერპრეტაცია	15
ე. ჯაველიძე, ჯეღალ ედ-დინ რუმის კოსმოლოგია	30
ნ. ზაზაშვილი, კულტურის სტრუქტურა და ფასეულობათა იერარქია	52

### ფსიქოლოგია

ნ. ქობინაშვილი, განწყობის ფიქსაცია განსხვავებული სიგრძის ხაზების ხაზვისას	76
---	----

### ეკონომიკა

ნ. იაშვილი, ბუნების დაცვა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემა	88
ა. ზრებვაძე, საქართველოს სსრ საკონსერვო მრეწველობა (1921—1970 წწ.)	112
ლ. კაციტაძე, XVII—XVIII საუკუნეების შხითვის წიგნები, როგორც წყარო ირანის ქალაქების ისტორიისათვის	126
პ. ბაბუჩიანი, ინგლისის რეგიონალური სავალუტო ქვეყნონის შესუსტება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ	139

### სამართალი

ი. სურგულაძე, „კელმწიფის კარის გარიგების“ ერთი ტერმინის გამო	148
--	-----

### პრინტიკა და ბიბლიოგრაფია

ბ. ცინცაძე, ახალი წიგნი პრაქტიკისა და შემეცნების შესახებ	155
--	-----

## СОДЕРЖАНИЕ

### ФИЛОСОФИЯ

Г. А. ГАМКРЕЛИДЗЕ, Взаимодействие социальной структуры и экологической среды общества . . . . .	5
З. АСАНИДЗЕ, Временная интерпретация четырехзначной логики . . . . .	15
Э. Д. ДЖАВЕЛИДЗЕ, Космология Джелал ед-дина Руми . . . . .	30
Н. З. ЧАВЧАВАДЗЕ, Структура культуры и иерархия ценностей . . . . .	52

### ПСИХОЛОГИЯ

Н. КОЧИАШВИЛИ, Фиксация установки при черчении линии различной длины	76
--	----

### ЭКОНОМИКА

Н. ИАШБИЛИ, Защита природы наиболее значительная проблема современности	88
А. БРЕГВАДЗЕ, Консервная промышленность Грузинской ССР (1921—1970 гг.)	112
Д. В. КАЦИТАДЗЕ, Книги о приданом XVII—XVIII вв; как источник по истории городов Ирана . . . . .	126
Я. ГАБУЧЬЯН, Ослабление региональной валютной гегемонии Англии второй мировой войны . . . . .	139

### ПРАВО

Ив. СУРГУЛАДЗЕ, Об одном термине из «Распорядка царского двора» . . . . .	148
---	-----

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. В. ЦИЦЦАДЗЕ, Новая книга о практике и познании . . . . .	155
---	-----

## ფილოსოფია

### ბ. გამყრელიძე


### საზოგადოების ეკოლოგიური გარემოცვისა და სოციალური სტრუქტურის ურთიერთქმედება

კაცობრიობის განვითარების ისტორია მისი ბრძოლის ისტორიაა ამა თუ იმ ეკოლოგიური საკითხების გადაჭრისათვის. ადამიანთა საზოგადოების ბუნების სტიქიური ძალებისაგან თავდაცვის პრობლემების გადაჭრა, ბუნებრივი რესურსების გამოყენება, გარემოცვის გარდაქმნა საკუთარი მიზნებისათვის — კაცობრიობის შემოქმედებითი აზრის უფლისშემძლეობის დამამტკიცებელი იყო. ამავე დროს, თანამედროვე ეტაპზე ადამიანი იძულებულია თავი დაიცვას არა იმდენად ბუნებრივი ძალების სტიქიური შედეგებისაგან, არამედ თავისი მოქმედების ეკოლოგიური შედეგებისაგანაც. თუ ადრე ადამიანის წინაშე ბუნებრივი რესურსების საკუთარი მიზნებისათვის გამოყენების პრობლემა იდგა, ამჟერად საკითხი დგას იმის შესახებაც, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ადამიანთა რესურსები და მცნიერული აზროვნება ისე, რომ არა მარტო არ გამოვფიტოთ, არამედ გამოვიყენოთ, გავამრავლოთ ბუნებრივი სიმდიდრე და აღვადგინოთ მისი რესურსები.

თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემების (გაუქუყიანება, ბუნებრივი რესურსების გამოფიტვა, გარემოცვის გაუარესებისაკენ შეცვლა) გადაწყვეტა შეუძლებელია ადამიანის აქტიური ჩარევისა და ერთიანი სახელმწიფო თუ სოციალური პოლიტიკის გარეშე. მაგრამ ადამიანის აქტიური ჩარევა შეუძლებელია იმის ცოდნის გარეშე, თუ რა ცვლილებები ხდება ადამიანის სოციალურ მოქმედებაში და, აქედან გამომდინარე, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში გარემოცვის გაუარესებისკენ ან გაუმჯობესებისკენ ცვლილებისას.

დავადგინოთ რა ზოგიერთ განზოგადებულ ფაქტს მწკრივში: გარემოცვის გაუარესება — ადამიანის სოციალური მოქმედებისა და მდგომარეობის შეცვლა — სოციალური სტრუქტურის ცვლილება — შეიძლება დავამყაროთ ადამიანისათვის და გარემოსთვის სასურველი მმართველი უკუკავშირი: სოციალური სტრუქტურის ცვლილება — ადამიანის სოციალური მოქმედებისა და პოზიციის შეცვლა — გარემოს გაუმჯობესება.

ნაშრომის მიზანია ზოგიერთი განზოგადებული თეორიული ფაქტის დადგენა სოციალური სტრუქტურის მართვის საშუალებით გარემოცვის გაუმჯობესების პროცესისა. ამისათვის საჭიროა დავამყაროთ კავშირი წარმოების წესსა, ეკოლოგიურ გარემოცვასა და სოციალურ სტრუქტურას შორის. ამ კავშირის დადგენის ამოცანა შეიძლება კიდევ ასე ჩამოვყალიბოთ: თუ განსაზღვრულ წარმოების წესს მივყავართ განსაზღვრულ სოციალურ სტრუქტურამდე და საზოგადოებისა და გარემოცვის ურთიერთობის განსაზღვრულ წესსამდე, ხოლო აქედან — განსაზღვრულ ეკოლოგიურ გარემოცვამდე, ხომ არ მივყავართ მასამდე დროს სოციალური სტრუქტურისა და ეკოლოგიური გარემოცვის განსაზღვრული ურთიერთქმედების წესსამდე?



თუ არსებობს A და B, არსებობს თუ არა C ან, უფრო კონკრეტულად, როგორი იქნება C იმისდა მიხედვით, თუ როგორია A და B. ამრიგად, სოციალურ სტრუქტურასა და ეკოლოგიურ გარემოცვას შორის კავშირის გაგებისათვის აუცილებელია წარმოების წესებს შორის მეთოდოლოგიური განცალკევება.

აქ განიხილება სოციალური სტრუქტურისა და ეკოლოგიური გარემოცვის ურთიერთკავშირის მხოლოდ სტატიკური ახსნა, ისეთი ორი საწინააღმდეგო წარმოების წესის მაგალითზე, როგორცაა კაპიტალისტური და სოციალისტური წარმოების წესები.

სოციალური სტრუქტურისა და ეკოლოგიური გარემოცვის ურთიერთქმედების კავშირის დინამიკური ახსნა მოიცავს სოციალური სტრუქტურის ეკონომიურ-ფორმაციული განვითარების პროცესის ურთიერთქმედებას ეკოლოგიურ გარემოცვასთან. ასეთი ახსნა უკვე სცილდება სისტემის — სოციალური სტრუქტურა — ეკოლოგიური გარემო — ფარგლებს და მოითხოვს ახსნისათვის სხვა ქვესისტემების ჩართვას: მოსახლეობა (პოპულაცია), ტექნიკა (ტექნოსფერო) და უფრო პასუხობს კითხვაზე: თუ რატომ მიმდინარეობს სოციალური სტრუქტურის საზოგადოებრივი განვითარების პროცესის ურთიერთქმედება ეკოლოგიურ გარემოცვასთან გარკვეული წესით. ჩვენი მიზანი კი ის არის, რომ აღვწეროთ სოციალური სტრუქტურისა და გარემოცვის ურთიერთქმედების კავშირი უფრო შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემით: თუ როგორ ხდება ეს ურთიერთქმედება მოსახლეობის და ტექნიკის განვითარების პროცესების მუდმივი მნიშვნელობის დროს. ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის შეიძლება სხვადასხვა გზა ამოვიჩიოთ. მაგალითად, დავამყაროთ კავშირი სოციალურ სტრუქტურასა და ეკოლოგიურ გარემოცვას შორის საზოგადოების ეკონომიური ქვესისტემით (როგორ მოქმედებს საერთო შემოსავლის პროპორციულობა გარემოცვაზე?) ან მოსახლეობის ცნების საშუალებით (როგორ არის განაწილებული მოსახლეობა სოციალურ-ეკონომიური მახასიათებლების მიხედვით ეკოლოგიურ გარემოცვაში?) ან ღირებულებათა სისტემის საშუალებით (როგორ არიან სოციალური სტრუქტურის სხვადასხვა ნაწილები ღირებულებულად ორიენტირებული გარემოცვაზე?) და ა. შ.

ჩვენ განვიხილავთ ეკოლოგიური გარემოცვისა და სოციალური სტრუქტურის ურთიერთკავშირის ქცევითი (ბივევიორისტული) ასპექტით. ასეთი მიდგომის დროს სოციალური სტრუქტურისა და ეკოლოგიური გარემოცვის ურთიერთქმედების კავშირის ახსნის ერთეულს ცალკეული პიროვნების, ჯგუფის, ან გარკვეული სოციალური ფენის ეკოლოგიური ქცევა წარმოადგენს.

გარკვეული ეკოლოგიური გარემო ან ცვლილებანი მასში, შეიძლება იწვევდეს ადამიანში სხვადასხვა ქცევებს; ამისდა მიხედვით ადამიანი ეგუება (ადაპტაცია) მას, იყენებს თავისი მიზნებისათვის, თუ გარემოსა და მასში მომზადარი ცვლილებების ინტერნალიზაციას (მე-ს კონცეფციაში გარემოსახვა) ახდენს თავის ღირებულებითს სისტემაში. გარეშე ჯგუფური ცოდნა (სოცია-



ლური, კოგნიტიური, ემოციური) და ინდივიდის სოციალური პოზიცია განსაზღვრავენ მის მოტივაციას და მიყავთ იგი გადაწყვეტილებათა მიღებამდე. ამრიგად ხორციელდება ეკოლოგიური აქტივობა: 1. თუ ადგილა ჰქონდა ადაპტაციას, ასეთი აქტივობა წინასწარგანუზრახველ ხასიათს ატარებს; 2. თუ ადგილი ჰქონდა გარემოს უტილიზაციას საკუთარი მიზნებისათვის, მაშინ ასეთი აქტივობა წინასწარგანუზრახულ ხასიათს ატარებს; 3. ხოლო თუ ადგილი ჰქონდა კონსუმაციას, მაშინ ეკოლოგიური აქტივობა უფრო სოციალური მნიშვნელობის მატარებელია და წარმოადგენს უკვე სოციალური აქტივობის მეტაბოლურ პროდუქტს.

ეკოლოგიური აქტივობის ეკოლოგიური შედეგები გარემოზე შესაბამისად იწვევენ ან დისტრუქციას, ან-მის ცვლილებას გაუმჯობესების ან გაუარესებისკენ (იმის მიხედვით, თუ რა მიზნისთვის იქნა გამოყენებული გარემო), ან გარკვეულ ფიქსირებულ ღირებულებითს ორიენტაციას პიროვნებისას, — ეკოლოგიურ გარემოცვასთან.

კერძო საკუთრების ინსტიტუტის პირობებში მეწარმისათვის (სოციალური პოზიცია) ტბა საკუთარი ეკონომიკური მიზნების განხორციელების საშუალებას — ტექნოლოგიური პროცესის ნარჩენების გადასაყრელ ადგილს — წარმოადგენს (გარემოს უტილიზაცია). ამ აქტივობის შესაბამისი ღირებულებითი ორიენტაცია გარემოს ექსპლოატაციისაკენ არის მიმართული. გარეშე გვეფუფი ცოდნა (სოციალური, კოგნიტიური, ემოციური)<sup>1</sup>. ამ ღირებულებითი ორიენტაციის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია. ტბის ნარჩენებით გაჭუჭყიანება იწვევს შესაბამის შეცვლას ტბის გარშემო მცხოვრები მოსახლეობის (სხვადასხვა სოციალური პოზიციები) ყოველდღიურ და რეკრეაციულ (დასვენება) აქტივობაში. მაგალითად: რეკრეაციისათვის მოსახლეობა იძულებული ხდება გაემგზავროს სხვა ადგილებში. ასეთი აქტივობა საბოლოო ჯამში იწვევს მოთხოვნილებას ტრანსპორტის საშუალებებზე, ამ საშუალებებში კაპიტალდაბანდებას, ხოლო ტრანსპორტის განვითარება იწვევს პაერისა და გარემოს დამატებითს გაჭუჭყიანებას. გაჭუჭყიანებულ გარემოში ცხოვრება იწვევს კონსუმაციის (სოციალური განწყობის ჩამოყალიბება) გზით ღირებულებათა სისტემაში, ერთი მხრივ, თვითდაუკმაყოფილებას, მეორე მხრივ, ისეთ სოციალურ აქტივობას, რომელიც მიმართულია მეწარმეთა მტაცებლური დამოკიდებულების წინააღმდეგ გარემოსთან. კლასობრივი და სოციალური ბრძოლა გარემოს გაუმჯობესებისათვის უკვე სოციალური აქტივობის ნიშნების მატარებელია და ეკოლოგიური ქცევა ასეთი სოციალური აქტივობის მეტაბოლური (ნაშთობრივი) პროდუქტია.

ახორციელებს რა თავის ეკოლოგიურ ქცევას, ინდივიდი ახორციელებს მას როგორც სოციალურ აქტივობას. ამრიგად საჩვენებელია, რომ სოციალურად იმპლიცირებული ეკოლოგიური ქცევა იწვევს სოციალურ სტრუქტურაში ცვლილებებს და ეს ცვლილებები შემდგომ გავლენას ახდენს გარემოზე. მცირე ცვლილებები გარემოცვაში ადამიანის სოციალური ქცევების საშუალებით, რომელიც ეკოლოგიურ მნიშვნელობას ატარებს, ინტეგრირდება სო-

<sup>1</sup> სოციალურ-ფსიქოლოგიური ცდების დროს მენაჯერებს და საქმიანი წრის წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება შეეფასებინათ სხვადასხვა ლანდშაფტები. შეფასების შედეგებმა აჩვენეს, რომ ისინი დადებით ემოციურ შეფასებებს ისეთ ლანდშაფტებს აძლევენ, სადაც ბუნების ფონზე საწარმოო ობიექტები მოჩანს.



ციალური სტრუქტურის „სტრატეფიკაციულ“ სისტემაში და ამ სისტემის შუალეობით შემდგომ ვაგლენას ახდენენ ადამიანის სოციალურ ქცევასა და პოზიციაზე, რომელთა შეცვლა ისევ გარემოცვის ფიზიკურ მახასიათებლებზე მოქმედებს.

სისტემა: ეკოლოგიური გარემოცვა — ადამიანი — სოციალური სტრუქტურა — ჩაკეტილი სისტემაა და მას განვითარების თავისი სისტემური პრინციპი აქვს. ამიტომ უმართებულო იქნებოდა ამ სისტემაში მხოლოდ ცალმხრივი კავშირების კვლევა, როგორცაა: გარემო — ადამიანი, გარემო — სოციალური სტრუქტურა ან, პირიქით, სოციალური სტრუქტურა — გარემო და ადამიანი — გარემო. ასეთი კერძო კავშირების კვლევა მეთოდოლოგიურად მაშინ იქნება გამართლებული, როდესაც დაყრდნობილი იქნება სოციალური სტრუქტურისა და გარემოს ურთიერთქმედების ზოგად, ჩაკეტილ სისტემურ პრინციპზე.

აქამდე „ეკოლოგიური გარემოს“, „ეკოლოგიური ქცევის“ და „სოციალური სტრუქტურის“ ცნებებს ვხმარობდით მათი ზოგადი მნიშვნელობით. ახლა მიზანშეწონილი და აუცილებელიცაა, ამ ცნებებს მივცეთ ისეთი მნიშვნელობები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება ზოგადსისტემური კავშირების გაგება გარემოცვისა და სოციალურ სტრუქტურას შორის.

ეკოლოგიურ გარემოში იგულისხმება ადამიანის ირგვლივ მყოფი ისეთი ფიზიკური, ბიოლოგიური და აბიოტიკური ფაქტორების ერთიანობა, რომლებიც იწვევენ ეკოლოგიურად ღირებულ ქცევას. გარემოცვის ასეთი „ბიპევიორისტული“ განმარტების შედეგად შესაძლებელი ხდება ისეთი განუსაზღვრელი ცნების განმარტება, როგორცაა „ადამიანის გარემო“ — ისეთი განსაზღვრული (და გასაზომი) ცნებით, როგორცაა ადამიანის ქცევა. ასეთი განმარტების შედეგად გარემოცვა არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს ამ გარემოთი გამოწვეული ესა თუ ის ეკოლოგიური ქცევა. მაგალითად, ჰაერის გაჭუჭყიანების მცირე კონცენტრაციები არაღირებულია ადამიანისთვის და თავის ქცევითს აქტებში ადამიანი ასეთ გარემოს არ იღებს მხედველობაში; ამავე დროს გარკვეულმა კონცენტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს „ეკოლოგიური ქცევის“ რამდენიმე ტიპი ერთდროულად.

განსაზღვრით ახლა ეკოლოგიური ქცევის ცნება: ადამიანი იქცევა ეკოლოგიურად, ნიშნავს, რომ მისი ქცევა მიმართულია გარკვეული სახით გარემოცვის მიმართ, ეს აღიქვამს მას, ახდენს რეაგირებას, იბრძვის მისთვის საჭირო და სასურველი გარემოცვისათვის. ეკოლოგიური ქცევა არსებობს იმდენად, რამდენადაც გარემოცვის ფიზიკური ფაქტორები შეიძლება იქცნენ სოციალურ ფაქტორებად და ფაქტებად. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი თავის გარემოცვას აღიქვამს ღირებულებითი სისტემის და მოტივაციური განწყობების საშუალებით. ეკოლოგიური ქცევა ატარებს ორ განსაზღვრელს: იგი შესაძლებელია, ერთი მხრივ, თუ

2 ასეთი მიდგომა ძირითადად სოციალური გეოგრაფიის, ბურჟუაზიული სოციოლოგიური თეორიების (ადამიანის ეკოლოგია, ქალაქის სოციოლოგია და სხვ.) და სხედასხვა სახის ნაშრომებს ახასიათებს, რომელთა მიზანია საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთქმედების აღწერა.

3 ამ კონცენტრაციის სიდიდე პიროვნების ღირებულებებითი სისტემის, სოციალური პოზიციის და სხვა სოც. მახასიათებლების ფუნქციაა.

ფიზიკური გარემო ნიშნადია და ეს მნიშვნელობა ატარებს სოციალურ გარემოს ხასიათს; მეორე მხრივ, ადამიანი თავის ეკოლოგიურ ქცევას ახორციელებს სოციალურ კონტექსტში. იგი სწავლობს გარემოსთან ან გარემოსთვის სასარგებლო ან საზიანო მოპყრობას. ეს ელემენტარული ქცევითი აქტები ინტეგრალდებიან სოციალურ სტრუქტურაში და მას შემდეგ, რაც ეკოლოგიური ქცევის პროდუქტები დაწესდებიან, ადამიანის ცნობიერებასა და საზოგადოების სოციალურ ცნობიერებაში თვითონ ხდებიან ქცევითი პროცესის მიმმართველები (განმსაზღვრელები). ხშირად ამბობენ: „ავტომობილი ავტუჟიანებს გარემოცვას“, „ტურიზმი უარყოფითად მოქმედებს გარემოცვაზე“, ან „ქარხნის მიერ გამოშვებულმა ნარჩენებმა გააუჟიჟიანეს გარემო“, — ცხადია, სოციოლოგი ვერ აყვება ყოველდღიური ენის ამგვარ გამოთქმებს, მისთვის მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, ის კონკრეტული სოციალური ად-მოანები, რომელთა ქცევების ჯამი იწვევს ასეთ შედეგებს; ადამიანები. რაიმეც არა გარემოცვაზე ან საკუთარ ღირებულებებზე არიან ორიენტირებულნი, არამედ უპირველეს ყოვლისა იმაზე, რომ დაიცვან ჯგუფური, სოციალური, კლასობრივი ნორმები და ღირებულებები. კაპიტალისტურ საზოგადოებაში დიდი, ძვირი ავტომობილის შეძენა ადამიანის მიერ არა რაიმე საკუთარი ეკოლოგიური ორიენტაციის<sup>4</sup> შედეგია გარემოცვასთან, არამედ კლასობრივი და სოციალური სტატუსის განმამტკიცებელი, სოციალური მოტივაციის მიზეზია. თუ ტურისტული ჯგუფის ერთი წევრი დაიწყებს ლაშქრობის ნარჩენების გადაყრას, რათა მათ ზიანი არ მოუტანონ ბუნებას, მან შეიძლება გამოიწვიოს ამხანაგთა უკმაყოფილება და დაკინვა. ამრიგად, ეკოლოგიური ქცევა მთლიანად განისაზღვრება პიროვნების პოზიციით სოციალურ სტრუქტურაში და ამ ქცევის სოციალური კონტექსტით.

აღსანიშნავია, რომ სოციალური სტრუქტურის მარქსისტული გაგება — როგორც ეკონომიური ფორმაციის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების კლასების, სოციალური ფენების და ჯგუფების მყარი ერთობლივი ურთიერთკავშირისა, რომელიც დამოკიდებულია ამ ნაწილების ადგილზე საზოგადოებრივ წარმოებაში და განსაზღვრავს მათს ურთიერთდამოკიდებულებას საზოგადოებრივი პროდუქტის მითვისებაში — „ეკოლოგიური ქცევის“ საზოგადოებრივ-ფორმაციური განსაზღვრის საშუალებას იძლევა: ადამიანის „ეკოლოგიური ქცევა“ — ეს უპირველეს ყოვლისა ის ქცევაა, რომელსაც კარნახობს მას მისი ადგილი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების სისტემაში. კაპიტალისტისათვის მომგებიანია გარემოს გაუჟიჟიანება, რადგანაც ის არ იხდის საზოგადოებრივი საკუთრების, ჰაერის, წყლის გაუჟიჟიანების ფასს. გაუჟიჟიანების „სოციალურ ფასებს“ იხდის მშრომელები და, უპირველეს ყოვლისა, მეშები. მეწარმეებს საზოგადოებრივი წარმოების სისტემაში დამკვიდრებული ადგილი საშუალებას აძლევს, დაუსჯელად მოიხმარონ და გაუარესონ გარემო თავის სასარგებლოდ და მიადწიონ ეკონომიურ სიძლიერეს. ამავე დროს მშრომელები იძულებული არიან გადაიხადონ გაუჟიჟიანების „სოციალური ფასები“<sup>5</sup> და თავიანთი რეალური ხელფასის შემცირების ხარჯზე თავი დაიცვან გარემოცვის გაუარესების შედეგებისაგან.

<sup>4</sup> კაპიტალისტურ საზოგადოებაში ავტომობილი ერთ-ერთი საშუალებაა მათი მფლობელებისთვის, გააღწიონ ქალაქის ცენტრში გაუჟიჟიანებული ჰაერით სუნთქვის საშიშროებას.

<sup>5</sup> გაუჟიჟიანებით გამოწვეული ავადმყოფობების მურხალობა, „ასენტიზმი“ (სამუშაოს გაცდენა) და დაგვიანება, რაც იწვევს, სამუშაო დღეთა შემცირებასთან ერთად, ხელფასის შემცირებას.



ამრიგად, გარკვეული (კერძოდ, ანტაგონისტური) წარმოების წესში ადამიანის ეკოლოგიური ქცევა გარემოს გაუარესების პროცესთან შესაგუებლად იწვევს სოციალური სტრუქტურის განმტკიცებას და მისი წინააღმდეგობების შემდგომ გამწვავებას.

განვსაზღვროთ ეკოლოგიური ქცევის ტიპები, რომლებიც იწვევენ სოციალური სტრუქტურის განმტკიცებას კაპიტალისტურ საზოგადოებაში. იმი-სათვის, რომ ადამიანმა მიაღწიოს წონასწორობას ფიზიკურ გარემოში მომხ-დარ ცვლილებებსა (გაჰუჰყიანება, ბუნებრივი რესურსების გამოფიტვა, გა-რემოს გაუარესება) და მის სოციალურ პოზიციას, სტატუსს შორის, ადამი-ანმა შეიძლება განახორციელოს შემდეგი ეკოლოგიური ქცევები:

1. გადავიდეს ახალ ეკონომიურ გარემოცვაში, რომელიც თუმცა ატა-რებს სასურველ ხასიათს, მაგრამ სხვა საჭირო მახასიათებლების ნაკლებობის ხარჯზე — ტერიტორიული ლოკაცია, — ძირითადი ადაპტაციის დონე;

2. გამოიკვალა სამუშაოს ადგილი, სამუშაო ან საქმიანობა — სოციალუ-რ: ლოკაცია — „ვერტიკალურად“ და „ორიზონტალურად“, — კონსუმი-ციის დონე;

3. შეცვალოს გარემოცვის ეკოლოგიური მახასიათებლების ნაკლებობა გარემოსთან ახალი ტიპის ურთიერთობების დამყარებით — ღირებულებათა სისტემის ცვლილება — ღირებულებითი ორიენტაცია;

4. გადაიხადოს ფული გარემოს სასურველი მახასიათებლების მოხმარე-ბისათვის (გარემოს გამოყენება საკუთარი მიზნებისათვის);

5. გადაიხადოს ფული და შეიძინოს საკუთარ მფლობელობაში ან არენ-დით სასურველი ეკოლოგიური გარემო (გარემოს გამოყენება საკუთარი მიზ-ნებისათვის).

1-ლი ტიპის ეკოლოგიური ქცევების ამორჩევა ადამიანთა მიერ — გადა-სახლება სასურველ გარემოცვაში, მაგრამ სხვა საჭირო მახასიათებლების ნაკლებობის ხარჯზე იწვევს სოციალური სტრუქტურის და ეკოლოგიური გარემოცვის სტატისტიკურ-ეკოლოგიურ ურთიერთქმედებას. ამ ურთიერ-ქმედების შედეგად მიიღება სოციალური სტრუქტურის განაწილება ეკოლო-გიურ გარემოცვაში ადამიანთა თვისებრივი (განათლება, პროფესია, დემო-გრაფიული მახასიათებლები და ა. შ.) და რაოდენობრივი განსახლებით. ანტა-გონისტური სოციალური სტრუქტურის ურთიერთქმედება გარემოსთან იწვევს ადამიანთა განსახლებას „ანტაგონისტურ“ გარემოცვებში. ამერიკაში მო-სახლეობის შექმნეული ნაწილი ცხოვრობს ეკოლოგიურად ზელშემწყობ პი-რობებში — ქალაქგარეთ, ხოლო მოსახლეობის ღარიბი ნაწილი და ეთნიკური უმცირესობანი პირველთა ავტომობილების მიერ გაჰუჰყიანებულ გარემოში — ქალაქის ცენტრში, გეტოებში და ჯურღმულებში.

შე-2 ტიპის ეკოლოგიური ქცევის განხორციელება — სამუშაო ადგილის, საქმიანობის ან სამუშაოს გამოცვლა-დამოკიდებულება ადამიანის სოციალურ პოზიციაზე საზოგადოებაში, ამ პოზიციის შეცვლის შესაძლებლობისაგან. ადამიანი, რომელიც ემყოფილი არ არის თავისი გარემოთი, ცდილობს გა-მოიკვალოს, გაიუმჯობესოს სოციალური პოზიცია, რითაც ანტაგონისტურ საზოგადოებაში მიეცემა საშუალება გამოიკვალოს გარემო. ასეთი ქცევების საერთო სისტემური ჯამი იძლევა სოციალური სტრუქტურისა და ეკოლოგიუ-რი გარემოს სოციალურ-სისტემურ ურთიერთქმედების წესს, რომელიც თა-

ვის მხრივ განსაზღვრავს ეკოლოგიურ ქცევას როგორც სოციალური რბილს შესრულების პროცესის ნაწილს<sup>6</sup>. ეკოლოგიური ქცევა დამორჩილებულია სხვადასხვა სოციალურ ქცევებს, წარმოადგენს საშუალებას სოციალური მიზნების შესრულებისათვის. პიროვნებაში ძირითადად მიმდინარეობს გარემოსთან კონსუმაციური ქმედების აქტივობა, — შესაბამისი ეკოლოგიური აქტივობა სოციალური აქტივობის მეტაბოლური პროდუქტია.

მე-3 ტიპის ეკოლოგიური ქცევის განხორციელება — გარემოსთან ახალი ტიპის ურთიერთობის დამყარება — იწვევს გარკვეული „ცხოვრების ტიპის“ ჩამოყალიბებას ან ამ ტიპის შეცვლას. მაგალითად, თუ ადამიანი ცხოვრობს გაქუქვიანებული ტიპის გვერდით და არ შეუძლია რეკრეაციისთვის მიმართოს თევზაობას ან ბანაობას, იძულებული იქნება რეკრეაციისთვის მიმართოს ან ახლო მყოფ ტყეს ან შესაძლებელ სოციალურ ინსტიტუტებსა (კაფე, კინო და სხვ.) ასეთი ქცევების ინტეგრალური ჯამი იძლევა სოციალური სტრუქტურისა და ეკოლოგიური გარემოცვის ურთიერთკავშირის სოციალურ-ეკოლოგიურ წესს. პიროვნების ეკოლოგიური ქცევა განიხილება როგორც ადამიანის სოციალურ ღირებულებათა და ქცევების ნიმუშების მიმართება გარემოსთან. ადამიანს უყალიბდება გარკვეული ქცევითი და ღირებულებითი ორიენტაცია გარემოსთან.

მე-4 და მე-5 ტიპის ქცევების განხორციელება ეკონომიური ანტაგონისტური უთანასწორობის პირობებში შესაძლებელია მხოლოდ მდიდარი ადამიანებისათვის. კაპიტალისტურ საზოგადოებაში მდიდარს მეტი შესაძლებლობა აქვს დაიცვას თავი გარემოცვის გაუარესების მავნე გავლენისაგან, ის ცხოვრობს ქალაქგარეთ და მეტი საშუალება აქვს ტურიზმისა და რეკრეაციისა ვიდრე ღარიბს<sup>7</sup>. ეს იწვევს ღარიბთა და მდიდართა შემდგომ განცალკევება-დამორებას სოციალური იერარქიის კიბეზე. ასეთი ქცევების სისტემური ჯამი სოციალური სტრუქტურისა და ეკოლოგიური გარემოცვის ურთიერთქმედების სტრუქტურულ წესს იძლევა, რომელიც ადამიანთა ეკოლოგიურ ქცევას განსაზღვრავს როგორც სოციალური სტრუქტურის „ვერტიკალური“ და „ჰორიზონტალური“ იერარქიის შედეგს.

ამრიგად, ინდივიდები მიილტვიან რა თავიანთი მიზნებისაკენ, ირჩევენ სოციალური სტრუქტურით განსაზღვრულ ეკოლოგიურ ქცევას, რითაც წარმოშობენ სოციალური სტრუქტურისა და ეკოლოგიური გარემოცვის ურთიერთქმედების გარკვეულ წესებს (სტრუქტურულს, სტატისტიკო-ეკოლოგიურს, სისტემო-სოციალურს და სოციალურ-ეკოლოგიურს).

ამ წესების ცალკეული ან ერთობლივი მოქმედების შედეგად, სოციალური სტრუქტურა ინარჩუნებს ფორმას, გარემოცვა იცვლება გაუარესებისაკენ, ხოლო გარემოცვის გაუარესება თავისთავად იწვევს სოციალური სტრუქტურის შემდგომ განმტკიცებას.

6 თუ ადამიანი მოხვდა ისეთ გარემოში, რომელიც არ შეეფერება მის სტატუსს, სოციალურ როლს, იგი შეეცდება ცხოვრების დონის შემცირების ხარჯზე კი შეიცვალოს გარემო.

7 ზ. ზ. ტ-ს კონცენტრაცია ამერიკის ღარიბთა და ფერადკანიანთა სხეულში რამდენჯერმე მეტია, ვიდრე შეძლებულ და თეთრი მოსახლეობის ნაწილში. პაერის გაქუქვიანების ძირითად სიმძიმეს ღარიბი და ფერადკანიანი მოსახლეობა იტანს. სოფლის მეურნეობისა და ენერგეტიკული რესურსების ნაკლებობა ძირითადად ღარიბი მოსახლეობის ხარჯზე გადადის.

ამ დებულებიდან შეიძლება ზოგიერთი კერძო დასკვნის გამოყვანა (კერძოდ: კულტურების პირობებში); 1. გარემოცვის გაუარესება ამწვაებს ადამიანთა შორის უთანასწორობას; 2. ამ უთანასწორობის გამწვავება პირდაპირპრობორციულია გარემოს გაუარესებამდე არსებული უთანასწორობისა და ამ გაუარესების ხარისხისა.

კაპიტალისტური წარმოების წესის დროს სოციალური სტრუქტურისა და ეკოლოგიური გარემოცვის ურთიერთქმედების სტრუქტურული წესი იწვევს საზოგადოების ვერტიკალურ ქრილში — „სოციალური დისტანციების“, ხოლო პორიზონტალურ ქრილში — „ფიზიკური დისტანციების“ გადიდებას. სოციალურ-ეკოლოგიური წესი სოციალური სტრუქტურის ქმედებისა გარემოცვასთან იწვევს განსხვავებული „ცხოვრების ტიპების“ ჩამოყალიბებას და მათს ანტაგონისტურ განსხვავებას ერთმანეთისაგან, რაც ღირებულებათა სისტემათა და სოციალური ჯგუფების ცნობიერებათა შემდგომ დაპირისპირებას იწვევს.

ცხადია, რომ კაპიტალისტური წარმოების პირობებში ეკოლოგიური პრობლემების ისეთი გადაჭრა, რომელიც მხედველობაში არ იღებს სოციალურ სტრუქტურის წინააღმდეგობებს და ცდილობს გადაჭრას ეს პრობლემები მოსახლეობის ზრდის შემცირებით, ეკონომიური სტაგნაციით ან ახალი ეკოლოგიური ცნობიერებისა და განათლების გავრცელებით — შეუძლებელია და მხოლოდ ბურჟუაზიული სოციალური აზრის მიერ ამ პრობლემების პრაგმატისტული და იდეოლოგიური გადაჭრის ცდებთან გვაქვს საქმე.

თანამედროვე კაპიტალისტურ რმა საზოგადოებაში მიაღწია სტადიას, როდესაც ნებისმიერი ცვლილებანი გარემოცვაში მიუხედავად იმისა თუ გარემოს გაუმჯობესებისა ან გაუარესებისკენ იქნებიან მიმართული, გამოიწვევენ შემდგომ უთანასწორობას ადამიანებს, ჯგუფებსა და კლასებს შორის.

განსხვავებით კაპიტალისტური საზოგადოებისაგან, სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოების ძირითადი მიზანია მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, საზოგადოების წევრთა კეთილდღეობა და ყოველმხრივი განვითარება, ამიტომაც თანამედროვე სოციალისტური საზოგადოებისათვის არა მარტო ადამიანთა ცხოვრების სოციალურ პირობებს აქვს მნიშვნელობა, არამედ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიურსაც: „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი შეხამებული უნდა იყოს ბუნებისა და მისი რესურსებისადმი სათუთ დამოკიდებულებასთან, ხელს უწყობდეს მშრომელთა ცხოვრებისა და ჯანმრთელობის, მუშაობისა და დასვენების უფრო ხელშემწყობი პირობების შექმნას“<sup>8</sup>.

ეკოლოგიური გარემოცვის ხარისხის შესაფასებლად აუცილებელია გამოყენებული იქნას არა მარტო ფიზიკური ფაქტორები, არამედ, უპირველეს

<sup>8</sup> ინტერესების კლასობრივი წინააღმდეგობების პირობებში, გარემოცვის გაუმჯობესება ყოველთვის ემსახურება ერთი ჯგუფის ინტერესებს და ეს გაუმჯობესება ხდება სხვა ჯგუფების ინტერესების დარღვივის და ექსპლოატაციის ხარჯზე.

<sup>9</sup> სსრ კავშირის უმაღლესი საკოს 1972 წ. 20 სექტემბრის დადგენილება, „ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“.

ყოელისა, სოციალური მახასიათებლები, რომლებიც პიროვნულ, ქცევის ხასიათს ატარებენ.

საესებით სწორნი არიან ნ. პ. ფედოროვი და ნ. ფ. რეიმერსი, როდესაც სუბიექტური ფაქტორის მნიშვნელობას აღნიშნავენ ადამიანის მიერ გარემოცვის შეფასებისას: „... ადამიანთა მიერ გარემოცვის არახელშემწყობი ფაქტორების სუბიექტური შეფასება გამოისახება ეკონომიკურად, მატერიალური წარმოების სფეროში. მაგალითად, კადრთა დენადობის, წარმოების და შრომის ეფექტიანობის შემცირებაში და ა. შ. ... ადამიანებს არ სურთ მთელ რიგ შემთხვევებში ფსიქოლოგიურად შეეგუონ მათი აზრით არაკომფორტული გარემოცვის პირობებს, იმ შემთხვევაშიაც კი თუ ზღვრული დამწვების კონცენტრაცია (П. Д. К.) ობიექტურად არ არის აწეული“<sup>10</sup>.

სოციალისტურ საზოგადოებაში არ არიან ისეთი კლასები ან სოციალური ჯგუფები, რომლებიც ეკონომიურად დანტერესებული იყვნენ გარემოს ექსპლოატაციაში და შეგნებულად აუარესებდნენ გარემოცვას. მაგრამ „... სოციალისტური საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებს ჯერ კიდევ გააჩნიათ განსაკუთრებული ინტერესები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პოლიტიკაში“<sup>11</sup>.

ცხადია, რომ ამ სოციალური ჯგუფების სოციალური და ეკოლოგიური ინტერესების მხედველობაში მიღება ნიშნავს ამავე დროს ამ ინტერესებს შორის წინააღმდეგობების მოსპობას. ფაქტიურად სოციალისტური საზოგადოებისთვის არაანტაგონისტური წინააღმდეგობების მოსპობა სოციალურ სტრუქტურასა და ეკოლოგიურ გარემოცვას შორის უნდა მიმდინარეობდეს ორი ურთიერთგანმსაზღვრელი პროცესის სახით: ერთი მხრივ, კლასობრივი და სოციალური საზღვრების თანდათანობითი გადაჭრით და საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნების ზღურბლამდე მიყვანით, რომელიც მიღწეული იქნება კომუნისმში და, მეორე მხრივ, ადამიანთა ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებით და გაუმჯობესებული ერთგვაროვნების ზღურბლამდე მიყვანით<sup>12</sup>.

სოციალისტური საზოგადოების თანდათანობითი განვითარებით სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უკავშირდება ადამიანთა ეკოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და კომუნისტური საზოგადოების ადამიანი ორგანიულად შეერწყმება ბუნებრივ გარემოცვას, სოციალური ცნობიერება ერთ ჰარმონიულ მთლიანობაში შევა ბუნების კანონებთან. სოციალიზმის განვითარებასთან ერთად ეკოლოგიური ქცევა განთავისუფლდება ბუნებისთვის საზიანო სოციალური დეტერმინატებისაგან, — მიიღებს თავისუფალი ქცევის სახეს, თუმცა თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური აუცილებლობისა და სოციალური არაერთგვაროვნების შედეგად სოციალისტურ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს წინააღმდეგობა პიროვნებასა და საზოგადოებას, ხოლო აქედან გამომდინარე ეკოლოგიურ ქცევასა და სოციალური სტრუქტურის გარემოსთან ურთიერთქმედების პროცესს შორის.

<sup>10</sup> Природа. Экономика. Наука. ж. „Природа“, 1974, №3.

<sup>11</sup> Проблемы теории и практики современного социализма, изд. „Мир и Социализм“, Прага, 1973, стр. 35.

<sup>12</sup> ეს პროცესი მიღწეული იქნება ე. წ. „ნოსფეროს შექმნით, რომელიც თავისთავად მხოლოდ კომუნისტური წყობილების დროსაა შესაძლებელი“.



კომუნისტური მშენებლობისა და სოციალურ სტრუქტურაში წინააღმდეგობების მოსპობის საკითხებს შეისწავლის მეცნიერული კომუნიზმი. ამავე დროს მარქსისტული სოციალური აზროვნებისათვის განსაკუთრებული აუცილებლობით დგას საზოგადოებისა და ეკოლოგიური გარემოცვის ურთიერთქმედების აღმწერი თეორიის შექმნის საკითხი. ასეთი სოციალურ-ეკოლოგიური თეორიის მიზანი უნდა იყოს სოციალიზმის, სოციალური მიზნებისა და კომუნისტური მშენებლობის სოციალური პირობების განხორციელება ეკოლოგიური და ფიზიკური გადაწყვეტილებებით. გარემოცვის გაუმჯობესება და მართვა სოციალისტური საზოგადოებისთვის ამავე დროს სოციალური გარემოს გაუმჯობესებასაც ნიშნავს.

---

ბ. ასანიძე

ოტსვასა ლოგიკის დროითი ინტერპრეტაცია

1. შესავალი. კლასიკურ ლოგიკაში გამოყენებული ჰეშმარიტების ცხრილების მეთოდით ეშვარება ორფასობის პრინციპსა (ყოველი მსჯელობა ხასიათდება ერთადერთი სემანტიკური ფასით ორი შესაძლებლიდან) და ჰეშმარიტების ცხრილებს კლასიკური მაკავშირებლებისათვის. ჰეშმარიტების ცხრილებით მაკავშირებლები გაგებულია როგორც ფუნქციები, რომელთა განსაზღვრების და მნიშვნელობის არა სემანტიკურ ფასთა ორდემენტიანი სიმრავლე —  $C_2 = \{ჰეშმარიტება, მცდარობა\}$  — სიმბოლორად —  $\{1, 0\}$ . ამის საფუძველზე მსჯელობათა კლასიკური ლოგიკის ყოველი ფორმულა გამოხატავს ხსენებული ტიპის გარკვეულ ფუნქციას, ე. ი. მასში შემავალი ცვლადებისათვის სემანტიკურ ფასთა ნებისმიერი განაწილებისას ფორმულა იღებს ერთადერთ სემანტიკურ ფასს; ფორმულას ეწოდება ტავტოლოგია, თუ მასში შემავალი ცვლადებისათვის სემანტიკურ ფასთა ნებისმიერი განაწილებისას თვითონ იღებს მხოლოდ სემანტიკურ ფასს ჰეშმარიტებას. ეს მიდგომა შეიძლება განწოგადდეს შემდეგნაირად: ორფასობის პრინციპი იცვლება  $n$ -ფასობის ( $n \geq 2$ ) პრინციპით (ყოველი მსჯელობა ხასიათდება ერთადერთი სემანტიკური ფასით  $n$  შესაძლებელიდან) და მაკავშირებლები განისაზღვრება, როგორც ფუნქციები, რომელთა განსაზღვრებისა და მნიშვნელობის არა შესაძლებელ სემანტიკურ ფასთა  $n$ -დემენტიანი სიმრავლე —  $\{s_1, \dots, s_n\}$ , მან მსჯელობათა ლოგიკის ყოველი ფორმულა რომელიმე  $n$ -ფას ფუნქციის გამოხატველი იქნება. ტავტოლოგიის ცნება უკავშირდება კიდევ ერთ განწოგადებას: — კლასიკური სემანტიკური ფასების, ჰეშმარიტებისა და მცდარობის, ანალოგების შემოღებას. თუ  $s_1, \dots, s_{n-k}$  ( $n-k \geq 1$ ) ფასებს ვუწოდებთ გამოყოფილ ფასებს (ჰეშმარიტებს ანალოგებს), მან ფორმულა იქნება ტავტოლოგია, თუ იგი მასში შემავალი ცვლადებისათვის სემანტიკურ ფასთა ნებისმიერი განაწილებისას რომელიმე გამოყოფილ ფასს იღებს. ასეთი განწოგადებით მიიღება მრავალფასა ლოგიკა. მრავალფასა ლოგიკის პირველი სისტემები ააგეს ი. ლუკასევიჩმა და ე. პოსტმა.

იმისათვის, რომ მრავალფასა ლოგიკის რომელიმე სისტემა არ დარჩეს კლასიკური ლოგიკის მხოლოდ ალგებრულ განწოგადებად და გაგებული იქნას, მართლაც, როგორც ლოგიკა, საჭიროა სემანტიკური ფასებისათვის რეალური შინაარსის მიცემა. მათი ფილოსოფიური გაზრება. სწორედ გარკვეული ფილოსოფიური მოსაზრებების საფუძველზე შეიქმნა პირველი მრავალფასა. კერძოდ ლუკასევიჩის სამფასა ლოგიკა, რომლის აგების ერთერთი მიზანი იყო მოდალურა ოპერატორების („აუცილებელია, რომ ...“, „შესაძლებელია, რომ...“ ექსპლიკაცია. მაგრამ ლუკასევიჩმა ეს ლოგიკა მოცემული მიზნისთვის შემდგომში გამოუსადეგარად ჩათვალა, იმის გამო, რომ სამფასა ლოგიკაში მსჯელობათა კლასიკური ლოგიკის არა ყველა ტავტოლოგია რჩება ტავტოლოგიად. მისი აზრით მოდალუბების ლოგიკა უთუოდ უნდა იყოს მსჯელობათა კლასიკური ლოგიკის გაფართოება.<sup>1</sup>

1953 წელს ლუკასევიჩი აგებს ახალ მრავალფასა, კერძოდ, ოთხფასა  $L_4$  — ლოგიკას, რომელშიც სამფასა ლოგიკის აღნიშნული ნაკლოვანება გადალახულია. ამ სისტემაში ყოველი სემანტიკური ფასი წარშოდგენს  $(\alpha, \beta)$  სახის

<sup>1</sup> K. Berka, Z. Kreiser. Logik—Texte, Akademie Verlag, Berlin. p. 125-141.  
<sup>2</sup> Ян Лукасевич. Аристотелевская силлогистика с точки зрения современной формальной логики, М., 1959. стр. 223.

წყვილს, სადაც  $\alpha$  და  $\beta$ -თავან თითოეული არის ქეშმარიტება ან მცდარობა (სიმბოლოურად — 1 ან 0) მაშასადამე, ყველა შესაძლო სემანტიკურ ფასთა სიმრავლე  $C_4$  მიიღება კლასიკური ლოგიკის სემანტიკურ ფასთა  $C_2$  სიმრავლის თავისთავზე დეკარტული გამრავლებით —  $C_4 = \{1,0\} \times \{1,0\} = \{(11), (10), (01), (00)\}$ ; გამოყოფილი ფასია (11).

$L$ -ში კლასიკური  $\supset$  და  $\neg$  მაკვეშირებლები ვანისახლებიან წვერობრივად:  
 $((x, \beta) \supset (\gamma, \delta)) = ((x \supset \gamma), (\beta \supset \delta))$ ;  $\neg (x, \beta) = (\neg x, \neg \beta)$ .

მოდალური ოპერატორები კი — შემდეგნაირად:

$M(x, \beta) = (x, \beta \vee \neg \beta)$ ,  $L(x, \beta) = (x, \beta \& \neg \beta)$ .

ამ ფორმულებში  $\alpha$  ( $\beta$ ,  $\gamma$ ,  $\delta$ -თავან თითოეული არის 1 ან 0; წყვილებში ნახმარი  $\supset$ ,  $\neg$ ,  $\&$  და  $\vee$  სიმბოლოები ჩვეულებრივი ორფასა მაკვეშირებლებია; ხოლო  $M$  და  $L$  შესაბამისად იკითხებიან როგორც: „შესაძლებელია, რომ...“, „აუცილებელია, რომ...“. ლუკასევიჩმა განახორციელა მოცემული ოთხფასა ლოგიკის აქსიომატიზაცია<sup>3</sup>.

თავიდანვე ნათელი იყო, რომ მოდლობების ის გაგება, რაც რეალიზებული იყო  $L$  ლოგიკაში, არ შეესაბამებოდა ჩვენს ინტუიციურ წარმოდგენას მოდლობებზე. კერძოდ, არც ერთი  $L\alpha$  სახის ფორმულა მასში არ არის ტავტოლოგია. მაგრამ ტავტოლოგიებია ინტუიციურად სრულიად მიუღებელი შემდეგი პრინციპები:

$Mp \& Mq \supset M(p \& q)$  (თუ შესაძლებელია, რომ  $p$  და შესაძლებელია, რომ  $q$ , მაშინ შესაძლებელია, რომ  $p$  და  $q$ );

$Mp \supset (M \neg p \supset Mq)$  (თუ შესაძლებელია, რომ  $p$ , მაშინ თუ შესაძლებელია, რომ არა  $p$ , მაშინ შესაძლებელია ნებისმიერი  $q$ );

$(p \equiv q) \supset (Mp \supset Mq)$  (თუ  $p$  მატერიალურად ტოლფასია  $q$ -სი, მაშინ თუ შესაძლებელია, რომ  $p$ , შესაძლებელია აგრეთვე, რომ  $q$ ).

ამ პრინციპების მიუღებლობა ნათელი გახდება, თუკი  $p$  და  $q$  ცვლადებს შესატყვისად ჩაეანაცვლებთ შემდეგი წინადადებებით: (1)-ში „წვიმა მოდის“, „წვიმა არ მოდის“; (2)-ში „წვიმა მოდის“, „ $2 \times 2 = 5$ “; (3)-ში „თბილისი მსოფლიოს უდიდესი ქალაქია“, „ $2 \times 2 = 5$ “.  $L$ -ლოგიკაში არ არის მართებული დასკვნის აუცილებლობის წესი (თუ დამტკიცებადია  $\alpha$ , მაშინ დამტკიცებადია  $L\alpha$ -ც). ხოლო თუ მას დავუმატებთ  $L$ -ის აქსიომატურ თეორიას, მაშინ ეს უკანასკნელი წინააღმდეგობრივი გახდება<sup>4</sup>.

გარდა ზემოთ ხსენებულისა,  $L$ -ლოგიკის არსებითი ხარვეზია ისიც, რომ გაუგებარია მსჯელობების შესაძლო სემანტიკურ ფასთა რეალური შინაარსი. მოცემულ სისტემაში ნებისმიერ მსჯელობას შესაძლებელია ჰქონდეს შემდეგ სემანტიკურ ფასთავან ერთ-ერთი: 1. (ქეშმარიტი ქეშმარიტი), 2. (ქეშმარიტი მცდარი), 3. (მცდარი ქეშმარიტი), 4. (მცდარი მცდარი). კლასიკური გაგებით მსჯელობის ქეშმარიტება იმას ნიშნავს, რომ მის მიერ გამოხატულ საქმია ვითარებას ადგილი აქვს სინამდვილეში, მცდარობა — ამის საპირისპიროს. მაგალითად მსჯელობა: „ტოკიო მსოფლიოს უდიდესი ქალაქია“ —

<sup>3</sup> აქვე, გვ. 232—234.

<sup>4</sup> Rescher, Many-valued Log'c, N-W, 1969.





ქეშმარიტია, თუ ტოკიო ნამდვილად არის მსოფლიოს უდიდესი ქალაქი. <sup>ტოკიოა მსოფლიოს უდიდესი ქალაქი</sup>  
 ნაალმდეგ შემთხვევაში იგი მცდარა იქნება; მაგრამ რას ნიშნავს, რომ ამ მსჯე-  
 ლობის სემანტიკური ფასია (მცდარი ქეშმარიტი) ანდა (ქეშმარიტი მცდარ-  
 რი)? ლუქასევიჩს არ გაურკვევია ეს საკითხი. მისი არჩევანი იმით იყო გან-  
 პირობებული, რომ ზემოთ აღწერილი პროცედურით მიღებულ ლოგიკაში  
 შენარჩუნებულია კლასიკური ლოგიკის ყველა ტავტოლოგია და შესაძლებე-  
 ლია ისეთი ოთხფასა M და L ფუნქციების შერჩევა, რომლებიც აკმაყოფი-  
 ლებენ ძირითადი მოდალური ლოგიკის შემდეგ პრინციპებს:

- ზოგადმართებულია:** 1) თუ p, მაშინ შესაძლებელია, რომ p;  
 2) თუ აუცილებელია, რომ p, მაშინ p;  
**არ არის ზოგადმართებული:** 3) თუ შესაძლებელია, რომ p, მაშინ p;  
 4) შესაძლებელია, რომ p;  
 5) თუ p, მაშინ აუცილებელია, რომ p;  
 6) ყალბია, რომ აუცილებელია, რომ p;

მაშასადამე, L-ლოგიკა ფაქტიურად კლასიკური ორფასა ლოგიკის მხოლოდ  
 ალგებრული განზოგადება იყო — ფილოსოფიური გააზრების გარეშე.

მიმდინარე საუკუნის 50-იან წლებში, უპირველეს ყოვლისა ა. პრაიორის  
 შრომების წყალობით, იქმნება ლოგიკის ახალი დარგი — დ რ ო ი ს ლ ო გ ი-  
 კ ა. მისი ამოცანაა ისეთი ბჭობის სისწორის კრიტერიუმის შემუშავება, რო-  
 მელშიც ფიგურირებენ შემდეგი სახის მსჯელობები: „(აი ეს) ადამიანი იცი-  
 ნის“, „სოკრატე ზის“, „წვიმა მოდის“ და ა. შ. ე. ი. მსჯელობები, რომლებ-  
 საც ერთი — დროისაგან დამოუკიდებელი — ქეშმარიტების ფასი კი არ გა-  
 აჩნიათ, არამედ ქეშმარიტების ფასი დროის მოცემულ მომენტში აქვთ (ცხა-  
 ლია, რომ ასეთ მსჯელობათა ქეშმარიტების ფასები დროის სხვადასხვა მო-  
 მენტში შეიძლება სხვადასხვა იყოს). დროის ლოგიკაში, გარდა კლასიკური  
 მკაცვობისა, უმრავლეს შემთხვევაში გვაქვს კიდევ ოპერატორები —  
 მოცემული მსჯელობებიდან ახალი მსჯელობების ამგები ოპერატორები —  
 იქნება, რომ...“, „იყო, რომ...“, „ყოველთვის იქნება, რომ...“, „ყოველთვის  
 იყო, რომ...“ (სიმბოლურად შესაბამისად F, P, G, H) და ოპერატორები,  
 რომლებიც მათი საშუალებით განისაზღვრებიან<sup>5</sup>.

85937


პრაიორმა მიუთითა, რომ, თუ შემოვიფარგლებით დროის მხოლოდ ორი,  
 ერთმანეთისაგან განსხვავებული მომენტების განხილვით, მაშინ დროზე დამო-  
 კიდებელი მსჯელობის სემანტიკური ფასი იქნება დალაგებული (α, β) წყვი-  
 ლი, სადაც α არის ქეშმარიტება ან მცდარობა დროის პირველ მომენტში,  
 ხოლო β — ქეშმარიტება ან მცდარობა დროის მეორე მომენტში. ასეთი ერთ-  
 მანეთისაგან განსხვავებული წყვილი სულ ოთხია. კერძოდ, მსჯელობა შეიძ-  
 ლება:

- 1) პირველ მომენტშიც ქეშმარიტი იყოს და მეორეშიც,
- 2) პირველ მომენტში ქეშმარიტი იყოს და მეორეში — მცდარი,
- 3) პირველ მომენტში მცდარი იყოს და მეორეში — ქეშმარიტი,
- 4) პირველ მომენტშიც მცდარი იყოს და მეორეშიც.

ამრიგად, ფასების ეს სიმრავლე ემთხვევა C<sub>4</sub> სიმრავლეს. თუ {1,0}  
 სიმრავლეს თავისთავზე n-ჯერ გავამრავლებთ მივიღებთ n-მომენტთან დროში

<sup>5</sup> A. Prior. Time and Modality. London, 1957; მათივეა ხდება თარგმანთა კრებულის  
 — „Временная логика“ გვ. 9-16-ის მიხედვით (ინახება თ. ს. უ. ლოგიკის კათედრაზე).

2. „მაინე“, ფილოსოფიის..., სერია, 1975, № 2







წინადადების ყველა შესაძლებელი ფასების სიმრავლეს, რომლის ელემენტობა რაოდენობა ტოლია  $2^n$ -ისა. ცხადია, რომ დროზე დამოკიდებულ მსჯელობებში ბისაგან კლასიკური მაკავშირებლებით აგებული მსჯელობები ისევ დროზე დამოკიდებულნი იქნებიან. ასეთი მსჯელობების სემანტიკური ფასი ისე დადგინდება შემადგენელი მსჯელობების სემანტიკური ფასების მიხედვით, როგორც ეს, მაგალითად, ლუკასევიჩის ჰქონდა. ამგვარად, პრაიორმა მოგვცა ლუკასევიჩის ოთხფასა ლოგიკის დროითი ინტერპრეტაცია და, მაშასადამე, მისი, როგორც მართლაც ლოგიკის გაგება.

$C_4 = C_2 \times C_2$  სიმრავლის არადროითი ინტერპრეტაცია შეასრულა ციხმა [Zich]<sup>6</sup>. მისი აზრით, ახალ ინტერპრეტაციას ამ სისტემისათვის გვაძლევენ წინადადებები, რომლებიც შეიძლება ჰქვამარიტი (ან მცდარი) იყოს ორ სხვადასხვა  $s_1$  და  $s_2$  ვითარებაში: ვთქვათ, ლოგიკის ან გეომეტრიის ორ სხვადასხვა სისტემაში. მაშინ ჩვენი  $C_4$  სისტემის ჰქვმარიტების ყველა ფასი შეიძლება ინტერპრეტირებული იქნას, როგორც რაიმე წინადადების შესაძლებელი ჰქვმარიტებრივი მდგომარეობა ამ  $s_1$  და  $s_2$  სისტემებში<sup>7</sup>.  $C_4$ -ის ასეთი გაგებისას, უფრო ზუსტი, ბუნებრივი იქნება ვილაპარაკოთ ერთი და იმავე ენის ორ სხვადასხვა  $I_1$  და  $I_2$  ინტერპრეტაციაზე და ამ ენის ნებისმიერ  $p$  წინადადების  $\beta = (\beta_1, \beta_2)$  ფასში  $\delta_1$  გავიგოთ, როგორც  $p$ -ს ჰქვმარიტების ფასი  $I_1$  ინტერპრეტაციაში, ხოლო  $\delta_2 = I_2$ -ში.

პრაიორმა მიუთითა, რომ ასეთ ოთხფასა ლოგიკაში მრავალნაირად შეიძლება შეირჩეს ერთადგილიანი ფუნქციები, რომლებიც დაკმაყოფილებენ როგორც ლუკასევიჩის ძირითად მოდალურ ლოგიკას, ასევე სხვა (მაგალითითად. ლუისის  $s_4, s_5$ ) მოდალურ სისტემებსაც<sup>7</sup>. მაგალითად:

P	M <sub>1</sub> P	L <sub>1</sub> P	M <sub>2</sub> P	L <sub>2</sub> P
11	11	11	11	11
10	10	00	11	00
01	11	01	11	00
00	00	00	00	00

ასეთი ინტერპრეტაციით, ყოველი ოთხფასა ფუნქცია არა მხოლოდ აბსტრაქტულ-ალგებრულ, არამედ სრულიად გარკვეულ ფილოსოფიურ-სემანტიკურ აზრს იძენს. ამის საფუძველზე ბუნებრივია ვილაპარაკოთ ორმომენტანი დროის ლოგიკაზე (მსჯელობათა კლასიკური ლოგიკა იქნება ერთმომენტანი დროის ლოგიკა). სტატის ძირითადი მიზანია ყველა

ოთხფასა ფუნქციის კლასის მიმართ დროის ლოგიკის სრული (ე. ი. პოსტის აზრით სრული) ენისა და ოთხფასა ლოგიკის მიმართ დროის ლოგიკის სემანტიკურად სრული აქსიომატური თეორიის აგება.

უნდა აღინიშნოს, რომ ლუკასევიჩის  $M$ -ს არ გააჩნია გამჭვირვალე დროითი ინტერპრეტაცია, ხოლო პრაიორის  $M_1$ -ისა და  $M_2$ -სთვის ასეთი ინტერპრეტაცია თვით პრაიორმა მოგვცა:

- $M_1P$  ნიშნავს: ჰქვმარიტა ან ჰქვმარიტი იქნება, რომ  $p$ .
- $M_2P$  — ჰქვმარიტა ან ჰქვმარიტი იქნება, ან ჰქვმარიტი იყო, რომ  $p$ .

<sup>6</sup> ამგვარი ინტერპრეტაცია მისცა  $C_8-C_{23}$  სიმრავლეს როსმა (A. Rose) სტატიაში „მ-ფასა გეომეტრია“, რომელშიც ფასები მიუთითებენ მსჯელობათა სტატუსს ევკლიდეს, რომანისა და ლობაჩევისკის გეომეტრიებში. იხ. N. Rescher-ის დასახ. შრომა გვ. 114.

<sup>7</sup> A. Prior-ის დასახ. შრომა, გვ. 3—31.



მიუხედავად ამისა, დამტკიცებადია შემდეგი: მაკავშირებელთა არც  $\{ \supset, \neg, M \}$  არც  $\{ \supset, \neg, M_1 \}$  და არც  $\{ \supset, \neg, M_2 \}$  სისტემა არ არის! ფუნქციონალურად სრული, კერძოდ, არა ყველა ერთარგუმენტანი ფუნქცია განისაზღვრება თითოეულ ამ სისტემაში შემავალი ფუნქციების სუპერპოზიციით.

მართლაც (1): მსველობათა კლასიკური ლოგიკიდან ცნობილია, რომ მხოლოდ  $\supset$  და  $\neg$  მაკავშირებლებით განისაზღვრება სულ ოთხი ერთმანეთისაგან განსხვავებული ერთარგუმენტანი ფუნქცია:

აქედან,  $Mp$  და  $\neg Mp$  ფუნქციებში სუპერპოზიციით მიიღება 6 ახალი ფუნქცია:

p	$p \supset p$	$\neg(p \supset p)$	$\neg p$
11	11	00	00
10	11	00	01
01	11	00	10
00	11	00	11

P	$Mp$	$M\neg p$	$\neg Mp$	$\neg M\neg p$	$M\neg(p=p)$	$\neg M\neg(p=p)$
11	11	01	00	10	01	10
10	11	01	00	10	01	10
01	01	11	10	00	01	10
00	01	11	10	00	01	10

ამ 10 ფუნქციიდან თითოეულს თუ ავიღებთ  $\neg$  და  $M$  ფუნქციების არგუმენტებად, ახალ ფუნქციას ვერ მივიღებთ, ზოლო თუ მათს ყველა შესაძლებელ წყვილს ავიღებთ  $\supset$  ფუნქციის არგუმენტებად, მივიღებთ კიდევ ორ ახალ ფუნქციას და მათ უარყოფებს:

p	$p \supset \neg M\neg(p=p)$	$\neg p \supset \neg Mp$	$\neg(p \supset \neg M\neg(p=p))$	$\neg(\neg p \supset \neg Mp)$
11	10	11	01	00
10	11	10	00	01
01	10	11	01	00
00	11	10	00	01

ამ ახალ სიმრავლეზე იმავე ოპერაციებით მიიღება კიდევ ორი ახალი ფუნქცია:

რის შედეგადაც ვიღებთ ფუნქციების 16-ელემენტარ დახშულ სიმრავლეს მიმართ  $\supset$ ,  $\neg$  და  $M$  ოპერაციებისა. მაგრამ ყველა ერთარგუმენტარ ოთხფასა ფუნქციათა რიცხვი არის 256.

P	$\neg p \supset \neg Mp) = \neg M\neg p$	$\neg[(p \supset \neg Mp) = \neg M\neg p]$
11	10	01
01	11	00
01	00	11
00	01	10

(2) ასევე არაა სრული არც  $\{ \supset, \neg, M_1 \}$  და არც  $\{ \supset, \neg, M_2 \}$  სისტემა, რადგან ყოველ ამ სისტემაში შემავალი ფუნქციები ისეთია, რომ, თუ მათი არგუმენტები იღებენ (11) და (00) ფასებს, მაშინ თვით ფუნქციების ფასიც ამ ორი ფასიდან ერთ-ერთია. კერძოდ:  $\neg(11) = (00)$ ,  $\neg(00) = (11)$ ,  $[(11) \supset (11)] = [(00) \supset (11)] = [(00) \supset (00)] = (11)$ ;  $[(11) \supset (00)] = (00)$ ;  $M_1(11) = M_2(11) = (11) = (11)$ ;  $M_1(00) = M_2(00) = (00)$ . ამიტომ მათი საშუალებით არაა

აგებული არც ერთი ისეთი ერთადგილიანი ფუნქცია  $\mathcal{F}^p$ , რომელიც  $p$ -ს (11) სისათვის, მაგალითად, მიიღებდა (10) ან (01) ფასს.

2. ორმომენტიანი დროის ლოგიკის ენა, ინტერპრეტაცია და ფუნქციური სისტემა. ორმომენტიანი დროის ლოგიკის  $S$  ენა განისაზღვრება შემდეგნაირად: ანბანი:  $p, q, p_1, q_1, \dots$  [პროპოზიციული ცვლადები],  $\supset, \neg, F, P$  [ლოგიკური მაკავშირებლები] და  $0$  [ფრჩხილება].

ფორმულის ცნება: (1) ნებისმიერი პროპოზიციული ცვლადი ფორმულა;

(2) თუ  $A$  და  $B$  ფორმულებია, მაშინ  $\neg A, F_A, P_A$  და  $(A \supset B)$ -ც ფორმულებია;

(3) არ არსებობს სხვა სახის ფორმულა, გარდა (1)-(2)-ში განსაზღვრულისა.

$S$ -ის ინტერპრეტაცია არის დალაგებული სამეული  $(T, <, R)$ , სადაც  $T$  არის დროის მომენტების ორელემენტოანი სიმრავლე,  $<$  — მასზე განსაზღვრული ასიმეტრიული მიმართება (იკითხება: „... უფრო ადრეა, ვიდრე...“),  $R$  — ორადგილიანი ფუნქცია, რომლის პირველი არგუმენტია ფორმულა, მეორე არგუმენტი  $T$  სიმრავლის ელემენტი, ხოლო ფუნქციის ფასი 1 (ქვეშარიტება) ან 0 (სიმცდარე), ისეთი რომ:

(1')  $R(p, x) = 1$  ან  $R(p, x) = 0$  ნებისმიერი  $x$ -ისა ( $x \in T$ ) და  $p$  ცვლადისთვის.

(2')  $R(\neg A, x) = 1$  მაშინ მხოლოდ მაშინ, როცა  $R(A, x) = 0$ , წინააღმდეგ შემთხვევაში  $R(\neg A, x) = 0$

(3')  $R((A \supset B), x) = 1$  მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა  $R(A, x) = 0$  ან  $R(B, x) = 1$ , წინააღმდეგ შემთხვევაში  $R((A \supset B), x) = 0$

(4')  $R(F_A, x) = 1$  მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ისეთი  $y$ , რომ  $y \in T, x < y$  და  $R(A, y) = 1$ , წინააღმდეგ შემთხვევაში  $R(F_A, x) = 0$

(5')  $R(P_A, x) = 1$  მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს  $y$  ისეთი რომ  $y \in T, y < x$  და  $R(A, y) = 1$  წინააღმდეგ შემთხვევაში  $R(P_A, x) = 0$ .

$A$  ფორმულის ეწოდება ტავტოლოგია, თუ ნებისმიერი  $(T, <, R)$  ინტერპრეტაციისთვის და  $T$ -ს ნებისმიერი  $x$  ელემენტისთვის  $R(A, x) = 1$ . ცხადია, რომ ყოველთვის, როდესაც მოცემულია  $T$ , ნებისმიერი  $A$  ფორმულის სემანტიკური მდგომარეობა სულ ოთხგვარი შეიძლება იყოს. მართლაც ვთქვათ  $T = \{a, b\}$ , მაშინ:

1) ან  $R(A, a) = 1$  და  $R(A, b) = 1$       3) ან  $R(A, a) = 0$  და  $R(A, b) = 1$

2) ან  $R(A, a) = 1$  და  $R(A, b) = 0$       4) ან  $R(A, a) = 0$  და  $R(A, b) = 0$

ფუნქციის მნიშვნელობების ამ ოთხ შესაძლებელ წყვილს აღვნიშნავთ შენაბამიად (11), (10), (01), (00) წყვილებით და მათ სემანტიკურ ფასებს ეწოდებთ. ამის შედეგად, თუ დაეუშვებთ, რომ  $a < b$ , მაშინ  $R$  ფუნქციის განსაზღვრების პუნქტები  $\supset, \neg, F$  და  $P$ -თვის გარდაიქმნება  $C_4 = \{(11), (10), (01), (00)\}$  სიმრავლეზე განსაზღვრულ შემდეგ ოთხფასა ფუნქციებად. (იხ. ცხრალი ქვემოთ). ასეთი შემოკლებების შუქზე  $S$  — ენის ინტერპრეტაცია იქნება ცვლადებისათვის ფასებად  $C_4$  სიმრავლის ელემენტებია მიცემა, რომლის დროსაც ნებისმიერი ფორმულის ფასი  $R$  — ფუნქციის განსაზღვრების პუნქტების შემოკლებით მიღებული ცხრილის მიხედვით გამოიანგარიშება.

P და F ოპერატორები წაიკითხება შესაბამისად: „იყო, რომ“, „იქნება, რომ“. მათი შემცველი მსჯელობებისათვის R ფუნქციის მნიშვნელობების მოტივირება შემდეგნაირია:

p,q	11	10	01	00	$\neg P$	Fp	Pp
11	11	10	01	00	00	10	01
10	11	11	11	01	01	00	01
01	11	10	11	10	10	10	00
00	11	11	11	11	11	00	00

ვთქვათ A მსჯელობა განსაზღვრულია დროის ორ მომენტზე, რომელთაგან პირველი წინ უსწრებს მეორეს. P<sub>A</sub> მსჯელობა პირელ მომენტში ყოველთვის მცდარი იქნება, რადგან ზისთვის ამ შემთხვევაში არ არსებობს წინამორბედი მომენტი საერთოდ, რომელშიც A ჭეშმარიტი იქნებოდა, ხოლო F<sub>A</sub> მსჯელობა ყოველთვის მცდარი იქნება მეორე მომენტში, რადგან ამ შემთხვევაშიც საერთოდ არ არსებობს მომდევნო მომენტი, რომელშიც A ჭეშმარიტი იქნებოდა.

თუ A მსჯელობა ჭეშმარიტია პირველ მომენტში, მაშინ P<sub>A</sub> მსჯელობა ჭეშმარიტი იქნება მეორე მომენტში, რადგან ამ შემთხვევაში მეორე მომენტისათვის არსებობს წინამორბედი მომენტი, რომელშიც A ჭეშმარიტია. წინააღმდეგ შემთხვევაში P<sub>A</sub> მეორე მომენტში მცდარი იქნება.

თუ A მსჯელობა ჭეშმარიტია მეორე მომენტში, მაშინ F<sub>A</sub> მსჯელობა ჭეშმარიტი იქნება პირველ მომენტში, რადგან ამ უკანასკნელისათვის არსებობს მომდევნო მომენტი, რომელშიც A ჭეშმარიტია. წინააღმდეგ შემთხვევაში F<sub>A</sub> მცდარია პირველ მომენტში.

დებულება 1: მაკავშირებელთა C<sub>4</sub> = { $\supset$ ,  $\neg$ , E, P} სისტემა, ანუ S—ენა ფუნქციურად სრულია.

დამტკიცება. შემოვიღოთ შემდეგი შემოკლებები:

- I(1).  $A \vee B \supset \neg A \supset B$ . I(4)  $GA \supset \neg F \neg A$ .  
 I(2).  $A \& B \supset \neg(A \supset \neg B)$ . I(5)  $HA \supset \neg P \neg A$ .  
 I(3)  $A \equiv B \supset (A \supset B) \& (B \supset A)$ .

ვისარგებლოთ სლუპეციის თეორემით: ფუნქციათა სისტემა, რომელიც შეიცავს ერთადგილიან ყველა k-ფასა ( $k > 2$ ) ფუნქციას და  $\Phi(x_1, \dots, x_n)$  ფუნქციას, რომელიც არსებითად დამოკიდებულია  $n > 1$  ცვლადზე და თავის ყველა შესაძლებელ ფასთა შორის შეიცავს ყველა k ფასა, სრულია<sup>7</sup>.

ჩვენი p,q ფუნქცია აკმაყოფილებს  $\Phi(x_1, \dots, x_n)$  ფუნქციასათვის წაყენებულ მოთხოვნებს. მაკავშირებელთა ჩვენს სისტემაში აგებადია ყველა ერთადგილიანი k-ფასა ფუნქცია. ამის საჩვენებლად ვისარგებლოთ თეორემით: ყველა ერთარგუმენტიანი ფუნქცია აგებადია შემდეგი k ცალი ფუნქციით<sup>8</sup>:

$$f_i(x) = \begin{cases} 1, & \text{როცა } x=0 \\ 0, & \text{როცა } x=i \ (i=1,2,\dots, k-1) \\ x, & \text{დანარჩენ შემთხვევაში} \end{cases} \quad h(x) = \begin{cases} 1, & \text{როცა } x=0 \\ x, & \text{როცა } x \neq 0 \end{cases}$$

<sup>7</sup> იხ. Яблонский С. В. Функциональные построения в k-значной логике. Труды Мат. Инст. им. Стеклова 1958, ტ. 51 გვ. 76.

<sup>8</sup> იქვე გვ. 77 (ამ თეორემის გამოყენებლად საჭიროა C<sub>4</sub> სიმრავლის ელემენტები (00), (01), (10), (11) აღნიშნული შესატყვისად სიმბოლოებით 0, 1, 2, 3. ამ თანახმად ვივლისინგებთ ქვემოთაც, როცა ეს საჭირო იქნება).

P	f <sub>1</sub> (p)	f <sub>2</sub> (p)	f <sub>3</sub> (p)	h(p)
11	00	11	11	11
10	10	00	10	10
01	01	01	00	01
00	11	10	01	01

ჩვენს შემთხვევაში უნდა გვქონდეს შემდეგი ოთხი ფუნქცია, რომელნიც მაკავშირებელთა ჩვენს სისტემაში განისაზღვრებიან შემდეგნაირად:

$$f_1(p) \Leftrightarrow F \neg p \vee P \neg p$$

$$f_2(p) \Leftrightarrow [(p \& (P \vee F p \vee P \neg p)) \vee \neg p \& F \neg p]$$

$$f_3(p) \Leftrightarrow [p \& (P \vee F p \vee F \neg p)] \vee (\neg p \& P \neg p)$$

$$h(p) \Leftrightarrow [(p \& (P p \& F p \& F \neg p)) \vee \neg p \& (P p \vee P \neg p)]$$

ამით დებულება 1 დამტკიცებულა.

თუ საქმე ეხება LS-ის არა დროით, არამედ ზემოთ აღწერილ (იხ. გვ. 4) ინტერპრეტაციას, მაშინ უფრო ბუნებრივი და მოსახერხებელი იქნებოდა გვესარგებლა არა F და P, არამედ შემდეგი ~-ერთადგილიანი და 0-ორადგილიანი მაკავშირებლებით:

~ გვაძლევს მოცემული მსჯელობის კონვერსულ მსჯელობას ინტერპრეტაციათა მიმართ, ხოლო pq — ისეთ ახალ r მსჯელობას, რომელიც პირველ ინტერპრეტაციაში ტოლფასია p-სი, ხოლო მეორეში q-სი.

C<sub>4</sub> = {⊃, ⊃, ~, 0} სისტემაჲ ფუნქციურად სრულია, რადგან P და E მაკავშირებლები აქ განისაზღვრებიან შემდეგნაირად:

$$Pp \Leftrightarrow [p \& \neg p] \quad 0 \sim p \quad \text{და} \quad Fp \Leftrightarrow \sim p \quad (p \& \neg p)$$

3. **ორმომენტიანი დროის ლოგიკის ფორმალური თეორია LP-ალრიცხვა.**

LP-ალრიცხვის ანბანი, ფორმულის ცნება და შემოკლებები მოცემულია ზემოთ (გვ. 6, 7).

LP-ალრიცხვის აქსიომათა სიტემა (A, B ნებისმიერი ფორმულებია):

- A<sub>0</sub>. მსჯელობათა კლასიკური ლოგიკის სრული სისტემის ააქსიომო სქემები
- A<sub>1</sub>.  $G(A \supset B) \supset (F_A \supset F_B)$
- A<sub>2</sub>.  $H(A \supset B) \supset (P_A \supset P_B)$
- A<sub>3</sub>.  $F \neg A \supset A$
- A<sub>4</sub>.  $P G A \supset A$
- A<sub>5</sub>.  $(F_A \& F_B) \supset [(F(A \& B) \vee F(A \& F_B) \vee F(F_A \& B))]$
- A<sub>6</sub>.  $(P_B \& P_p) \supset [(P(A \& B) \vee P(A \& P_B) \vee P(P_A \& B))]$
- A<sub>7</sub>.  $\neg F F A$ .
- A<sub>8</sub>.  $\neg P P A$ .
- A<sub>9</sub>.  $P(A \vee \neg A) \vee F(B \vee \neg B)$
- A<sub>10</sub>.  $\neg (P_A \& F_B)$

R<sub>1</sub> (Modus ponens):  $\frac{A \supset B, A}{B}$

R<sub>2</sub>:  $\frac{A}{GA}$  (თუ მართებულა A, მაშინ მართებულა — ყოველთვის იქნება, რომ A)

R<sub>3</sub>:  $\frac{A}{HA}$  (თუ მართებულა A, მაშინ მართებულა — ყოველთვის იყო რომ A).

დამტკიცების მეტათეორიული ცნება სტანდარტულია.

A<sub>0</sub>—A<sub>4</sub> და R<sub>1</sub>—R<sub>3</sub> ერთად ქმნიან დროის მინიმალურ K<sub>4</sub> — ლოგიკას<sup>9</sup>; აქსიომები შინაარსობრივად შემდეგნაირად იკითხებაან:

<sup>9</sup> N. Rescher, A. Urquhart. Temporal Logic, Wen-N. I. 33 253.

$A_1$ : ნებისმიერი  $A$  და  $B$  მსჯელობებისათვის; თუ ყოველთვის იქნება, რომ (თუ  $A$ , მაშინ  $B$ ), მაშინ თუ (იქნება, რომ  $A$ , მაშინ იქნება, რომ  $B$ ).

$A_2$ : ნებისმიერი  $A$  და  $B$  მსჯელობებისათვის: თუ ყოველთვის იყო, რომ (თუ  $A$ , მაშინ  $B$ ), მაშინ თუ იყო, რომ  $A$ , მაშინ იყო, რომ  $B$ .

$A_3$ : ნებისმიერი  $A$ -თვის: თუ იქნება, რომ ყოველთვის აყო, რომ  $A$ , მაშინ  $A$  (ამჟამად).

$A_4$ : ნებისმიერი  $A$ -თვის: თუ იყო, რომ ყოველთვის იქნება, რომ  $A$ , მაშინ  $A$  (ამჟამად).

$A_5$ : ნებისმიერი  $A$  და  $B$ -თვის: თუ იქნება, რომ  $A$  და იქნება, რომ  $B$ , მაშინ [იქნება, რომ  $A$  და  $B$ , ან იქნება, რომ (იქნება  $A$  და  $B$ ) ან იქნება, რომ ( $A$  და იქნება, რომ  $B$ )].

$A_6$ : ნებისმიერი  $A$  და  $B$ -თვის: თუ იყო, რომ  $A$  და იყო, რომ  $B$  მაშინ [იყო, რომ  $A$  და  $B$  ან იყო, რომ (იყო  $A$  და  $B$ ) ან იყო, რომ ( $A$  და იყო, რომ  $B$ )].

$A_5$  და  $A_6$  აქსიომები მომავალი და წარსული დროის წრფივობის გამოხატვლები არიან და  $K_4$ -თვის მათი დამატებით მივიღებთ წრფივი დროის ლოგიკას<sup>10</sup>.

$A_7$ : ნებისმიერი  $A$ -თვის: ყალბია, რომ იქნება, რომ (იქნება, რომ  $A$ ).

ამ პრინციპის მართებულობას საფუძვლად უდევს დროის ორმომენტურობა. მართლაც ყოველი მოცემული მომენტისათვის ორმომენტურობა, არ იარსებებს შემდგომის შემდგომი მომენტი, რომელშიც  $A$  ჰეშმარიტი იქნებოდა.

$A_8$ : ნებისმიერი  $A$ -თვის ყალბია, რომ იყო, რომ (იყო, რომ  $A$ ). ისევე როგორც  $A_7$ -ის, ამ პრინციპის მართებულობასაც დროის ორმომენტურობა უდევს საფუძვლად.

$A_9$ : ორმომენტიან დროში ნებისმიერი მომენტისათვის არსებობს წარსული ან მომავალი, რომლებშიც ჰეშმარიტია რაიმე მსჯელობა ან მასი უარყოფა.

$A_{10}$ : ნებისმიერი  $A$  და  $B$ -თვის: ყალბია, რომ (იყო რომ  $A$  და იქნება რომ  $B$ ).

ორმომენტიან დროში არცერთი მომენტისათვის არ იარსებებეს ერთდროულად წინამორბედიც და მომდევნო მომენტიც, რომლებშიც ჰეშმარიტი იქნებოდნენ შესაბამისად  $A$  და  $B$  მსჯელობები.

$A_7$ — $A_{10}$  სქემებით გამოხატული აქსიომები მხოლოდ 2-მომენტურობის დროისათვის არიან მართებულნი და ამდენად 2-მომენტურობის დროის მახასიათებელნი არიან.

დებულება 2 (ტოლფასთა ურთიერთ შენაცვლების წესი RE): თუ  $\vdash_{LP} A \equiv B$  მაშინ  $\vdash_{LP} C(A) \equiv C(B)$ , სადაც  $A, B, C(A), C(B), LP$ -ს ფორმულებია და  $C(B)$  მიიღება  $C(A)$ -დან მასში  $A$ -ს ერთი რომელიმე შესვლის  $B$ -ფორმულით შენაცვლებით.

ეს დებულება მტკიცდება ინდუქციით  $C$ -ში  $A$ -ს შესვლის სიღრმის<sup>11</sup> მიხედვით.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 254. (N. Rechar, A. Urquhart-ის დასახელებული შრომა).

<sup>11</sup>  $C$ -ში  $A$ -ს შესვლის სიღრმე არის იმ ლოგიკურ მკაცვრივებელთა რიცხვი, რომელთა მოქმედების არეშიც შედის  $A$ -ს მოცემული შესვლა (იხ. Клини С. К. Введение в метаматематику, Москва, 1957, стр. 107).

თეორემები:

$$(1). F(A \& B) \equiv (FA \& FB)$$

$$(2). P(A \& B) \equiv (PA \& PB)$$

(3.)  $FA \supset GA$  (ნიშნავა: თუ იქნება, რომ  $A$ , მაშინ ყოველთვის იქნება, რომ  $A$ . მოცემული თეორემის მართებულობა განპირობებულია დროის ორმომენტურობით, რადგან ამ შემთხვევაში მომავლის ერთი მომენტი საერთოდ მომავალია).

(4.)  $PA \supset HA$ . (ნიშნავს: თუ იყო, რომ  $A$ , მაშინ ყოველთვის იყო, რომ  $A$ . აქაც დროის ორმომენტურობის გამო წარსული საერთოდ წარსულს უდრის).

$$(5). F(A \supset B) \supset (FA \supset FB)$$

$$(8) H(A \supset B) \supset (HA \supset HB)$$

$$(6) P(A \supset B) \supset (PA \supset PB)$$

$$(9) G(A \vee B) \equiv (GA \vee GB)$$

$$(7) G(A \supset B) \supset (GA \supset GB)$$

$$(10) FA \supset F \uparrow FA$$

თ. (10) ნიშნავს: თუ იქნება, რომ  $A$ , მაშინ იქნება, რომ ყალბი იქნება, რომ  $A$ . დროის ორმომენტურობისას არ არსებობს არცერთი ისეთი მომენტი, რომლის მომდევნო მომდევნო მომენტშიც რაიმე მსჯელობა ჭეშმარიტი იქნებოდა.

(11.)  $PA \supset P \uparrow PA$ . (თუ იყო, რომ  $A$ , მაშინ იყო, რომ ყალბი იყო, რომ  $A$ . ამ პრინციპის მართებულობის საფუძველიც ის არის, რომ ორმომენტურობაში არ არსებობს წარსულის წარსული)

$$(12). F \uparrow A \supset F \uparrow FA$$

$$(13). P \uparrow A \supset P \uparrow PA$$

$$(14). PA \vee F \uparrow AV PA \vee P \uparrow A \text{ (იმავეს გამოხატავს, რასაც } A_2 \text{.)}$$

(15.)  $P \uparrow FA \vee F \uparrow FA \vee A$ . (ორმომენტურობის დროის ნებისმიერი მომენტისათვის ან წარსულში არ იქნება, რომ  $A$ , ან მომავალში არ იქნება, რომ  $A$ , ან  $A$  მართებულია მოცემულ მომენტში).

(16.)  $F \uparrow PA \vee P \uparrow PA \vee A$ . (ეს თეორემა იმავეს გამოთქვამს, რასაც თ. (15), ოღონდ საპირისპირო ტერმინებით).

$$(17). AV FA \vee F \uparrow PA$$

(18.)  $A \& PA \supset PFA$  (ორმომენტურობის დროის ფიქსირებულ მომენტში თუ ჭეშმარიტია, რომ  $A$  და წარსულშიც მართებული იყო, რომ  $A$ , მაშინ წარსულშივე ცხადი ყოფილა, რომ მომავალში იქნებოდა,  $A$ ).

(19.)  $p \& Fp \supset Fpp$ . (ეს თეორემა იმავე თავისებურების გამოხატულია რასაც 18, ოღონდ საპირისპირო ტერმინებში). შემოვიღოთ კიდევ ოთხი შემოკლება:

$$\text{შ (6). } \Theta_1 A \Leftrightarrow (A \& PA) \vee (A \& FA)$$

$$\text{შ (8). } \Theta_3 A \Leftrightarrow (\neg A \& FA) \vee (A \& P \uparrow A)$$

$$\text{შ (7). } \Theta_2 A \Leftrightarrow (A \& F \uparrow A) \vee (A \uparrow \& PA)$$

$$\text{შ (9). } \Theta_4 A \Leftrightarrow (\neg A \& F \uparrow A) \vee (\neg A \& P \uparrow A)$$

$$\text{თ (20). } \Theta_1 AV \Theta_2 AV \Theta_3 AV \Theta_4 A$$

$$(29). \Theta_1 A \supset (\Theta_3 B \supset \Theta_4 (A \supset B))$$

$$\text{თ (21). } \Theta_1 A \supset A$$

$$(30). \Theta_2 A \supset (\Theta_3 B \supset \Theta_4 (A \supset B))$$

$$(22). \Theta_1 B \supset \Theta_1 (A \supset B)$$

$$(31). \Theta_3 A \supset (\Theta_4 B \supset \Theta_2 (A \supset B))$$

$$(23). \Theta_4 A \supset \Theta_4 (A \supset B)$$

$$(32). \Theta_1 A \supset (\Theta_4 B \supset \Theta_1 (A \supset B))$$

$$(24). \Theta_2 A \supset (\Theta_2 B \supset \Theta_1 (A \supset B))$$

$$(33). \Theta_1 A \supset \Theta_3 (PA)$$

$$(25). \Theta_3 A \supset (\Theta_3 B \supset \Theta_1 (A \supset B))$$

$$(34). \Theta_2 A \supset \Theta_3 (PA)$$

$$(26). \Theta_2 A \supset (\Theta_4 B \supset \Theta_3 (A \supset B))$$

$$(35). (\Theta_3 AV \Theta_4 A) \supset \Theta_4 (PA)$$

$$(27). \Theta_1 A \supset (\Theta_2 B \supset \Theta_2 (A \supset B))$$

$$(36). (\Theta_1 AV \Theta_3 A) \supset \Theta_2 (FA)$$

$$(28). \Theta_3 A \supset (\Theta_2 B \supset \Theta_2 (A \supset B))$$

$$(37). (\Theta_2 AV \Theta_4 A) \supset \Theta_4 (FA)$$





თუ (1)–(12) ნაბიჯს გამოვყენებთ თანამიმდევრულად კიდევ (n-1)-ჯერ, მივიღებთ:  $\vdash \Theta_1 A$ .

გარდა ამისა:  $\vdash \Theta_1 A \supset A$  (თ.(21)). აქედან M.p.-ით მივიღებთ  $\vdash A$ -ს; რითაც დებულება 5 დამტკიცდა. დებულება 3-სა და დებულება 5-ის საფუძველზე მართებულია.

**დებულება 6:** LP აღრიცხვა სრულია, ე. ი. ნებისმიერი A-თვის  $\vdash_{LP} A$  მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა A ტავტოლოგიაა.

4'. **ენის ორი ინტერპრეტაციის ლოგიკის ფორმალური თეორია**, LZ-აღრიცხვა. ზემოთ (გვ. 8) აღენიშნეთ, რომ როდესაც მხედველობაში გვაქვს ენის ციხისეული ინტერპრეტაცია, მაშინ უფრო ბუნებრივია საწყის ტერმინებად იმპლიკაციისა და უარყოფასთან ერთად გვეკონდეს 0 და  $\sim$ . ამ ტერმინებით შესაძლებელია აიგოს LP აღრიცხვის სხვაგვარი ფორმულირება — LZ-აღრიცხვა (აღრიცხვას ანბანში ნაცვლად P და F-ისა გვექნება 0 და  $\sim$ . შესაბამისად შეიცვლება ფორმულის ცნება).

LP-აღრიცხვის აქსიომათა სისტემა (A, B და C ნებისმიერი ფორმულე-ბია):

A<sub>0</sub>. მსჯელობათა კლასიკური ლოგიკის სრული სიტემის საქსიომო აქემები.

$$A'_1. \sim \sim A \supset A$$

$$A'_2. \neg \sim A \supset \sim \neg A$$

$$A'_3. A \& B \supset A \circ B$$

$$A'_4. A \circ (B \circ C) \supset (A \circ B) \circ C$$

$$A'_5. A \circ (B \circ C) \supset (A \circ C)$$

$$A'_6. \sim (A \supset B) \supset (\sim A \supset \sim B)$$

$$A'_7. (\sim A \supset \sim A) \supset \sim (A \supset B)$$

$$A'_8. \neg (A \circ B) \supset (\neg A \circ \neg B)$$

$$A'_9. (\neg A \circ \neg B) \supset \neg (A \circ B)$$

$$A'_{10}. (A \circ B) \supset \sim (\sim B \circ \sim A)$$

$$A'_{11}. (A \supset (B \circ C)) \supset ((A \supset B) \circ (A \supset C))$$

$$A'_{12}. ((A \supset B) \circ (A \supset C)) \supset (A \supset (B \circ C))$$

დასკვნის წესები:

$$R_1: \frac{A \supset B, B}{B} \text{ და } R_2: \frac{A}{\sim A}$$

LZ-აღრიცხვაში დამტკიცებულია შემდეგი თეორემები:

$$\text{თ(1). } (A \circ B) \circ C \equiv A \circ (B \circ C)$$

$$\text{თ(2). } (A \circ (B \circ C)) \equiv (A \circ C)$$

$$\text{თ(3). } \sim (\sim B \circ \sim A) \equiv (A \circ B)$$

$$\text{თ(4). } ((A \circ B) \supset C) \equiv ((A \supset C) \circ (B \supset C))$$

$$\text{თ(5). } (A \circ (B \& C)) \equiv ((A \circ B) \& (A \circ C))$$

$$\text{თ(6). } (A \circ (B \vee C)) \equiv ((A \circ B) \vee (A \circ C))$$

$$\text{თ(7). } ((A \& B) \circ C) \equiv ((A \circ B) \& (B \circ C))$$

$$\text{თ(8). } (A \vee (B \circ C)) \equiv (A \vee B) \circ (A \vee C)$$

$$\text{თ(9). } (A \& (B \circ C)) \equiv ((A \& B) \circ (A \& C))$$

$$\text{თ(10). } \sim (A \& B) \equiv (\sim A \& \sim B)$$

$$\text{თ(11). } \sim (A \vee B) \equiv (\sim A \vee \sim B)$$

$$\text{თ(12). } [(A \vee \neg A) \circ \sim A] \supset [(B \vee \neg B) \circ \sim A]$$

$$\text{თ(13). } A \supset [(A \supset A) \circ A]$$

$$\text{თ(14). } (\neg A \circ A) \supset [(A \vee \neg A) \circ A]$$

ადვილი დასამტკიცებელია, რომ LZ-აღრიცხვის ყველა თეორემა არის ტავტოლოგია. ხოლო, რადგან LZ აღრიცხვაში P და F მაკავშირებლების განსაზღვრების საფუძველზე მტკიცდება LP აღრიცხვის ყველა აქსიომა და მისი დასკვნის წესების წარმოებულობა, გამოდის, რომ LZ აღრიცხვაც სრულია.

5. **ოთხჯანა ლოგიკის მოდალური ინტერპრეტაცია**. ჭეშმარიტების ფასების ( $\alpha$ ,  $\beta$ ) წყვილს შეიძლება შევხედოთ უფრო აბსტრაქტულადაც, კერძოდ როგორც წინადადებების ჭეშმარიტების ფასებს ორ სხვადასხვა, სხვაგვარი არასპეციფიკურულ გარემოებაში, ან სხვა სიტყვებით, ორ სხვადასხვა სამყაროში. დროის მომენტების ან ენობრივი სასტემების წყვილი ასე გაგებული სამყაროების დაკონკრეტება იქნება. აეთი გაგებისას კი თუ გამოვიყენებთ

მოდალობების სემანტიკური დახასიათების ს. კრიპკესეულ მეთოდს<sup>14</sup>, შეიძლება განვსაზღვროთ ოთხფასა მოდალურა ფუნქციები. ორ სამყაროს შორის შეიძლება წვდომადობის მხოლოდ ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული მიმართება არსებობდეს.

ეს მიმართებებია:



აუცილებლობის შესატყვისი ოპერატორები აღენიშნოთ  $\square_1$  და  $\square_2$  სიმბოლოებით. როგორც ქვემოთ ენახავთ ასინი დამთხვევიან პრაიორსეულ  $L_1$  და  $L_2$  ფუნქციებს (იხ. გვ. 4). შემთხვევას, როცა  $a$  და  $b$  სამყაროებს შორის წვდომადობა არ არსებობს, არ გავყავართ კლასიკური ორფასა ლოგიკის ფარგლებიდან.

თითოეული ამ მოდალობის დასახასიათებლად ავავოთ  $C_4M_1$  და  $C_4M_2$  აღრიცხვები და შემდეგ გავარკვიოთ, თუ რა დამოკიდებულებაა არიან ეს უკანასკნელი კლასიკურ პროპოზიციულ მოდალურ სისტემებთან.

$C_4M_1$  და  $C_4M_2$  აღრიცხვების ენა იგივეა, რაც  $\mathbb{L}P$  აღრიცხვისა, იმ განსხვავებით, რომ  $F$  და  $P$  ოპერატორების მაგივრად პირველ ამთავანში გვხვდება მხოლოდ  $\square_1$ , ხოლო მეორეში — მხოლოდ  $\square_2$  ოპერატორი და ფორმულის განსაზღვრების მე-2 პუნქტში  $FA$  და  $PA$  ნიშანთშეკრივების მაგივრად  $C_4M_1$ -ში გვაქვს  $\square_1A$ , ხოლო  $C_4M_2$ -ში  $\square_2A$  ნიშანთშეკრივი.

ინტერპრეტაცია ორივე ამ სისტემისათვის არის იგივე, რაც  $S$ -ის ინტერპრეტაცია, შემდეგი განსხვავებით: ა) მიმართებას, რომელიც ახლა სამყაროებს შორის წვდომადობის მიმართებაა  $C_4M_1$ -ში მოეთხოვება ასიმეტრულობა. ხოლო  $C_4M_2$ -ში სიმეტრულობა, ბ)  $S$ -ში  $R$ -მიმართების დახასიათების (4') და (5') პუნქტებია მაგივრად  $C_4M_2$ -ში, ისევე, როგორც  $C_4M_2$ -ში გვაქვს მხოლოდ შემდეგი (4') პუნქტა:

$R(\square_i A, x) = 1$  მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ნებისმიერი  $y$ -თვის, რომელიც  $x < y$ ,  $R(A, y) = 1$ . ( $i = 1, 2$ ).

$C_4M_1$ -აღრიცხვის აქსიომათა სისტემა<sup>15</sup>.

$A_0$ . მსჯელობათა კლასიკური ლოგიკის სრული სისტემის სააქსიომო სქემები.

- $A_1$ .  $\square B \supset B$   $A_4$ .  $B \wedge C \supset (\square B \vee \square C \vee (B \supset C))$
- $B_2$ .  $\square B \supset \square \square B$   $A_5$ .  $\square \diamond B \supset \diamond \square B$
- $A_3$ .  $\square(B \supset C) \supset (\square B \supset \square C)$

დასკვნის წესები:

$R_1: \frac{A \supset B, A}{B}$  და  $R_2: \frac{A}{\square A}$  ;

$A_1$  სქემა გვეუბნება: რაიმე მაჯელობის აუცილებლობის მართებულობიდან გამომდინარეობს ამ მსჯელობის მართებულობა.

<sup>14</sup> Фейс. Модальная логика. М., 1974, стр. 256-257.

<sup>15</sup> „ $\square_1$ “-და „ $\square_2$ “-სიმბოლოებს სიმარტივისათვის დავწერთ ინდექსის გარეშე, რადგან კონტექსტიდან ნათელია, თუ ამ ორიდან რომელი სიმბოლოა ნახმარი ასევე „ $\square$ “<sup>16</sup>“-სიმბოლოს მაგივრად დავწერთ  $\diamond$  - სიმბოლოს და მას შინაარსობრივად წავეკითხავთ — „შესაძლებელია“.

A<sub>2</sub>: რაიმე მსჯელობის აუცილებლობიდან გამომდინარეობს მისი აუცილებლობის აუცილებლობა.

A<sub>3</sub>: თუ აუცილებელია იმპლიკაცია, მაშინ ანტეცედენტის აუცილებლობიდან გამომდინარეობს კონსეკვენტის აუცილებლობაც.

A<sub>4</sub>: ორი მსჯელობის კონიუნქტივიდან გამომდინარეობს თითოეული მათგანის აუცილებლობა ან მათ შორის იმპლიკაციის აუცილებლობა.

A<sub>5</sub>: რაიმე მსჯელობის შესაძლებლობის აუცილებლობიდან გამომდინარეობს ამ მსჯელობის აუცილებლობის შესაძლებლობა.

C<sub>4</sub>M<sub>1</sub>-ში დამტკიცებადია შემდეგი თეორემები:

- |  |   |
|--|---|
| თ. 1. $B \& \neg \Box B \supset \Box \neg \Box B$        | თ. 6. $\Diamond B \equiv \Diamond \Diamond B$   |
| თ. 2. $\Diamond \Box B \supset \Box \Diamond B$          | თ. 7. $\Diamond \Box B \equiv \Box \Diamond \Box B$                                       |
| თ. 3. $\Box B \equiv \Box \Box B$                        | თ. 8. $\Diamond \Box B \equiv \Diamond \Diamond \Box B$                                   |
| თ. 4. $\Box \neg \Box B \supset B \vee \Box \neg \Box B$ | თ. 9. $\Box B \vee (B \& \neg \Box B) \vee (\neg \Box B \& \Box B) \vee \Box \neg \Box B$ |

დებულება 7: C<sub>4</sub>M<sub>1</sub>-ალრიცხვის ნებისმიერი A ფორმულისათვის  $\frac{|}{C_4M_1} A$  მაშინ და მხოლოდ მაშინ როცა A არის ტავტოლოგია. ამ დებულების პირველი ნაწილი — თუ  $\frac{|}{C_4M_1} A$  მაშინ A ტავტოლოგიაა — მტკიცდება სტანდარტულად, ხოლო მეორე ნაწილის დასამტკიცებლად წინააღმდეგ ვამტკიცებთ შემდეგ ლემას:

ლემა: ვთქვათ A არის C<sub>4</sub>M<sub>1</sub>-ის ფორმულა; a<sub>1</sub>, ..., a<sub>n</sub>-მასში შემავალი ყველა ცვლადი, ბ<sub>1</sub>, ..., ბ<sub>n</sub> კერძოვარიეტების ფასები ამ ცვლადების შესატყვისად, ხოლო ბ არის A ფორმულის ფასი ამ დროს. მაშინ  $\frac{|}{C_4M_1} a_1^b \& \dots \& a_n^b \supset$

- A<sup>o</sup>, სადაც a<sub>i</sub><sup>b</sup> არის
- ა)  $\Box a_i$  თუ ბ<sub>i</sub>=(11)
  - ბ)  $a_i \& \neg \Box a_i$  თუ ბ<sub>i</sub>=(10)
  - გ)  $\neg a_i \& \neg \Box \neg a_i$  თუ ბ<sub>i</sub>=(01)
  - დ)  $\Box \neg a_i$  თუ ბ<sub>i</sub>=(00) და A<sup>o</sup> ანალოგიურად ბ-ს მიხედვით არის  $\Box A$  ან  $A \& \neg \Box A$  ან  $\neg A \& \neg \Box \neg A$  ან  $\Box \neg A$ . ეს ლემა დამტკიცებადია ინდუქციით A ფორმულის ლოგიკური რანგის მიხედვით.

თუ A ტავტოლოგიაა, მაშინ  $\frac{|}{C_4M_1} A$

- ვთქვათ A ფორმულა C<sub>4</sub>M<sub>1</sub>-ში ტავტოლოგიაა. ლემის თანახმად
- (1).  $\frac{|}{C_4M_1} a_1^b \& \dots \& a_n^b \supset A^o$ . რადგან A C<sub>4</sub>M<sub>1</sub>-ტავტოლოგიაა, ამიტომ  $A^o \equiv \Box A$  და (1)-ს ექნება სახე:
    - (2).  $\frac{|}{C_4M_1} a_1^b \& \dots \& a_n^b \supset \Box A$ . რადგან ბ არის (11), (10), (01) ან (00), ამიტომ (2)-დან და დე-დან (3)–(6):
      - (3).  $\frac{|}{C_4M_1} a_{1-1}^b \& \dots \& a_{n-1}^b \supset (\Box a_n \supset \Box A)$
      - (4).  $\frac{|}{C_4M_1} a_1^b \& \dots \& a_{n-1}^b \supset ((a_n \& \neg \Box a_n) \supset \Box A)$
      - (5).  $\frac{|}{C_4M_1} a_1^b \& \dots \& a_{n-1}^b \supset ((\neg a_n \& \Diamond a_n) \supset \Box A)$
      - (6).  $\frac{|}{C_4M_3} a_1^b \& \dots \& a_{n-1}^b \supset (\Box \neg a_n \supset \Box A)$
      - (7).  $\frac{|}{C_4M_2} a_1^b \& \dots \& a_{n-1}^b \supset [(\Box a_n \vee (a_n \& \neg \Box a_n)) \vee (\neg a_n \& \Diamond a_n) \vee (\Box \neg a_n) \supset \Box A]$

- (8).  $\frac{}{C_4M_1} (\Box a_n \vee (a_n \& \neg a_n) \vee (\neg a_n \& \Diamond a_n) \vee \Box \neg a_n)$  - - - - თ.
- (9).  $\frac{}{C_4M_1} a_1^0 \& \dots \& a_{n-1}^0 \supset \Box A$  - - - - (7)–(8)-დან  $R_1$ -ით.
- (10).  $\frac{}{C_4M_1} \Box A$  - - - - (9)-დან (1)–(8) ნა-
- (11).  $\frac{}{C_4M_1} \Box A \supset A$  ბიჯის (n-1)-ჯერ გამოყენებით.
- (12).  $\frac{}{C_4M_1} A$  - - - (10) და (11)-დან  $R_1$ -ით;

დებულება 8 დამტკიცებულია

$C_4M_2$ -აღრიცხვის აქსიომათა სისტემა.

- $A_1^2$ . მსგელობათა სრული აღრიცხვის აქსიომები
- $A_2^2$ .  $\Box B \supset B$
- $A_3^2$ .  $\Box (B \supset C) \supset (\Box B \supset \Box C)$
- $A_4^2$ .  $\Diamond B \supset \Box \Diamond B$
- $A_5^2$ .  $B \wedge C \supset \Box B \vee \Box C \supset \Box (B \supset C)$

დასკვნის წესები:

$$R_1: \frac{A \supset B, A}{B} \quad \text{და} \quad R_2: \frac{A}{\Box A}$$

$C_4M_2$  აღრიცხვაში დამტკიცებელია შემდეგი თეორემები:

- თ. 1'.  $B \& \neg \Box B \supset \neg \Box B$
- თ. 2'.  $\Diamond \Box B \supset \Box \neg \Box B$
- თ. 3'.  $\Box B \supset \Box \Box B$
- თ. 4'.  $\Diamond B \equiv \Box \Diamond B$
- თ. 5'.  $\Box (B \wedge C) \equiv (\Box B \& \Box C)$ .

დებულება 9.  $C_4M_2$ -ის ნებისმიერი  $A$  ფორმულა დამტკიცებულია  $C_4M_2$ -აღრიცხვაში მაშინ და მხოლოდ მაშინ როცა  $A$   $C_4M_2$  მართებულია.

დებულება 9 დამტკიცებულია დებულება 8-ის ანალოგიურად (თ.1'–თ.5')-ის საფუძველზე.

რა დამოკიდებულებაში არიან მოცემული  $C_4M_1$  და  $C_4M_2$ -აღრიცხვები კლასიკურ მოდალურ სისტემებთან?

$C_4M_1$ -აღრიცხვა არის ლუისის  $S_4$ -სისტემის გაფართოება, რადგან ამ უკანასკნელის აქსიომათა სისტემა შესდგება მხოლოდ  $A_0$ – $A_3$  აქსიომებისა და  $R_1$ ,  $R_2$  წესებისაგან.  $S_4$  შეიცავს 14 მოდალობას —  $\neg$  და  $\Box$  სიმბოლოთა, ნებისმიერ, ერთმანეთის არაექვივალენტურ მიმდევრობებს.<sup>17</sup>;  $\Box$ ;  $\Diamond$ ;  $\Box \Diamond$ ;  $\Diamond \Box$ ;  $\Box \Diamond \Box$ ;  $\Diamond \Box \Diamond$ ;  $\neg$ ,  $\neg \Box$ ,  $\Box \neg$ ,  $\neg \Box \Diamond$ ,  $\neg \Diamond \Box$ ;  $\neg \Box \Diamond \Box$ ;  $\neg \Diamond \Box \Diamond$ , ხოლო  $C_4M_1$ –8 მოდალობას, რადგან თ 4–თ 7-ის ძალით დამტკიცებულია, რომ  $\Box \Diamond B \equiv \Box B \equiv \Box \Diamond \Box B \equiv \Box \Diamond \Box \Diamond B$  და  $\Diamond \Box \neg B \equiv \neg \Box \Diamond B \equiv \neg \Box \Diamond \Box \neg B \equiv \neg \Box \Diamond \Box \Diamond \neg B$ : ესე იგი  $S_4$ -საგან განსხვავებით  $C_4M_1$  შეიცავს მხოლოდ შემდეგ 8 მოდალობას:

$$\neg; \Box; \Diamond; \Box \Diamond; \neg; \neg \Box; \neg \Diamond; \neg \Box \Diamond.$$

$C_4M_2$ -აღრიცხვა არის ლუისის  $S_5$  სისტემის გაფართოება. ეს უკანასკნელი არ შეიცავს მხოლოდ  $A_4'$  აქსიომას, ამ ფაქტის საფუძველზე ადვილად დამტკიცება  $A_4'$ -ის დამოუკიდებლობა.  $C_4M_2$  და  $S_5$  სისტემების მოდალობების რაოდენობა ტოლია 6-ისა და ურთიერთიგვივრი არიან.

<sup>16</sup> P. Фейс. Модальная логика. М., 1974, стр. 113-145.  
<sup>17</sup> „—“ სიმბოლო ივევობრივი ფუნქციის აღმნიშვნელია.

ელიზბარ ჯაველიძე

ჯეალ ედ-დინ რუმის კოსმოლოგია

სამყაროს რაობის პრობლემა ძველი შუმერული მითოლოგიიდან მოყოლებული დღემდე ნაიდაგ აწუხებდა ცივილიზებულ გონებას და მის ახსნას ცდილობდა მითოლოგიურ, რელიგიურ თუ ფილოსოფიურ პლანში\*) ეს საკითხი — ფართოდ წარმოდგენილი შუა საუკუნეების რელიგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებაში — სხვადასხვა კუთხით იყო დანახული და მოაზრებული. მაგრამ ამ დროისათვის განსაკუთრებით გაბატონებული იყო ბიბლიური, კრეაციონისტული და ნეოპლატონური თვალსაზრისი სამყაროს განსხვავებაზე: პირველი თვალსაზრისით, სამყაროს შემოქმედი არის პიროვნული ღმერთი, რომელიც თავისუფალი ნებით არარაობიდან ქმნის ხილვად ქვეყანას\*\* [24 (320)]; ხოლო მეორე თვალსაზრისით, სამყარო არის აბსოლუტური ჭეშმარიტების საფეხურებრივი ემანაცია, მარადიული ქმნადობის უწყვეტი გამოსხივება. ამ ორ თვალსაზრისს შორის არსებითი განსხვავებაა, მაგრამ რელიგიის ისტორიამ იცის შემთხვევები, როცა ეს ორი თვალსაზრისი ურთიერთის გვერდით არსებობს და ურთიერთს ავსებს კიდევ [54 (64—62); 62 (V 36)].

ისლამი იცნობს კრეაციონისტულ კოსმოლოგიასაც და ნეოპლატონურსაც, მუსლიმური თეოლოგიის, მისი აზროვნების საყრდენი — ყურანი ღმერთს გვიხატავს პიროვნულ შემოქმედად, რომელმაც წართქვა სიტყვა „ქუნ“ და განახსენულა სამყარო. სხვა აზრით კიდევ, ალაჰმა არარაობისაგან შექმნა საკუთარი მცდელობით სამყარო და მას ექვსი დღე და ღამე მოანდომა, ხოლო მიწისა და წყლისაგან ადამიანის ყალიბი გამოკვეთა და სული შთაბერა. ყურანში არსებული ეს კოსმოლოგიური შეხედულება ბიბლიური წარმომობისა უნდა იყოს. მაგრამ აქვე ვხვდებით ინდური კოსმოლოგიის ელემენტებსაც [43 (100)]. მოგვიანებით, ისლამის ფილოსოფიაში ნეოპლატონიზმის გავრცელების შემდგომ, ფართო აღიარება ჰპოვა ემანაციის თეორიამ. ნეოპლატონური კოსმოლოგია წინა პლანზე დგება და მოფიქრებული, სისტემატური მსჯელობით უპირისპირდება ისლამის კრეაციონისტულ პოზიციას. ამავე დროს ამა თუ იმ მოაზროვნის მსჯელობაში ხშირად ხდება ამ ორი შეხედულების ურთიერთშეჯერება თუ შექანიკური გაერთიანება. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია მისტიკური აზროვნებისათვის.

ჯეალ ედ-დინ რუმის მოძღვრებაში ორივე ეს თვალსაზრისი პარალელურად არის წარმოდგენილი. მეტიც, ისინი კოსმოლოგიის სხვა ელემენ-

\*) ამ საკითხის შესახებ არსებობს მდიდარი ლიტერატურა იხ., მაგ., [47 (41—146), 48 (60—76, 185, 288, 270), 49 (136, 132, 174, 343), 23 (23, 24, 46—56, 263—269, 351), [64].

\*\* კრეაციონისტული თვალსაზრისი რუსთაველთან მიმართებაში დამაჯერებლად აქვს ახსნილი ზ. გამსახურდიას [58 (37—50)].

ტებიტაც შემავრებულნი არიან. აშკარაა, რომ ამ საკითხის გაშუქებისთვის პოეტის ნააზრევი ეკლექტიკური ხასიათის ატარებს, მაგრამ ეს თვისება ახსნის თებს შუა საუკუნეების აღმოსავლეთის თითქმის ყველა პოეტს.

ვიდრე რუმის კოსმოლოგიის დახასიათებაზე ვადავიდოდეთ, უნდა შევეხოთ რამდენიმე საკითხს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან შემოქმედების აქტთან. ფილონის აზრით, შემოქმედება გულისხმობს უპირველესად მიზეზს შემოქმედი საგნებისას, მეორე — მატერიას, რისგანაც იქმნება; მესამე — მიზანს, რისთვისაც იქმნება; დაბოლოს, იარაღს, რომლის საშუალებითაც იქმნება [49 (127)].

ცხადია, მისტიკოსების გაგებით, შემოქმედების მიზეზი არის ღმერთი. ის არის აბსოლუტური საწყისი ყოველგვარი მოძრაობისა... ის არის აზროვნება, რომელსაც თბიქტად შეუძლია მხოლოდ თავისი თავი ჰყავდეს: ის არის აზრი აზრის შესახებ... ის არის აბსოლუტური თვითშემეცნება [23 (226)], ის არის წმინდა უმატერიო ყოფა, რომელიც არის პირველადი, საწყისი მიზეზიც და საბოლოო მიზეზიც [16 (42)]. პირველი მიზეზი არის აუცილებელი არსებობა, რომლის არსებობაც აუცილებელია ყველა დანარჩენი არსებობისათვის. მას არა აქვს გვარი, სახე, ღიფერენციაცია, ის არის გარეგანიც და შინაგანიც... [17 (153)], ის ჰივებს თავისი არსის წყალობით და არაფერს არ საჭიროებს [57 (277)]. მას, როგორც აბსოლუტურად უფორმოს და მიუწვდომელს, შეიძლება ვუწოდოთ არაფერი [54 (28)], მაგრამ ეს „არაფერი“ არის პრიმორდიალური მიზეზების შემქმნელი; ის არის მსოფლიო შემოქმედება, რომელიც ღვთიურობას ამტკიცებს თავის თავში [52 (71)]. ასე წარმოგვიდგენს პირველმიზეზს შუა საუკუნეების რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნება. მისტიკურად განწყობილი ღაზალი აკრიტიკებს ფილოსოფოსებს აღნიშნული რიგი საკითხების გამო; კერძოდ, მას არამართებულად მიაჩნია არისტოტელესეული თეზა, რომ პირველმიზეზს შესწევს უნარი მხოლოდ თავისი თავის მოაზრებისა. ასეთ შემთხვევაში ღმერთი თავის შესაძლებლობით აღამიანზე დაბლა დგას [57 (165)] მევლანაც ხაზს უსვამს ღმერთის ყოვლისშემძლეობას და ყოვლისმცოდნეობას. მაგრამ ის პირველმიზეზს გვიხატავს ზემიზეზად, რომელიც ყველას აუცილებლად სჭირდება და თვით ის კი არაფერს და არავის არ საჭიროებს: „უმიზეზო და მიზეზთაგან დაცლილი მისი საქმე ეზელიდან (პრეეგზისტენციული პერიოდთან) მარად არსებობს და მის მიზეზთაგან დაცლილ სრულქმნილ ხელოვნებაში არც უამიერი (შემდგომ შემქმნილი) მიზეზი დაეტევა და არც შემდგომ გაჩენილი რამ [1 (V, 913, 1929—30)]. მაგრამ, ღაზალის აზრით, შემოქმედს არ ეწოდება შემოქმედი მარტოოდნ იმიტომ, რომ იგი არის მიზეზი; არამედ მას ეწოდება შემოქმედი იმიტომ, რომ ის არის განსაკუთრებული სახის მიზეზი, კერძოდ, სურვილისა და ამორჩევის სახისა“ [57 (220)]. აქ დგება საკითხი, რომელმაც აგრეთვე ღიდი კამათი გამოიწვია მორწმუნეთა და ფილოსოფოსთა შორის: შემოქმედებითი აქტი ნებელობითია თუ უნებელია? ე. ი. სამყაროს განსხეულება შემოქმედის სურვილით ხდება, მიზნობრივ გეგმავლობით ემორჩილება, თუ თავისთავადი, უპიროვნო გარდაუვალი ბუნებრივი პროცესია? ღაზალის აზრით, „შემოქმედება ორგვარია: ნებელობითი — ცხოველისა და აღამიანის შემოქმედების მსგავსი და ბუნებრივი — სინათლის მიმართ, მზის სიმზურვალის მიმართ, ცეცხლისა და სივრცის მიმართ წყლის შემოქ-

მედების მსგავსი“... თქვენი (ფილოსოფოსების) აზრით, ღმერთმა შექმნა ყველაფერი და თანაწარუვალობასთან ერთად თავისი არსებისაგან მომდინარეობის გზით და არა სურვილისა და ამორჩევის გზით. უფრო მეტიც, ყოვლისშემკველობა მომდინარეობს მისი არსებისაგან ისევე, როგორც ნათელი მზისა აგან და ისევე, როგორც მზეს არავითარი ძალა არა აქვს ნათელისაგან თავის შეკავებაზე, პირველსაც არავითარი ძალა არა აქვს თავის შემოქმედებისაგან თავის შეკავებაზე“... [57 (319)]. აქ იჩენს თავს ერთ-ერთი არსებითი განსხვავება კრეაციონისტულ და ნეოპლატონურ კოსმოლოგიას შორის. სრულყოფილებისა და სისავსის გამო მზის ბუნებრივ გამოსხივებას უპირისპირდება ნებელობითი აქტი. მაგრამ თავიდათავი ას უნდა იყოს, რომ, თუ პლოტინის ფილოსოფიაში ტელეოლოგიური ცნება იმ თვალსაზრისით არის მოაზრებული, რომ რაციონალურ ელინურ კოსმოსს ლოგიკური გამართლება ეძლევა, თვისტური კრეაციონისტული თვალსაზრისით, ის ტიპური ანთროპოცენტრული ხასიათისაა. [21 (131—132)] აღმოსავლური მისტიციზმის კოსმოლოგია თავისი ეკლექტიკურობის გამო ორივე თვალსაზრისს მოიცავს.

ჯეალ ედ-დინ რუმის მოძღვრებაში სამყაროს განსხეულება და კოსმოსის შექმნა ღმერთის ნება-სურვილით ხორციელდება. ღაზალის რწმენით, შემოქმედი უცილობლად უნდა იყოს მსურველი და მეცნიერი იმისა, რაც სურს, — რათა ვახდეს შემოქმედი იმისა, რაც სურს [57 (219)]. ამ პოზიციასზე დგას მევლანაც. მისი მოაზრებით, სამყაროს განვითარების პრინციპი უდავოდ ტელეოლოგიური ხასიათისაა. სწორედ ეს განპირობებს აბსოლუტური კეშმარიტების პოზიტიური მხარის წარმოჩინებას და მის უკუმპირთებას ჩეგატიურ ასპექტთან. მიზნობრივია იდეიდან გადმოღვრილი, სულის მარადიული და წრიული მოძრაობაც. ამიტომაც არის, რომ ჯეალ ედ-დინ რუმის ფილოსოფიურ აზროვნებაში პირველ ადგილზე დგას მიზნის კატეგორია, ის არის პრინციპი სამყაროს შექმნისა და განვითარებისა; ამასთან — გაცილებით მნიშვნელოვანი, ვიდრე მიზეზ-შედეგობრივი მიმართება.

ტელეოლოგიური პრინციპი უკვე იკვეთება სოკრატეს ფილოსოფიურ სისტემაში [48 (452—455), 47 (177)] და შემდგომ განვითარებას პლატონს პლატონის ფილოსოფიაში; ამ უკანასკნელის აზრით, აბსოლუტური მიზნის იდეა უნდა იყოს ის, რომელსაც ემორჩილება ყველა სხვა დანარჩენი და ეს დაქვემდებარება უფრო ტელეოლოგიური ხასიათისაა, ვიდრე ლოგიკური; ამიტომაც ის მალა დგას როგორც გრძნობად ყოფიერებაზე, ასევე — ცნობიერებაზე, — ის არის მზე იდეათა სამყაროში [23 (169)]. ტელეოლოგიური ხასიათი მიიღო პლატონის ესთეტიკური აზრის განვითარებამაც. [42 (369)]. მიზნის კატეგორია ფართოდ არის წარმოდგენილი არისტოტელეს ფილოსოფიაში. არისტოტელემ ამ კატეგორიის მოაზრება ახალ საფეხურზე აიყვანა და ორ სახედ გამოიყვანა 1) „შინაგანი“, ძირითადი, — რომელიც არის მატერიალურ სამყაროში არსებულ ობიექტურ შესაძლებლობათა ასახვა და მოცემულია როგორც ორგანულ, ასევე არაორგანულ ბუნებაში და 2) „გარეგანი“, რომელიც უნდა მოიძიო ადამიანის გონებასა და სულში, ცნობიერების სფეროს განეკუთვნება და არის წარმმართველი მოქმედებისა. [28 (254—258)]. მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელემ წამოაყენა პროგრესული შეხედულება „შინაგანი“ მიზნის ცნებაზე, მან მაინც ვერ დაძლია პლატონის ტელეოლოგიის გარეგნული პრინციპი და მის ფილოსოფიურ სისტემაში „მიზ-



ნობრივი“ არის საბოლოო მიზეზი ყოველგვარი მოძრაობისა [28 (255)]. არის მიზანი — წერს არისტოტელე — და მიზნის გულისათვის არსებობს ყველაფერი დანარჩენი, ამიტომ ის არის მიზეზი „რისთვისაც“ (ради чего) [20 (45)]. არისტოტელეს ეს თეზა შუა საუკუნეების თეოლოგიის, მისტიკისა და, მოგვიანებით, ლაიბნიცისა და კანტის აზროვნების წყაროდ იქცა [50 (22—23)].

მიზნის კატეგორია და, საერთოდ, სამყაროსა და კოსმოსის განსხვავების ტელეოლოგიური პრინციპით წარმოსახვა განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი შუა საუკუნეების რელიგიურ აზროვნებაში [59 (45)]. მას საქმოდ დიდი ადგილი ეთმობა ისლამის ფილოსოფიურ თუ მისტიკურ მოძღვრებებშიც. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რუმის მსოფლმხედველობაში რის ცნება არის ყოველგვარი მოქმედების განმსაზღვრელი მიზეზი, ე. ი. მოაზრებულაა როგორც საბოლოო მიზეზი (causa finalis). მევლანას თვალთახედვით, კოსმოსი და სამყარო უღარესად რთული და მრავალმხრივი, ურთიერთთან დაკავშირებული ორგანიზებული სისტემაა. აქ ყოველი ნაწილი მთელთან კავშირშია: A ელემენტი მიემართება B-ს, ეს უკანასკნელი — C ელემენტს ისე, რომ A ელემენტთან მიმართებას არ კარგავს. თუ კი A-მ განაპირობა B-ს წარმოქმნა და B-მ — C-ს წარმოქმნა, მაშინ A იქნება B-ს მიზეზი, B კი იქნება A-ს შედეგი, ხოლო B თავისთავად და იმავდროულად არის მიზეზი C-სი და ა. შ. ასეთი მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება შეიძლება გავრძელდეს უსასრულოდ, თუ კი ამ მიმართებას არ ექნა საბოლოო მიზეზი და უსაწყისო იქნება, თუ კი პირველმიზეზის არსებობა არ ვიგულისხმეთ. მიზეზი ქმნის შედეგს, ამიტომ მისი განმსაზღვრელია, რადგან „არც ერთი მოქმედება არ შეიძლება იყოს თავის მიზეზზე დიდი, რამეთუ მიზეზს არ შეუძლია, მოგვეცეს ის, რაც არ გააჩნია“ [27 (142)]; მაგრამ მიზეზისაგან დაბადებული შედეგი, თვით იქცევა ხოლმე სხვა შედეგის მიზეზად<sup>1</sup>. რუმში წერს:

„ეს ქვეყანაც და ის ქვეყანაც მარად იბადება,  
ყველა მიზეზი დედაა, ბადებს შვილს — შედეგს,  
მაგრამ როგორც კი შედეგი დაიბადა, ის მაშინვე იქცევა მიზეზად,  
რათა მან შვას საოცარი შედეგები“ [1 (II, 247, 1000—1001)].

შობილი შედეგი განსხვავდება დედისაგან (მიზეზისაგან), მათ შორის არ არის მსგავსება; მიზეზი სხვაა, მისგან წარმოშობილი შედეგი კი სხვაა. თესლი არ ჰგავს ხეს, ტოტი და ნაყოფი — თესლს; თესლი პურისაგან იქმნება, მაგრამ პურს არ ჰგავს... ღრუბელი ორთქლისაგან წარმოიქმნება, მაგრამ ორთქლს არ ჰგავს... ერთი სიტყვით, არც ერთი საფუძველი შედეგს არ ჰგავს, მაგრამ შედეგი აუცილებლად გულისხმობს მიზეზს [1 (V, 1026, 3979—85)]. ეს მიზეზ-შედეგობრივი მიმართება, პოეტის აზრით, განსხვავებული სამყაროსათვის არის ნიშანდობლივი და შეიქმნა მაშინ, როცა ღმერთის სიბრძნემ ორი პირისპირდებული ცნება — სული და სხეული გარღვევად დაუქავეშირა ურთიერთს: სული უსხეულოდ საქმისთვის უფარგისია, ყალიბი კი უსულოდ გაიყინება. უჩინარისა და ჩენილის მიმართებებმა წარმოშვეს ამქვეყნიური მიზეზებიც [1 (V, 998, 3423—24)]. პოეტის რწმენით, ყველა ამ მიზეზს ღმერთი ქმნის თავის ნება-სურვილით; ღმერთის სამანდა-

<sup>1</sup> მიზეზ-შედეგობრივ მიმართებას ამგვარადვე იაზრებს პეტრიწი [იხ. 65 (41—53)].



უღებელი ველია მათი საშობლო. [1 (IV, 743, 2381)] და მათ მიმართებაში და მოქმედებასაც უფალი წარმართავს. [3 (225)] მიზეზების შექმნას აქვს ვარკვეული გამართლება, და მათი საშუალებით მაძიებელი მიზანს ეწევა, მიზეზი რომ არ იყოს, მურიდი გზას ვერ იპოვნიდა. [1 (V, 899—900, 1546—1550)] ამიტომ უნდა მიეცე მიზეზთა ძიებას, მაგრამ ამით არ უნდა დაბრმავდეს და პირველი მიზეზი არ უნდა უგულებელყო [1 (V, 899, 1547)] ამავე დროს მიზეზები გვევლინება ფარდად. ყველა არ არის ღირსი, რომ ღმერთის ხელოვნება დაინახოს: საჭიროა ისეთი თვალი, რომელიც მიზეზების ფარდას გაგლეჯს და ეცდება, იმის ხილვას, ვინც არის უადგილო სამყაროში, მიზეზების შემქმნელი. [1 (V, 900, 1551—53)] მასასადამე, მიზეზობრივ მიმართებათა შესწავლას მაშინ აქვს გამართლება, როცა მათ მიყვავართ პირველადი მიზეზისაკენ. ადამიანის უმთავრესი ამოცანა პირველ მიზეზის ძიებაა. ეთქვათ, წყალი ამოგაქვს ჭიდან. ამ შემთხვევაში წყლის ამოღების მიზეზი არის თოკი, მაგრამ თოკი ვერ ამოიღებდა წყალს, რომ არ იყოს ბორბლის ტრიალი, რომელიც არის მიზეზი თოკის დახვევისა, მაგრამ ბორბალს ჰყავს დამტრიალებელი და მისი არდანახვა შეცდომაა [1 (I, 41—42, 643—649)]. სამწუხაროა, რომ უმეცარი ხალხი ამქვეყნიური მიზეზებით არის დაბრმავებული [1 (VI, 1155, 2318)], მართებულად ამჩნევს, რომ წყალი დღეღდება, ორთქლად იქცევა და შემდეგ წყლად მოგვევლინება. მაგრამ ისინი მხოლოდ ამით კმაყოფილდებიან და უგულებელყოფენ მიზეზთა მიზეზს [1 (III, 539, 3151—54)]. თუ ამ თვალსაზრისით მივედგებით, მიზეზ-შედევობრივი მიმართება ხელს უშლის ჭეშმარიტი ცოდნის მიღებას, ის დასაგზობია და უკუსაგდება. სწორედ, ამ მისიისთვის მოგვევლინენ წინასწარმეტყველნი [1 (III, 508, 2516—17)]. ყურანიც მთლიანად მიზეზთა უარყოფაა [1 (III, 508, 2520)]. ჭეშმარიტმა მაძიებელმა უნდა მიადწიოს იმ საფეხურს, სადაც არ არსებობს არავითარი მიზეზ-შედევობრივი მიმართება [1 (II, 286, 1843)].

ჯელად ედ-დინ რუმის ასეთი მსჯელობით აშკარა ხდება, რომ მიზეზთა ჯაქვს მხოლოდ მაშინ აქვს გამართლება, თუ კი ის მიზნისაკენ არის მიმართული, ე. ი. თუ ეს მიზეზები ტელეოლოგიურ მიმართებათა რიგშია მოცემული: „რადგან ყველა გზაზე მიზნის მისაღწევად მიზეზებია, თარიკათი არის და მიზანს ვერ მიადწევ, თუ არა იმ მიზეზთა საშუალებით, — წერს მევლანა, — მაგრამ გზა გრძელია, საშიშროებითა და წინააღმდეგობებით სავსე. შეიძლება მიზეზი მიზნის საწინააღმდეგოდ იქცეს“ [3 (145)].

როგორ უნდა გავიგოთ მიზნობრივი ცნება? ცხოვრებისეულ მოვლენათა დაკვირვებებით ხშირად შეიმჩნევა რიგ მიმართებაში, რომ A არის B-ს მიზეზი, ხოლო თუ ამ მიმართებას სხვა კუთხით განვიხილავთ, შეიძლება B იქცეს A-ს მიზეზად. მაგალითად, მებაღემ ხე დარგო, ხემ ნაყოფი გამოიღო, — ასეთ ვითარებაში ხე არის მიზეზი ნაყოფის გამოღებისა, ხოლო თუ ამ მიმართებას ტელეოლოგიური ანუ გათვითცნობიერებული მოქმედების თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ ნაყოფი არის ხის დარგვის მიზეზი; მაგრამ თუ ხე არის მხოლოდ და მხოლოდ ნაყოფის მიზეზი, ნაყოფი არის ხის მიზნობრივი მიზეზი. მიზნობრივ მიმართებათა თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ხის დარგვის პროცესი წინ უსწრებს და მიზეზია ნაყოფის გამოღებისა, მთავარი მიზეზი მაინც ნაყოფია, რადგან შემოქმედების აქტის განმაპირობებელი ის არის და ცნობიერებაში იმანენტურად

ის უპირველესია. მევლანა ასე მსჯელობს: ეს სიმაღლე ადგილის სიმაღლესთან არის ერთნაირი, ეს არის გონისა და სულის სიმაღლე. ყველა მიზეზი შედეგზე მალა დგას. კვესი ნაპერწკალზე მალა დგას... პირველადი არის ქვა და რკინა, ამიტომაც საქმეში უპირატესობა ორივეს ეგების; ე. ი. ნაპერწკლის მისაღებად ისინი არიან უცილობელად საჭირო, მაგრამ რადგანაც კვესის მიზანი არის რკინისა და ქვისგან წარმოქმნილი ნაპერწკალი, ეს უკანასკნელი გაცილებით წინ დგას მათზე... ჯერ არის ქვა და რკინა, შემდგომ ნაპერწკალი, მაგრამ ეს ორივე სხეულია, ხოლო სული კი არის ნაპერწკალი. ნაპერწკალი, მართალია, დროის თვალსაზრისით კვესის შემდგომ იქმნება, მაგრამ თვისობრივი ღირებულებით მასზე მალა დგას. თუმცა, დროის თვალსაზრისით, რტო ნაყოფზე ადრეა შექმნილი, მაგრამ, ხელოვნების აზრით, ის მალა დგას მასზე. რადგან ხის მიზანი ნაყოფია, ასეთ ვითარებაში ნაყოფია უწინარესი, შემდგომია ხის შექმნა [1 (II, 292, 1966—70)]. ამ აზრს პოეტი არაერთგზის გამოთქვამს [1 (III, 432, 1128), 3 (224)] ხშირად, გარეგნული, ცხადეული მიმართებით (მიზეზთა რიგით) ისე ჩანს, რომ ვარსკვლავთა გამო არის ჩვენი არსებობა, მაშინ როცა შინაგანად (მიზნობრივი თვალთახედვით) ჩვენ ვაპირებებთ ცის არსებობას. გარეგნულად ის ტოტი არის მიზეზი ნაყოფისა, მაგრამ სინამდვილეში ტოტი ნაყოფისათვის (ხილისთვის) შეიქმნა. ხილის მოწვევის სურვილი რომ არ ჰქონოდა, მებაღე არ დარგავდა ხეს. ამგვარად აზრობრივად (შინაგანად) ის ხე ნაყოფისგან წარმოიშვა. თუმცა გარეგნულად (ფორმალურად) ის არის მისი შემქმნელი [1 (IV, 651, 520—25)]. შუა საუკუნეებში ეს აზრი ფართოდ იყო გავრცელებული:

„Каждое творение делает свое дело ради какой нибудь цели. Цель всегда первое в мысли и последнее в деле“ [55 (72)] მევლანას მოაზრებითაც ყოველგვარ შემოქმედებას იდეა უსწრებს წინ და ეს იდეა განსაზღვრავს განსხეულებას. ჯერ ხუროთმოძღვრის გონებაში ჩნდება გარკვეული მოხაზავი, მევლანას სიტყვით, ფიქრი და აზრი ქმნის იარაღებსაც, ტყიდან მოაქვს ძელები და ასე შენდება სახლი. ასევეა სამყაროს მოღვივებელიც, ყველა მისი ნაწილი და მიმართება წინასწარ არის გააზრებული. პოეტი ამბობს: „ჯერ არის ფიქრი, შემდეგ ქმედება იწყება“

სამყაროს განსხეულება ასეა ეხელიდან მოყოლებული“ [1 (II, 245—46, 965—69)].

ამჟამად, რომ პოეტის ნააზრევში ბატონობს კოსმოლოგიის ტელეოლოგიური პრინციპი. სამყარო და ყოველივე სულდგმული გარკვეული მიზნობრივი მიზეზით არის შექმნილი და ამ მიმართებებით ურთიერთთან დაკავშირებული. ჰუსმედინისადმი მიწერილ წერილში მევლანა წერს: „ამ სამყაროს მიზანია ადამიანი, ადამიანის მიზანი ის წამია: სხეულის მიზანი სულის მოსვლა, სულის მიზანია ორგანოების, გრძნობების მოწესრიგება; გრძნობათა და ორგანოთა მოწესრიგების მიზანი კი გულის სრულყოფილებაა, ხოლო გულის მიზანი გულის საწადელი სატრფოა [5.(197)]. დანტე ალიგიერიც, იმოწმებს რა არისტოტელეს ფილოსოფიას, ასეთსავე აზრს ავითარებს თავის „მონარქიაში“. მისი აზრით, ღმერთი და ბუნება არაფერს არ ქმნის ამაოდ [26 (307)] და ყოველ ქმნილებას აქვს თავისი მიზნობრივი დანიშნულება, სხვა დანიშნულება აქვს თითოს, სხვა — ხელისგულს, სხვა — ხელს, სხვა დანიშნულება აქვს ადამიანს მარტოხელას და სხვა მიზანი აქვს მის ოჯახურ ცხოვრებას და ა. შ.



დაბოლოს „არსებობის საბოლოო მიზანი, რომლისთვისაც ის (ღმერთი) სერიგებს მთელ ადამიანთა გვარს საერთოდ [26 (306—307)]. ასეთი მსჯელობა ნიშანდობლივია შუა საუკუნეების ფილოსოფიურ-რელიგიური აზროვნებისათვის.

ტეოლოგიური პრინციპით მოაზრებული კოსმოლოგია უპირველესად ითხოვს პასუხს კითხვაზე: რა საფუძველი უდევს სამყაროს შემოქმედებითს აქტს? სხვანაირად რომ ვთქვათ, რა მიზნით ახდენს აბსოლუტური ჰეგემონიკობა თავისი პოტენციური შესაძლებლობის რეალიზაციას და თავისი ნეგატიური ყოფის პოზიტიურად წარმოჩენას, უფრობის ფერში მოქცევას? — ეს საკითხი იღვას შუა საუკუნეების რელიგიური ფილოსოფიის წინაშე და მას გვერდს ვერ აუვლიდა ჯელალ ელ-დინ რუმი. ამ კითხვაზე არსებობდა სუფიურ აზროვნებაში შემუშავებული ტრადიციული პასუხი. ღმერთი იყო უხილავი ასპექტი, მას სურდა ჩენილი ყოფილიყო და თავისი თავი ხილვადში განაფინა. უფრო სწორად, თავისი ნეგატიური არსებობის პოზიტიური მხარე წარმოაჩინა, რომელიც მისი თვითობა არ არის, მაგრამ არც მისგან განსხვავდება. მაგრამ რა მიზნით ხდება ეს გამოჩენება, რა საფუძველი უდევს შემოქმედებითს აქტს, აბსოლუტური ჰეგემონიკობის გამოსხივებას? განსხვავების მიზანი ძირითადად სამი კუთხით არის წარმოჩენილი: 1) ღმერთი არის აბსოლუტური მშვენიერება, მას სურდა მისი მშვენიერება ჩენილი ყოფილიყო, ამიტომ შექმნა სარკე-სამყარო სადაც აირეკლება მისი მშვენიერი ატრიბუტები [14 (80)]; 2) ღმერთს, აბსოლუტურ სისასეს სურდა ჰქონოდა ჩენილი ასპექტი და შექმნა თავისი სიყვარულის ობიექტი, რომელიც ამავე დროს იქნებოდა სუბიექტიც და მას, როგორც სიყვარულის ობიექტს, შეიყვარებდა [10 (341), 9 (139—140)]; 3) ღმერთს, აბსოლუტურ სიბრძნეს, სურდა შეექმნა ობიექტი, რომელშიც სრულად აისახებოდა მისი სიბრძნის ატრიბუტები და იქცეოდა მისი მოაზრების საგნად, ხოლო ეს უკანასკნელი დაჯილდოებული იქნებოდა უნარით, რომ თვით აბსოლუტური სიბრძნისაკენ მიემართა თავისი შემეცნებითი მზერა [29 (109)]. როგორც ვხედავთ, პირველ შემთხვევაში განსხვავებას ეღვება ესთეტიკური პრინციპი, მეორეში — ეროტიკული, ხოლო მესამეში — ენოსეოლოგიური. შუა საუკუნეების მისტიკურ ნააზრევში სამივე ეს პრინციპი ავსებს ურთიერთს და ბუნებრივად არის ერთმანეთში შერწყმული. მთავარია ადამიანმა შეიმეცნოს და აღიქვას ღმერთი, მაგრამ ეს, მისტიკოსთა აზრით, ყოვლად შეუძლებელია რაციონალური მსჯელობით. ღმერთის შემეცნება ხერხდება მხოლოდ ინტუიტიური ჩაძირვით თავისთავში და ეგზალტირებული ხილვით, რაც უკვე თავის თავად ესთეტიკურ მომენტს გულისხმობს. მაგრამ ეს ესთეტიკური ხილვა კი შესაძლებელია მხოლოდ ეროტიკულ გრძნობათა მოშველიებით, სიყვარულის განსაწმენდელში გავლის შემდგომ. ამაზე დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ. შემოქმედის ქმედების აქტის განმაპირობებელი მიზნის განხორციელება ამ მრავალფეროვან ხილვადს სამყაროში შესწევს მხოლოდ ადამიანს, ამიტომ მისი შექმნა არის ღმერთის ქმედების მიზანი. მაგრამ თვით ადამიანი არ შეიძლება იყოს საბოლოო მიზანი შემოქმედის განსხვავების აქტისა, არამედ — მისი ქცევა და შესაძლებლობა. რადგან შუა საუკუნეების აზროვნებაში ფართოდ იყო გავრცელებული

არისტოტელეს თეზა, რომ „საბოლოო მიზანი არის არა თვით შექმნილი არსება, არამედ ამ არსებისათვის დამახასიათებელი მოქმედება“ [18 (II)] [26 (307)], აქედან აშკარა ხდება, რომ სამყაროს განივთებას საფუძვლად ედება ადამიანი, ამიტომ ის (სამყარო) მისი სამსახურისთვის იქმნება და მას ემორჩილება. მაგრამ თვით ადამიანის ძირითადი მიზანი ღმერთის მშვენიერების აღქმა და ხილვაა. მიზეზობრივი მიმართებით, სამყარო არის მიზეზი და შემოქმედი ადამიანისა, მაგრამ ტელეოლოგიურად მისი შექმნის საფუძველი ადამიანია, უფრო სწორად, მისი ხილვისა და შემეცნების უნარი, რაც არის სუფიური კოსმოლოგიის საბოლოო მიზანი.

ჯელალ ედ-დინ რუმის მოძღვრებაში სამყაროს განსხეულებას საფუძველად ედება როგორც ესთეტიკური, ასევე ეროტიკული და გნოსეოლოგიური მიზანი.

მევლანას რწმენით, ადამიანის ძირითადი მიზანია, მიაღწიოს ჭეშმარიტი მშვენიერების ხილვას და როცა იქ მივალწვეთ, ღმერთს უნდა ვკითხოთ: „რატომ დააშთო წყალობის ზღვა და ჩვენ უწყალოდ ტალახში რატომ ჩაგვავადო? ესოდენ დიდია შენი წყალობა და ჩვენ რატომ დავგჩაგრე? მაღალი ღმერთი კი ბუნებრივად გვიასუსხებს: მე უადგილობის სამყაროში ვული, უჩინარი, ფარდის უკან მალული საგანძური ვიყავი. მსურდა, არსებობის ფარდის გახსნა და ჩემი სრულყოფილი სილამაზის წარმოჩინება და (იმის დამტკიცება) რომ ვარ „ბედნიერების ქიმი“ და უკვდავების წყალი [4 (118)]. აქ განსხეულება სამყაროსი ახსნილია ესთეტიკური პრინციპით, მაგრამ სხვაგან მევლანა სიყვარულის გრძნობას იშველიებს და ამით ხსნის კოსმოლოგიას:

„თუ კი აღელდება ზღვა, მისი აღელვება ქაფად იქცევა,  
მისი აღელვება (გვამცნობს საიდუმლოებას): „მსურდა საცნაური  
ვყოფილიყავი.“

შევიყვარე და ხალხი შეექმენი“ [1 (VI, 1077, 698)].

მოცემულ ციტატაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ღმერთმა შეიყვარა და ამ მიზნით შექმნა ხალხი, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ თვით ისიც სიყვარულის ობიექტად უნდა იქცეს. ეს არის ეროტიკული მიზნის მოხმობა. დაბოლოს, მევლანა ასახელებს გნოსეოლოგიურ შემეცნებითს მიზანს სამყაროს განსხეულებისას, ის წერს: დიდმა ღმერთმა ბრძანა „მე ვიყავი მალული საგანძური, მსურდა საცნაური ვყოფილიყავი; მე შემეცნონო ვთქვი, ანუ მთელი ქვეყანა შეგქმენი, ზოგი წყალობით, ზოგი რისხვით, მაგრამ ყველას მიზანი არის ჩემი თავის ჩვენება“ [3 (151)].

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მევლანას ნააზრევში სამივე ეს პირობა ერთ მთლიან სამკუთხედს ქმნის და ერთი პირობის არსებობა თავისთავად გულისხმობს დანარჩენი მიზეზების მიმართებას მასთან. ერთი სიტყვით, ჯელალ ედ-დინ რუმის კოსმოლოგიაში წამყვანი და ძირითადი ადგილი უჭირავს განვითარების ტელეოლოგიურ პრინციპს, რომლის საბოლოო მიზანია ღვთის შემეცნება მისტრიკური თვალთახედვით, რაც თავისთავად გულისხმობს სიყვარულის მოაზრებას მამოძრავებელ ძალად, რის მეოხებითაც ხდება ადამიანის ზნეობრივ-ეთიკური დახვეწა და მისი ამაღლება ესთეტიკურად გაგებულ ხილვის საფეხურამდე, სადაც აბსოლუტური მშვენიერება წამიერად მოიხილება და ხდება ობიექტისა და სუბიექტის შერწყმა. ამგვარად, როცა ჯელალ ედ-დინ რუმის მისტრიკურ პრობლემებზე ვმსჯელობთ, უცილობლად საყურადღებ-

ბოა მისი ესთეტიკური პრინციპები და პირუტყუ, მისი ესთეტიკური ნააზრევო წარმოუდგენელია მისტიკის გარეშე.

შემოქმედება თავისთავად იყოფა ორად:

იმაღ, რაც სრულდება იარაღით, და იმაღ, რაც იარაღის გარეშე სრულდება“ [57 (221)].

მეკლანას მოძღვრებაში ღმერთი დახასიათებულია როგორც უიარაღო შემოქმედი, რომელიც ყოველივეს განაგებს და ადამიანს სხვადასხვა მდგომარეობაში მოაქცევს, თვითონ კი მარად იგივე რჩება [1 (I, 185, 3744) 2 (166)]. ზათს არც მატება აქვს და არც კლება, სამყაროს შექმნით ის არც გაზრდილა და არც მომატებულა... ([1 (IV, 708, 1665—66)].

როცა ტელეოლოგიური პრინციპით ხდება სამყაროს შექმნა, მაშინ ბუნებრივად დგება საკითხი სამყაროსა და ხელოვნების ნიმუშის მსგავსების შესახებ. ამას აღნიშნავდა თავის დროზე არისტოტელეც, რომელიც ბუნების ქმნალობებში უფრო მეტ მშვენიერსა და მიზნობრივს ხედავდა, ვიდრე ხელოვნების ნიმუშში [19 (35)]. ამიტომ, ძალზე ხშირად, შუა საუკუნეების აზროვნებაში ღმერთი წარმოდგენილი იყო როგორც მხატვარი ან ხუროთმოძღვარი, რომელიც ჯერ იაზრებს და იდეალურ მოდელებს ქმნის და მერე განასხეულებს მათ [44 (300), 54 (126)]. პლოტინი, მართალია, უარყოფს ამ მოსაზრებას და მიუღებლად მიაჩნია შემოქმედის მიმსგავსება მხატვართან, რომელიც წინასწარი მონახაზითა და ჩანაფიქრით ახორციელებს თავის ქმნილებას, მაგრამ დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ ხილვად სამყაროში არსებული ყვილა საკნის ფორმა იდეალური სახით მოცემულია თვით აბსოლუტურ მშვენიერებაში და ეს უკანასკნელი ხან უშუალოდ ძერწავს თავის პორტრეტს, ხან კი უწიერსაღური სულისა და ხანაც ინდივიდუალური სულის საშუალებით განაცხადებს მას [32 (186—187)]. მეკლანას რწმენით, ღმერთი არის უდიდესი ხუროთმოძღვარი, რომელიც გეგმაზომიერად ავებს სამყაროს. ის არის ქეშმარიტი ხელოვანი: არასოდეს ცხენის სხეულს ხარის ნაწილს არ გამოაბამს [1 (VI, 1213, 3507—10)]. ხილვად სამყაროში განხორციელებული ყოველგვარი შემოქმედებითი აქტიც შემოქმედის ნება-სურვილსა და მის იდეალურ ფორმას ექვემდებარება; ვიდრე სამყაროს აავებდა, მან შექმნა წინასწარი მოღელი და მისი არსებობის სურვილი აღუძრა ყველას. ღმერთმა თავის აზრში გამოავლინა ინტელიგიბელური სამყარო, ანუ არქეტიპები, იდეები, საგანთა პირველი სახეები (ფილონი), ერთი სიტყვით, შექმნა ღვთაური ბუნება — Divina Natura [52 (98)]: „აი, ამ სახლში რომ ვზვიართ, მისი ფორმა ჯერ ხუროთმოძღვრის გულში იყო... დიდი ღმერთიც ასეა, როცა მას აღუძრა სურვილი, შეექმნა ქვეყნად იშვიათი და საოცარი ფერად-ფერადი რამეები... სხვადასხვა მეცნიერებანი და ნაწარმოებები... შინაგანობაში აღძრა მათი სურვილი, საჭიროება და მხოლოდ ამის შემდგომ წარმოაჩინა ისინი. ამგვარად, რასაც ამ ქვეყნად ხედავ, იცოდე რომ იმ ქვეყნადაც არის. რაც ცვარ-შია, ოკეანეშიც არის, რადგან ის ცვარი იმ ოკეანესგანაა. ამგვარად შემოქმედმა ეს ცა, დედამიწა, არში, კურსი და სხვა განსაცვიფრებელ რამეთა სურვილი და საჭიროება შექმნა და სამყარო ამის გამო განსხეულდა [3 (140); 5 (148)]. სოფლისა და ზეშთასოფლის გეგმაზომილ მიმართებაზე. რომელიც რუმის აზროვნებას პლატონისა და პლოტინის ფილოსოფიურ სისტემებს აახლოვებს, ქვემოთ ვისაუბრებთ. ამჯერად ჩვენთვის ის არის საინტერესო, რომ, მეკლანას მოაზრებით, ღმერთი ხელოვანი შემოქ-

მედია, რომელიც თავის ფიქრს მისთვის სასურველ ფორმაში აქცევს. სიტყვით, ღმერთი შავი მიწისაგან დაფას იკეთებს და მასზე რასაც სურს შლის, იმას ხატავს... ერთ-ერთ რობაიში მევლანა წერს:

„ეი, შავი მიწისაგან (სათამაშო) ხალიჩას რომ აკეთებ,  
ყოველ წამს მას სხვა ნახატში მოაქცევ,  
ხან აშამათებ და ხან კი გლოვაში მოაქცევ,  
დიდება შენ, მშვენიერი ხელოვნება გაქვს, თვით მშვენიერი ხე-  
ლოვანი ხარ [2 (1467)].“

ალაჰი ქმნის მახინჯ და ლამაზ სურათებსაც და ეს მის ხელოვნებაზე მეტყვე-  
ლებს, მის უბადლო ოსტატობას მიგვანიშნებს [1 (II, 319, 2537—40)]. ასე-  
თი მსჯელობით ჯეალ ედ-დინ რუმის მოძღვრებაში სამყაროს განსხეულება  
ხშირად ხელოვანის შემოქმედების აქტს უტოლდება და თვით ორგანული ბუ-  
ნება ხელოვნების ტილოდ არის მოაზრებული. ცხადია, ამ დროს პოეტი  
კრეაციონისტულ პოზიციაზე დგას, თუმცა იდეალური ფორმების წინასწარ  
არსებობა უცილობელი პირობაა პლატონის კოსმოლოგიისათვისაც; სადაც  
უგულებელყოფილია ყოველგვარი კრეაციონისტული თვალთახედვა. სხვა-  
გან პოეტის კრეაციონისტული თვალსაზრისი უფრო ნათლად იკვეთება. მე-  
ვლანა გვაუწყებს, რომ ღმერთმა დინჯად შექმნა სამყარო ექვსი დღის გან-  
მავლობაში და ყველა ეს დღე ათას წელიწადს უდრის... შემდეგ თიხა ნე-  
ლა გამოირჩა და ადამიანი შექმნა ორმოცი დღის განმავლობაში [1 (III,  
1103, 213—16)]. ღმერთი დინჯი და აუჩქარებელი შემოქმედია, თორემ  
განა მას არ შეეძლო ეთქვა სიტყვა „ქუნ“ და სამყაროც უმალ შეიქმნეო-  
და [1 (VI, 1103, 1213) (II, 556, 3501)]. მაგრამ სხვა ადგილას უკვე ღვთის  
ბრძანებით „ქუნ“-ით იქმნება სამყარო [1 (I, 105, 2124)]. თავს იჩენს ერთ-  
გვარი შეუსაბამობა, რომელიც არც თუ იშვიათია მევლანას პოეტურ ნააზ-  
რევაში. უფალი თავისი ხელოვნებით უმყოფობიდან ქმნის ამ სამყაროს და  
მის მსგავს ათასს [1 (I, 26, 522)], მან შექმნა მიწაც — მიწათმოყველთათვის  
და მანვე შექმნა ცა — ცადმოყველთათვის [1 (I, 118, 2387)]. ყოველივე ის-  
პობა და ქრება მისი ბრძანებით. ასიათასობით პირისპირდებული ანადგურებს  
პირისპირდებულს, შემდგომ, მისი ბრძანებით, ისინი ისევ ყოფიერებას უბ-  
რუნდებიან. ყოველ წამს უმყოფლობიდან ყოფიერ სამყაროში განუწყვე-  
ტელ მწკრივად ასიათასობით ქარავანი მოდის, მკვიდრდება [1 (I, 93, 1883)].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯეალ ედ-დინ რუმის მოძღვრებაში კოსმო-  
ლოგიურ ელემენტად გამოდის ადამიანის ჩასახვისა და განვითარების ფიზიო-  
ლოგიური პროცესიც. ადამის ცოდვად დაცემის შემდგომ კაცობრიობა ვითარ-  
დება ბრმა ფიზიკური გრძნობის საშუალებით. მაგრამ ამ აქტსაც განაგებს  
უფლის ნება-სურვილი. მევლანა ხშირად მსჯელობს ბავშვის ჩასახვაზე და  
საკმაოდ კარგ სამედიცინო განათლებას ამჟღავნებს. მისი აზრით, დიდმა  
ღმერთმა მამის წელს გაუხსნა გზა დედის საშოსაკენ, რათა შთამომავლობა  
არსებობდეს ქვეყნად [1 (IV, 77, 2447)]. ღმერთის ყველაზე მცირე საქმე  
ის არის, რომ ამ ქვეყანაზე სამ ლაშქარს აგზავნის: პირველი ლაშქარი (ბავ-  
შვი) ჩაისახოსო მამის წელიდან დედის საშოში მიემართება; მეორე ლაშ-  
ქარი საშოდან ამქვეყნად მოემართება, რათა ქვეყანა მამებითა და დედებით  
აივსოს; ერთი ლაშქარიც დედამიწიდან მიიმართება ეზელისაკენ, რათა  
ყველამ ნახოს თავის საქმის მშვენიერება [1 (I, 152, 3072—74)]. გამოდის,



რომ ღმერთი განაგებს ადამიანის ფიზიკური განვითარების პროცესსაც: მის ჩასახვას, დაბადებას, გარდაცვალებას. ხდება ადამიანის განვითარება სპერმიდან გონებამდე, მაგრამ ეს არ არის სივრცობრივი ზეალსვლა: „შენ სპერმა იყავ, გონებამდე იმოგზაურე, — ამბობს მევლანა, ისე რომ არც ნაბიჯი გადაგიღვამს, არც მანძილი გაგივლია, არც გადასახლებულხარ“ [1 (III, 481, 1979)] რასაც ჩვენ სპერმად აღვიქვამთ, ის ღმერთის საუფლოში იქმნება და არის უკვე გამოკვეთილი მეობის ფორმა:

„არმოყოფბაში ამ სპერმას ჰქონდა უკვე ფორმა  
 უფლის წინაშე შეიქმნა ნამეტისა და ნაკლის გარეშე“  
 [1 (I, 61, 1243)].

მევლანას რწმენით, უკვე სპერმაშივე დადგენილია ღმერთის მიერ ადამიანის რაობა და სახელი, მიაი გარეგნობაც. მაგრამ ღმერთი დედის საშოში ჩასახვის შემდგომაც აწესრიგებს ადამიანის განვითარებას. დედის საშოშივე მას სულს შთაუბერავს და ანიჭებს უნარს ისეთი ნაწილები მიიზიდოს, რომელნიც მის ახელს აძლიერებენ, აღონიერებენ მიღებული საკვებით; ამ ნაწილებს იზრავს და ამგვარად სხეულის ქსოვილს ქსოვს. ღმერთი ადამიანს ორმოც წლამდე აძლევს სიხარბეს, რათა ეს ნაწილები მიიზიდოს... ისიც იზრდება, ვაჟაცდება, ღონიერდება [1 (III, 476, 1756—58)]. ამკარა ხდება, რომ მევლანას კოსმოლოგიის მთლიანი სურათის ერთ-ერთ დეტალურად წარმოდგენილია ადამიანის ჩასახვისა და განვითარების ფიზიოლოგიური პროცესი, რაც ერთობ საყურადღებოა.

მაგრამ მისტკურ კოსმოლოგიაში წამყვანი ადგილი უჭირავს ნეოპლატონურ ემანაციის თეორიას, რომელიც ისლამის ფილოსოფიურ აზროვნებაში გააზრებულია როგორც ხიდი არსებულსა და არარსებულს, ღმერთსა და სამყაროს, მარადისობასა და ეამიერებას შორის. ის ერთგვარად ასუსტებდა სოფელსა და ზეშთასოფელს შორის არსებულ ამოუცხებელ ნაპრალს. გამოსხივების თეორია გაგებულ იყო როგორც თეოკოსმოსური საშუალო (Mittelwesen) ღმერთისა და ბუნების ურთიერთმიმართებაში და დამავალ თუ აღმავალ რიგში იგი საფეხურებრივ განვითარებას გვაძლევდა [16 (64—65)]. ამიტომ გასაგებია, რომ მას წამყვანი ადგილი უჭირავს მევლანას მისტკურ აზროვნებაში. თუმცა პოეტის მოძღვრებაში ნეოპლატონური კოსმოლოგია რაფინირებული არ არის და მწყობრი მსჯელობით არაა წარმოდგენილი, რაც საერთოდ უცხოა მისი პოეტური აზროვნებისათვის; მაგრამ ის, რომ მევლანას მსოფლმხედველობაზე დიდ გავლენას ახდენს, უდავოა და ეკუმენტური ფაქტია.

პოეტის მოაზრებით, აბსოლუტური ჰეგემარიტება არულყოფილი მშვენიერებისა და სილამაზის გამო ასხივებს და თვალს ისეთ ფორმებს წარმოუჩენს, როგორიც მას სურს... [1 (II, 232, 680)] ამ გამოსხივებაში სამყაროს ეკისრება სარკის ფუნქცია, სადაც რეკლება აბსოლუტური მშვენიერების ატრიბუტები. 3 [ (80)]. — ეს გამოსხივება არ წყდება არასდროს, დაუბოლოვებელია, მარადიულია [3 (19)]. ღმერთმა თავად აანთო თავისი სხივი სრულყოფილად... ურჯულოები ამას ვერ ხედავენ და ვნებით სურთ მისი ჩაქრობა. მთვარე სხივს აფრქვევს და ძალი ყეფს [3 (80)], — ეს სხივი ცეცხლზე წმინდაა, მით ინთება ყოველი სხივი [1 (II, 243, 909)] და იგი განეფინება, არეოპაგელის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ვითარცა

წყაროა შარავანდედთა და ზეშთა აღმომდინარე ნათელთა განთქმისა [61 (34)]; ღვთით ანთებული ამ ჩირაღდანის ალი გადადის სანთელიდან სანთელზე და ასე ინთება ათასობით სანთელი, რომელთა შუქთა მიმცემიც, ცხადია, პირველი სანთელია [1 (I, 96, 1948)], რაც გნოსეოლოგიურად იმ აზრს გადმოგვცემს, რომ უქანასკნელი სანთლის სხივის ხილვა ესიტყვება და ტოლფარადვე პირველი სანთლის სხივის ხილვისა.

Гарантией разрешимости этой антиномии в марксистской философии культуры являются диалектико-материалистические основы этой дисциплины. В принципе она уже разрешена материалистической диалектикой, с точки зрения которой реальное и идеальное, сущее и должное, природа и дух, существование и ценность суть не оторванные друг от друга и застывшие в себе сущности, а ступени единого развивающегося целого. Эти моменты, хотя и противоположающимися моментами единого процесса. Человек, находящийся в центре этого процесса, не разрывается на две части (или, точнее говоря преодолевает этот разрыв) потому, что, будучи высшим продуктом развития природы, он не замыкает процесс развития, а продолжает его в новых формах, формах творчества культуры. Вот этот реальный процесс становления культуры (являющийся одновременно и процессом становления самого человека) и есть реальное разрешение указанной выше антиномии.

Культура, повторяю, творится руками, разумом и сердцем человека, но творчество есть не дело каприза его эмпирического «я», а выражение и дальнейшее закономерно-целесообразное развитие универсума. Творя культуру и самого себя, человек свободен в выборе своих целей, средств и ценностей, однако его свобода подлинна и направлена на осуществление подлинных ценностей тогда, когда она есть (и объективно-научное, и ценностное) осознание необходимости, когда целью и законом его воли становятся тенденции развития универсума, тенденции, которые на своем уровне он сам и формирует.

Все это позволяет решить и антиномию эстетической ценности. В эстетическом предмете эмпирическое существование и ценностное существование слиты воедино. Он — идеальная реальность и реализованный в чувственно-воспринимаемой форме идеал. Он — воплощенная, внедренная в материю ценность, он — материя, насквозь пронизанная светом ценности. В силу всего этого, он есть зримый образ культуры как единства сущего и должного, идеального и материального. Именно в этом смысле культура имеет эстетический характер, так как она есть искусство творчества, искусство созидания, творения.

Эстетический феномен есть не компромисс между сущим и должным, между фактообразным бытием и ценностью, а их слияние в новую — эстетическую действительность.

Общение с этой действительностью, т. е. эстетический опыт человечества, раскрывает ему особую правду о мире и о месте человека в нем. Если для «мыслящей головы» теоретически познающего субъекта мир есть совокупность абсолютно нейтральных по отношению к человеку объективных фактов, совершенно очищенных от всяких следов человеческого конкретно-чувственного присутствия в этом мире (каковы миры математических, физических и т. п. объектов), то мир эстетически воспринимающего субъекта одухотворен, полон человеческого содержания.

С точки зрения теоретически познающего, объективно-ориентированного субъекта мир эстетика есть, разумеется, иллюзия. С точки же зрения этого последнего, мир науки — это не подлинный, живой мир, а умерщвленный мир абстракций. Кто же может и должен быть судьей в этом споре между теоретически мыслящим и эстетически переживающим мир субъектами, между «физиком» и «лириком»? Наверное, объективным судьей может быть не первый из них, поскольку он сам участник спора, а философ, который, конечно, доказательность своих суждений должен основывать на объективно-научном подходе к делу, но будет считаться и с мнением субъекта эстетического, с его поэтической правдой о мире. Ведь правда эстетического опыта, сохраняя всю свою специфику, все свое отличие от научной истины, может, тем не менее, обладать и всем величием Правды.

Поэтическая правда может, разумеется, иметь только эстетическое, но не теоретически-научное значение. Приписывать ей смысл последней было бы ошибкой (в которую, кстати говоря, не раз впадали идеалистическая философия и виталистические и неовиталистические естественнонаучные теории). Однако, делать из этого вывод, что подлинная философия может игнорировать эстетический опыт человечества и его данные, игнорировать мировоззренческое значение этого опыта, тоже было бы ошибкой. Эстетический опыт раскрывает такой аспект взаимоотношения человека и мира, такие их стороны, которые не даны никаким другим видам человеческого опыта, не выявляются никаким иным способом духовного освоения мира, и поэтому философия, основывая свою научность на теоретически-мыслительном способе осознания мира, должна, в то же время, использовать и данные эстетического опыта. Вырабатывая свои понятия о Мире, Человеке и Культуре, философия должна считаться и с поэтической, лирической правдой о них. Эстетический характер культуры, тот факт, что эстетический феномен есть зримый облик культуры, делает необходимым мыслить ее не только в объективно-научных категориях, но и в оценочных, в частности — эстетических (таких как трагедия, фарс и т. д.).



## ფსიქოლოგია

ენო ქობინაშვილი

### ბანდვობის ფიქსაცია ბანსხვავებული სიგრძის ხაზების ხაზვისას

1. სპირტის დახეობა. ცნობილია, რომ ფიქსირებული განწყობის შემოქმედების საფუძველზე ილუზიები წარმოიქმნება მგრძობელობის ყველა მოდალის სფეროში და, მაშასადამე, სიდიდეთა კინესთეტურად აღქმის სფეროშიც. აკად. დ. უზნაძის „სიმამისა და მოცულობის“ კლასიკური ექსპერიმენტების შემდეგ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში უდაო ფაქტად შეიქმნა მიზნით, რომ სავანთა განსხვავებული მოცულობისა და სიმამების შედარებისას, რაც ცხადია, გარკვეული მოტორულ-კინესთეტური იმპულსების საფუძველზე ხდება, მოქმედი განწყობა უმთავრესად კონტრასტული ბუნებისაა. გამოვლენილი ილუზიების დიდი რაოდენობა კონტრასტულია (50,4% და 68%) და ნაწილობრივ ასიმეტრიული (21,5% და 21%). სპირტის განსაკუთრებით ხაზი გაცხვას იმ გარემოებას, რომ სიმამისა და მოცულობის ექსპერიმენტებში ილუზიების გამოვლენის კანონზომიერების დასადენად ცდები წარმოებული იყო მხოლოდ პატურ არეში, რომელიც ეხებოდა პატურად განცდილ გამლწიანებლების მოცულობის მხრივ შედარებას (გ. ხმალამის ცდები). აღსანიშნავია, რომ კვლევა ამ მიმართულებით შემდეგშიც გაგრძელდა. ოღონდ ცდები წარმოებული იყო განსხვავებული სიგრძის ხაზების ხაზვაში კინესთეტურ აღქმის სფეროში<sup>2</sup> და, აგრეთვე, ოპტიურ არეში თვალახელილ ცდის პირებზედაც<sup>3</sup>.

ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ განსხვავებული სიგრძის ხაზების გალახაზვის, შედარების პროცესში ილუზიებმა (კონტრასტულმა და ასიმეტრიულმა) ჩვეულებრივად იჩინეს თავი; ოღონდ ასიმეტრიულმა ილუზიებმა — მხოლოდ იქ, სადაც სავანწყობო ხაზებს შორის (12 მმ. — 26 მმ) დიდ განსხვავებას აქვს ადგილი: აქ ცდისპირები კრიტიკულ ცდებში ტოლი მონაკვეთების ნაცვლად იმ მხარეზე უფრო დიდ მონაკვეთს ხაზადენენ, რომელზედაც მათ სავანწყობო ცდებში გრძელა ხაზის გაცვლება უხდებოდათ. ხოლო კონტრასტული ილუზიები, კონტრასტული მიმართულებით მოქმედი განწყობა წარმოიქმნა იქ, სადაც სავანწყობო ხაზებს შორის (16—18 მმ.) მცირე განსხვავებას ქონდა ადგილი<sup>4</sup>. ექსპერიმენტული კვლევის შედეგად, აგრეთვე, დადასტურებული იქნა, რომ ხაზვის ცდებში მნიშვნელოვნად განსხვა-

1. დ. უზნაძე. სიმამის ილუზია და მისი ანალოგები, შრომები, ტ. I, 1965, გვ. 175, ვეტორმა აღნიშნული საკითხის საკვლევად წმინდა კინესთეტური მეთოდი გამოიყენა. თვალახვეული ცპი პატურის სიდიდის მხრივ აღარებს ერთმანეთს ორ სხვადასხვა სიმამის მქონე სხვა მხრივ კი სავსებით ერთგვაროვან სავანს.

2 შ. ჩხარტიშვილი. სავანწყობო კინესთეტურ სიდიდეთა აღქმებში მიმდინარე ცვლილებათა გავლენის ცდები. განწყობის ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი, 1962, გვ. 20.

3. ტაბიძე. ჩვევის გადატანის ნიშნის საკითხისათვის, ჟურნ. „მოამბე“, გვ. 57, 1961.

4 А. Қинцурашвили, Действие установки, фиксированной в перцептивной активности в измененной психомоторной критической ситуации, Экспериментальные исследования по психологии установки, Т. III, стр. 47. 1966.

4 ო. ტაბიძე. ჩვევის გადატანის ნიშნის საკითხისათვის, ჟურნ. „მოამბე“, გვ. 66.

ვებულ  $\left( \frac{5 \text{ სმ}}{3 \text{ სმ}} \frac{2 \text{ სმ}}{3 \text{ სმ}} \right)$  სიდიდეებზე და ასევე მცირედ განსხვავებულ (16—

18 მმ) სიდიდეებზე კინესთეტიკურად შემუშავებული განწყობა, მიუხედავად დასახაზავი ხაზის სიდიდისა, მხოლოდ ასიმილაციური მიმართულებით მოქმედებს, ე. ი. ცდისპირები კრიტიკულ ცდებში იმ მხარეზე ახდენენ ხაზის „გადაფასებას“, რომელზედაც საგანწყობო ცდებში უგრძესი ხაზის გავლება, გადახაზვა უხდებოდათ. საგანწყობო ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ აღნიშნული ექსპერიმენტების შედეგი განხილული იქნა „სიმძიმისა და მოცულობის ცდებში“ დადგენილ კანონზომიერებასთან მიმართებაში, რის საფუძველზედაც ავტორი შემდეგ აზრს ავითარებს: ხაზვის ცდებში შემუშავებული განწყობა, როდესაც საგანწყობო ხაზებს შორის განსხვავება დიდია, არსებითად განსხვავებულ ეფექტს გვაძლევს „სიმძიმისა და მოცულობის ცდებში“ მოქმედი განწყობისაგან: ცდისპირები კრიტიკულ ცდებში იმ მხარეზე ახდენდნენ ხაზების გადაფასებას, უფრო დიდი მონაკვეთი ხაზის გადახაზვას, რომელზედაც საგანწყობო ცდებში გრძელი ხაზი იხაზებოდა. ე. ი. ასიმილაციური ილუზიები, ასიმილაციური მიმართულებით მოქმედი განწყობა ვლინდება იქ, სადაც „მოცულობისა და სიმძიმის“ ცდებში ფიქსირებული განწყობის მოქმედება უმთავრესად კონტრასტული მიმართულებით მიმდინარეობს.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რით არის გამოწვეული მიღებული შედეგების ასეთი დიამეტრული სხვაობა.

ჩვენი აზრით, იგი შეპირობებულია მხოლოდ ერთი ფაქტორით, სახელდობრ: თვითონ პრობლემის საკვლევად გამოყენებული მეთოდის სხვაობით. საქმე ისაა, რომ სიმძიმისა და მოცულობის კლასიკურ ექსპერიმენტებში შესაძარებელი სიდიდეების (საგანწყობოსა და კრიტიკულის) აღქმა მხოლოდ „წმინდა“ კინესთეტიკურ სფეროში (მხედველობა სრულიად გამორიცხული იყო) წარმოებდა. მაგრამ ზემოთ განხილულ გამოკვლევაში, განსხვავებული სიგრძის ხაზების გადახაზვის, აღქმის პროცესში გამოყენებული მეთოდი მხოლოდ წმინდა კინესთეტიკურად აღქმულის შედეგად განცდილს როდი ემყარებოდა, არამედ მასში თვალი, მხედველობის ფაქტორიც, საკმაოდ დიდ მონაწილეობას იღებდა. სწორედ ამ არაერთი მომენტის გამო აღნიშნული მეთოდი განსხვავებული არის დ. უზნაძის მიერ სიმძიმისა და მოცულობის ცდებში გამოყენებული მეთოდისაგან. აღნიშნული ვითარების გამო, ეფექტობით, რომ მიღებული შედეგების ასეთი მკვეთრი სხვაობა სრულიადაც არ არის საკვირველი და სავსებით წეაზომიერი მოვლენაა.

მაშასადამე, წარმოდგენილი საქმის ვითარებიდან სრულიად ნათლად ჩანს შემდეგი: საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით იმოქმედებს ფიქსირებული განწყობა იმავე მოტორულ-კინესთეტიკურ სფეროში, როდესაც საქმე ეხება არა აჯანთა მოცულობის ან სიმძიმეების შედარებას, არამედ სულ სხვაგვარ აქტივობას (განსხვავებული სიგრძის ხაზების ხაზვას), ჭერ კიდევ შესწავლას საჭიროებს, მაგრამ ისეთ ექსპერიმენტულ ვითარებაში შესწავლას, სადაც მხედველობის ფაქტორი არ იქნება ჩართული და დაცული იქნება ზუს-

5 შ. ჩხარტიშვილი, საგანწყობო კინესთეტიკურ სიდიდეთა აღქმებში მიმდინარე ცვლილებათა გაზომვის ცდები, განწყობის ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 23 და შემდეგ.—37 გვ-მდე.



ტად ის მეთოდი („წმინდა კინესთეტიკური“ მეთოდი), რომელიც დ. სიმჭიმისა და მოცულობის“ კლასიკურ ექსპერიმენტებში ჰქონდა გამოყენებული.

2. კვლევის მეთოდი და ცდის პროცედურა. დასმული პრობლემის საკვლევად გამოყენებული მეთოდის აგების ტექნიკამის ამოცანის სპეციფიკურმა თავისებურებამ განსაზღვრა. როგორც აღვნიშნეთ, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შევიაწვლოთ ფიქსირებული განწყობის მოქმედება ხაზვის ცდების ისეთ ექსპერიმენტულ ვითარებაში, სადაც სრულიად გამოირიცხულია მხედველობის მონაწილეობა და განსხვავებული სიგრძის ხაზების გადახაზვისას მათი აღქმა და ურთიერთშედარება მხოლოდ კინესთეტიკურ სფეროში მიმდინარეობს. ამის კვალობაზე ცდა შემდეგნაირად ავაგეთ. ოთხკუთხედ სქელ მუყაოზე ამოჭრილია რამოდენიმე წყვილი სწორი ხაზის მონაკვეთები—საგანწყობო: 12 სმ.—6 სმ. სიგრძის ხაზები, ხოლო კრიტიკული: ტოლი სიდიდის მონაკვეთები 6 სმ.—6 სმ. იმ მიზნით, რომ ცდებიდან მოსალოდნელი ბუნებრივი ასიმეტრიის შემთხვევები გამოგვერიცხა, საგანწყობო ხაზების განლაგება ცდის თითოეულ სერიაში იმგვარად იცვლებოდა, რომ დიდი ზომის 12 სმ ხაზი მოთავსებული იყო ერთ სერიაში მარჯვნივ და მეორეში მარცხნივ, ხოლო კრიტიკულ ცდაში თითოეული ხაზის სიგრძე ტოლი აყო საგანწყობო ობიექტის ერთ-ერთი რელატივ. ამ სახით ჩავატარეთ შემდეგი ცდები:

ცდის I სერია		ცდის II სერია		ცდის III სერია	
— 6 სმ — 12 სმ	— 12 სმ — 6 სმ	— 12 სმ — 6 სმ	— 6 სმ — 6 სმ	— 12 სმ — 6 სმ	— 6 სმ — 12 სმ
— 6 სმ — 6 სმ	— 6 სმ — 6 სმ	— 6 სმ — 6 სმ	— 6 სმ — 6 სმ	— 12 სმ — 12 სმ	— 12 სმ — 12 სმ
ცდის IV სერია		ცდის V სერია		ცდის VI სერია	
— 6 სმ — 12 სმ	— 12 სმ — 12 სმ	— 5 სმ — 3 სმ	— 3 სმ — 3 სმ	— 2 სმ — 5 სმ	— 5 სმ — 12 სმ
— 12 სმ — 12 სმ	— 12 სმ — 12 სმ	— 3 სმ — 3 სმ	— 3 სმ — 3 სმ	— 3 სმ — 3 სმ	— 3 სმ — 3 სმ

ვცადოთ თითოეული ამ სერიის სტრუქტურული ანალიზი. როგორც ვხედავთ, ცდის I სერიაში საგანწყობო ობიექტება 6 სმ სხვაობენ ურთიერთისაგან, ხოლო კრიტიკული ხაზები სიგრძით პატარა საგანწყობო ობიექტია ტოლია და, მაშასადამე, დიდ საგანწყობოსაგან (12 სმ. ხაზი) იმავე ოდენობით სხვაობს, რამდენადაც ეს საგანწყობოები ურთიერთისაგან. ცდის II სერია შებრუნებულია: იგი იმით განსხვავდება წინამორბედისაგან, რომ აქ დიდი საგანწყობო ხაზი მარცხნივ არის მოთავსებული და კრიტიკული ობიექტები მარჯვნივ მდებარე პატარა საგანწყობოს (6 სმ) ტოლია. რაც შეეხება ცდის III და IV სერიას, ისინი მხოლოდ იმით განსხვავდებიან წინამორბედთაგან, რომ კრიტიკულ ცდაში თითოეული ხაზის სიგრძე ტოლია დიდ საგანწყობო (12 სმ-იანი) ხაზისა. ცდის V და VI სერიებში, შედარებით ცდის წინა სერიებთან, საგანწყობო ხაზებს შორის უფრო მცირე განსხვავებაა და კრიტიკული ხაზები არცერთი საგანწყობო ხაზის ტოლი არ არის. მაშასადამე დიდ განსხვავებაზე ფიქსირებულ განწყობას  $\left(\frac{5 \text{ სმ}}{3 \text{ სმ}} - \frac{2 \text{ სმ}}{3 \text{ სმ}}\right)$  მოქმედება უხდება სრულიად განსხვავებულ კრიტიკულ სიტუაციაში.

ამრიგად, აღწერილი ცდებიდან ნათლად ჩანს, რომ განწყობა მოქმედებს ისეთ ექსპერიმენტულ ვითარებაში, სადაც საგანწყობო და კრიტიკულ ობიექტებს შორის მსგავსებაც არის და განსხვავებაც.

ცდისპირს წინასწარ ვაცნობთ ცდის პირობებს, რომ მან თვალახვეულად მა რამოდენიმეჯერ უნდა გახაზოს, გაავლოს ერთმანეთის გვერდით ორხაზიანი ხაზი. თითოეული ხაზი ამოკვეთილია მუყაოზე, რაც ცდისპირს დახმარებას გაუწევს საჭირო სიგრძის ხაზების გადახაზვაში. ცდისპირს ინსტრუქცია ეძლევა მოხერხებულად დაჯდეს მაგიდასთან და თვალახვეულს, ხელის თანაბარი სისწრაფით მოძრაობის გავარჯიშების მიზნით, ქაღალდის ფურცელზე რამოდენიმეჯერ ვახაზივნებთ ნებისმიერ ორ განსხვავებულ სიგრძის ხაზს და თან ვაღარებინებთ ურთიერთს, რის შემდეგაც იწყება ნამდვილი ექსპერიმენტი. თვალახვეული ცდისპირის წინ მაგიდაზე ვდებთ მუყაოს, რომელზედაც ამოკვეთილია საჭირო ზომის ხაზები. მას დავალება ეძლევა: ხელის მოძრაობის ერთნაირი სისწრაფით გაავლოს, გახაზოს სწორი ხაზი მანამ, სანამ ფანქარს წინააღმდეგობა არ შეხვდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქ თავდება ხაზია ერთი მონაკვეთი და იწყება მეორე. ცდისპირს ვეუბნებით: „ამ წესით რამოდენიმეჯერ მოგხიდება სწორი ხაზების ერთმანეთის გვერდით გახაზვა. ყოველი ხაზის გავლებისას დაიმახსოვრე შენს მიერ გავლებული თითოეული ხაზის სიგრძე, შეადარე ისინი ერთმანეთს და თუ აღმოჩნდება, რომ ერთი ხაზი (თუ გინდა ოდნავდაც) უგრძესია მეორეზე, სთქვი — რომელია ეს ხაზი პირველი თუ მეორე. ხოლო თუ იფიქრებ, რომ ეს ხაზები თანაბარი სიდიდისაა — იტყვი ტოლია“. ამის შემდეგ ცპ-ს ვაღებინებთ ფანქარის წვერს მუყაოზე ამოკვეთილი ხაზის კრილში და ინსტრუქციის შესაბამისად იგი ავლებს, ხაზავს სწორ ხაზებს. ცდის თითოეულ სერიაში საგანწყობო ხაზების გადახაზვა (ფიქსაცია) წარმოებს 10-ჯერ, ხოლო კრიტიკული ხაზებისა — 5-ჯერ.

ცდები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 180-მა ინდივიდმა, ჩატარებულია ქ. თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში: სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის, კიბერნეტიკის ფაკ. სხვადასხვა კურსის სტუდენტებზე; უცხო ენების სახ. პედ. ინსტიტუტის ინგლისური და გერმანული ფაკულტეტის სტუდენტებზე და პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ისტორიის ფაკულტეტის პირველ და მეორე კურსის სტუდენტებზე. თითოეული ცდის სერიაში მონაწილეობდა 10 ცდ. პირი. ერთი სიტყვით, ცდის ერთ სერიაში მონაწილე ცპ-ი უვარგისი იყო ცდის სხვა სერიისათვის. თუმცა ცდა შეეხო 180 ინდივიდს, მაგრამ ცდის ბოლომდე ჩატარება ვერ მოხერხდა 20 ინდივიდზე, რომლებმაც კინესთეტიკურად გავლებული მცირედად განსხვავებული საგანწყობო ხაზები გაათლეს მეშვიდე, მეჩვიდმეტი და ზოგამც მეათე საგანწყობო ხაზვისას. როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ცდებში გამლიზიანებლების რაოდენობრივი სხვაობა სუბიექტისათვის წინასწარვე განსაზღვრულია: იგი ნებისმიერად კი არ ხაზავს (ავლებს) სხვადასხვა სიგრძის ხაზებს, არამედ მისი ხელის მოძრაობა მკაცრად შეზღუდულია (რადგან ამ კრილა იქეთ იგი ვერ წავა) და, მამსადაამე, ისე როგორც ბურთებზე ჰაპტური ცდების დროს, გამლიზიანებელი რაოდენობრივად არ იცვლება. ამ ანალიზის თვალსაზრისით ჩვენი მეთოდი არსებითად იგივეა, რაც აკად. დ. უხნაძის მიერ „სიმძიმისა და მოცულობის“ ცდებში გამოყენებული მეთოდი (ოღონდ გადატანილი ხაზვის სფეროში!).

ხაზვასით უნდა აღინიშნოს, რომ ცდისპირების ქცევაზე დაკვირვებამ და მათ მიერ მოცემული შეფასებების რომელიმეობითა ანალიზმა დაგვარწმუნა,





რომ იაინი დიდი გულისყურით ეკიდებოდნენ ცდებს და დასმული ამოცანის შესახებ გადასწყვეტად ჰაბტური აღქმის სხვადასხვა გზებს მიმართავდნენ.

ასე მაგალითად: ცდის პროცესში მიღებული შთაბეჭდილებები ერთმა ცდ. პირმა შემდეგნაირად გამოთქვა: „რადგან თვალით ვერაფერს ვხედავდი, ბრმისაგით ვმოქმედებდი: ხაზების გვლებების დროს ხელის მოძრაობას ვაკვირდებოდი შორს წავიდოდა ხელი, — ფანქარი, თუ მალე შეხვდებოდა წინააღმდეგობას და გაჩერდებოდა. ამით ვახერხებდი მათს შედარებას და იმის მიხედვრას, თუ ჩემს მიერ გავღებულ იური ხაზიდან რომელი უფრო უგრძესი იყო“.

კ — თ. ე. „ძალიან ძნელი ამოცანა იდგა ჩემს წინაშე და, რომ შემედარებია ჩემს მიერ გავღებული ხაზები ერთმანეთისთვის, ვაკვირდებოდი ხელის მტეენის დაძაბულ მოძრაობას და ფანქრის შრიალს, მის კაქუნს, როცა წინააღმდეგობა შეხვდებოდა ფანქარს და გაჩერდებოდა. დაძაბული კუნთი თითქოს მოდუნდებოდა, და როცა ხაზგას დაეიწყებდი კვლავ დაძაბებოდა; აი ამით ვახერხებდი ხაზები ზუსტად შემედარებინა ერთმანეთისთვის; რატომღაც ერთი ხაზი ყოველთვის გრძელი მეჩვენებოდა, თითქოს უფრო ხანგრძლივად კაქუნებდა ფანქარი“.

კ — ე. პ. „ხაზების დროს ფანქრის მუსიკალურ შრიალთან ერთად ხელის მოძრაობასაც ვაკვირდებოდი. ვზომავდი რამდენად შორს წავიდოდა ფანქარი და ხელი. ასე ვახერხებდი ჩემს მიერ გავღებული ხაზების შედარებას. ხშირად ერთი ხაზი გრძელი მეჩვენებოდა მეორეზე, ხან თითქოს ტოლი სიგრძის იყო“.

კ — ბ. ს. „ხაზების გვლებების დროს თითებს მაგრად ვუჭერდი ფანქარს, მისი კაქუნით, შრიალით და ხელის კუნთის დაძაბულობით ვზომავდი მანძილს ორ წერტილს შორის, და ერთი ხაზი ოდნავ გრძელი იყო მეორეზე, ბოლოს კი თითქოს ერთნაირები იყვნენ. არ ვიცი რატომ მოხდა ასე“.

ყველა ეს და სხვა ანალოგიური გამოთქმები იმის უტყუარ საბუთს იძლევიან, რომ განსხვავებული სიგრძის ხაზებზე კინესთეტიკურად ფიქსირებული განწყობის შემდეგ გადახაზული კრიტიკული ხაზების ურთიერთშედარება ორი მიმართულებით ხდება. ცდისპირების ერთ ჯგუფთან წმინდა მოტორულ-კუნთური დაძაბვის მიხედვით, ხოლო ცდისპირების დიდ უმრავლესობასთან მოტორულ-კუნთურ დაძაბულობასთან ერთად სმენაც მონაწილეობს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩვენ ექსპერიმენტებში დადასტურებული ფაქტები, (ცდისპირების ჩვენებები), იმის ანალოგიურია, რაც გერმანელმა ფსიქოლოგმა Heller-მა დადასტურა ბრმებზე დაკვირვებისას შეხებითი აღქმის და წერა-კითხვის სწავლების პროცესში: „შეხება და სმენა არის ის წყარო, რომლითაც ბრმები ორიენტაციას ახდენენ სივრცეში და რომელიც საერთოდ დიდ დახმარებას უწყევს მათ შრომითი საქმიანობასა და წერა-კითხვის სწავლების პროცესში“<sup>6</sup>.

3. მიღებული შედეგების ანალიზი. ბუნებრივად ისმის კითხვა: რა მიმართულებით ხდება განხილული ცდების თითოეულ სერიაში დიდი განსხვავების ხაზებზე (12 სმ—6 სმ) ფიქსირებული განწყობის მოქმედება ანუ კრიტიკული ცდის ექსპოზიციებში გავლენებული ხაზების ილუზორული აღქმა, გადაფასება? —

პირველ სერიაში, სადაც კრიტიკული ცდის თითოეული ხაზი სიგრძით იდენტურია მარცხნივ მდებარე პატარა საგანწყობო ხაზისა, კრიტიკული ტოლი ხაზების გადაფასების 50 პასუხიდან ყველაზე უფრო ხშირია (+) გადაფასება — „მარჯვნივ მოკლე“, ე. ი. კრიტიკული ტოლი ხაზის გადაფასება შექ-

<sup>6</sup> В. Вундт. Основы физиологической психологии, вып. X. Н. Heller. Studien zur blinder psychologie, philos. st II, 1935, p. 235.





(70% და 64%), ხოლო ასიმილაციური ილუზიის სიხშირე (1949 წელს 22%) კვლავ საგრძნობლად ნაკლებია კონტრასტული ილუზიის სიხშირესთან შედარებით და ამასთანავე კრიტიკული ხაზების ადექვატური შეფასებაც შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი (20%—14%).

რაც შეეხება იმ ცდებს (V და VI), სადაც კრიტიკული ხაზი არცერთი საგანწყობო ხაზის ტოლი არ არის და ორივეზე მოკლეა, აქაც კრიტიკულ ექსპოზიციებში გამოვლენილი შეფასებებიდან დიდ უმრავლესობას ქმნის „+“ გადაფასება“ ანუ განწყობის კონტრასტული ილუზია (66%—54%), მასთან შედარებით ბევრად იშვიათია „—გადაფასება“ ანუ განწყობის ასიმილაციური ილუზია (14%—24%), ხოლო პასუხთა 20—22% იმას გვიჩვენებს, რომ გადახაზული ტოლი ხაზები ილუზორულად არ იქნა აღქმული.

ამრიგად, პასუხების სტატისტიკური ანალიზი ექსპერიმენტულად ასახულებს შემდეგ კანონზომიერებას: ხაზვის ცდებში სიგრძით ტლანქად განსხვავებული (12 სმ — 6 სმ; 5 სმ — 2 სმ) ხაზებით (კინესთეტიკურად) შემუშავებული განწყობის მოქმედება ორი მიმართულებით ხდება. ა) კრიტიკული ტოლი ხაზების ილუზორული „გადაფასება“ უმთავრესად ფიქსირებული განწყობის საწინააღმდეგო მიმართულებით ანუ კონტრასტული ილუზიის სახით ხდება, ე. ი. დომინანტობს განწყობის კონტრასტული ილუზია, — და ბ) კრიტიკული ტოლი ხაზების გადაფასება ნაწილობრივ ასიმილაციურ ილუზიებშიც ვლ.ანდება.

ცხრილი 2

№№	ცდ. პირების რაოდენ.	ცდის მასალა	კონტრასტული განწყობის ცდ. პირ.		კონტრასტული ასიმილაციური განწყ. ცდ. პირები		ასიმილაციური განწყობის ცდ. პირები		„უგანწყობო“ ცდ. პირები ანუ ადექვატური შეფასება	
			ცდ. პ.	%	ცდ. პ.	%	ცდ. პ.	%	ცდ. პ.	%
I										
II	10	6 სმ 12 სმ 6 სმ 6 სმ	4	40	6	60	—	—	—	—
II	10	12 სმ 6 სმ 6 სმ 6 სმ	7	70	3	30	—	—	—	—
III	10	12 სმ 6 სმ 12 სმ 12 სმ	7	70	2	20	—	—	1	10
IV	10	6 სმ 12 სმ 12 სმ 12 სმ	5	50	5	50	—	—	—	—
V	10	5 სმ 2 სმ 3 სმ 3 სმ	6	60	4	40	—	—	—	—
VI	10	2 სმ 5 სმ 3 სმ 3 სმ	5	50	4	40	—	—	1	10

რაკი განხილულმა ცხრილმა ნათელი გახადა ის, რომ ხაზების ხაზვისა და მათი კინესთეტიკურად აღქმის სფეროში ნამდვილად დასტურდება განწყობის კონტრასტული და ასიმილაციური მოქმედება, ახლა დგება კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად გავრცელებულია ცდისპირთა მასაში ფიქსირებული გან-

წყობის ისეთი მოქმედება, როცა იგი მხოლოდ კონტრასტულ ილუზიებს ქმნის, და ისეთი, როცა იგი კონტრასტულთან მონაცვლეობით ასიმილაციურ ილუზიებსაც აჩენს.

ცდისპირთა მასა (იხ. ცხრილი 2) ორ ძირითად ჯგუფად იყოფა:

I. კონტრასტული განწყობის ცდისპირები: ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ის ინდივიდები, რომელთაც კრიტიკული ცდის ყველა ათივე ექსპოზიციაში დაუდასტურდათ ფიქსირებულ განწყობის წმინდა კონტრასტული მიმართულებით მოქმედება;

II. კონტრასტულ-ასიმილაციური განწყობის ცდის პირები: აღნიშნული ჯგუფის ინდივიდებთან ფიქსირებულმა განწყობამ თავიდანვე კონტრასტული მიმართულებით იმოქმედა, ხოლო შემდეგ ბოლო ექსპოზიციაში — ასიმილაციურად.

ახლა ვნახოთ რა სიხშირით ვლინდება ეს ჯგუფები ჩვენს მიერ გათვალისწინებულ თითოეულ ცდის სერიაში.

აღნიშნულ ცხრილში წარმოდგენილი პროცენტული მონაცემებიდან შემდეგი ირკვევა: ცდის პირველ და მეორე სერიაში ინდივიდთა დიდი უმრავლესობის (40% და 70%) მიერ დახაზული ობიექტურად ტოლი ხაზების ილუზიური გადაფასება იმ მხარეზე ხდება, საითაც საგანწყობო ცდებში მუდამ პატარა ხაზი იხაზებოდა. მაშასადამე, ყოველ ექვსს გარეშეა, რომ აღნიშნული ცდისპირები „წმინდა“ კონტრასტული განწყობა ცდის პირებია, ე. ი. ინდივიდები, რომელთაც თავიდანვე კონტრასტული მიმართულებით მოქმედი განწყობა შეექმნა.

მაგრამ ყურადღების ღირსია ის ფაქტიც, რომ ცდის პირების 60% — 30% კრიტიკული ცდის ექსპოზიციებში ტოლა ხაზების ჯერ (+) „გადაფასება“, ხოლო მოგვიანებით(—) „გადაფასებაც“ მოუციათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ფიქსირებულმა განწყობამ თავიდან კონტრასტული მიმართულებით იმოქმედა და შემდეგ კი ასიმილაციურად (იხ. ცხრილში „კონტრასტული ასიმილაციური განწყობის ცდ. პირები“).

თითქმის ანალოგიური სურათია ცდის მე-III და IV სერიაში. აქ ცდისპირების 70% და 50% კონტრასტული განწყობის ინდივიდებია, მაგრამ არიან „კონტრასტულ-ასიმილაციური განწყობის“ ინდივიდებიც, რომლებსაც კრიტიკული ტოლი ხაზები ჯერ საგანწყობო პატარა ხაზის მხარეზე გადაუფასებიათ და შემდეგ კი — „გადაფასებაც“ მოუციათ. აღსანიშნავია, რომ კერძოდ ცდია III სერიაში ერთა (10%) ისეთი ცდ. პირიც გამოერია, რომელსაც განწყობა საერთოდ არ შეუმუშავდა, ე. ი. მან ხუთივე კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ ტოლი ხაზები ადექვატურად აღიქვა.

რაც შეეხება V—VI სერიების ცდებს, სადაც საგანწყობო და კრიტიკული სიტუაცია, შედარებით წინა ცდებთან, ნაკლებ განსხვავებულია ურთიერთისაგან, მნიშვნელოვანი ცვლილება შედეგებში არც აქ აღინიშნება: აქაც ცდისპირებს დიდი უმრავლესობა (60%—50%) კონტრასტული განწყობის ინდივიდებია და შედარებით მცირეა იმ ცდისპირთა რაოდენობა (40%—40%), რომლებთანაც ფიქსირებულმა განწყობამ ჯერ კონტრასტულად და შემდეგ ასიმილაციურად იმოქმედა.

ამრიგად, განხილული ცდებით მიღებული შედეგებს თვისობრივი და რაოდენობრივი (ცხრ. № 1, 2) ანალიზი საფუძველს გვაძლევს შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: ხაზვის ცდებში დიდი განსხვავების ხაზებით კინესთეტიკუ-

რად შემუშავებული განწყობა თავიდანვე კონტრასტული მიმართულებების მოქმედებს და ასიმილაციურ ილუზიებს მხოლოდ მომდევნო განმეორებით ხაზებში აჩენს.

4. სიგრძით ოდნავ განსხვავებული ხაზების ხაზვით ფიქსირებული განწყობის მოქმედება. ბუნებრივად ისმის საკითხი თუ რა მიმართულებით მოქმედებს ოდნავ განსხვავებული ხაზების ხაზვით ფიქსირებული განწყობა.

საკვლევი საკითხის შესასწავლად საჭირო ექსპერიმენტები და ცდის მასალაზე წინასწარი ვარჯიში წმინდა კინესთეტიკურ სფეროში წარმოებდა. ცდებში გამოყენებული საგანწყობო ობიექტების — დასახაზი ხაზების — ურთიერთსხვაობა 2 მმ-ს შეადგენს, ხოლო კრიტიკული ობიექტები სიგრძით იდენტური და საგანწყობო პატარა ხაზის ტოლია. მაშასადამე, საგანწყობო და კრიტიკული სიტუაცია ძალზე მიემსგავსება ერთმანეთს.

ცდის პირობები. ცდისპირის წინ მაგიდაზე დევს სწორკუთხედი სქელი მუყაო, რომელზედაც ამოკვეთილია სიგრძით ოდნავ განსხვავებული ორი სერია წყვილი სწორი ხაზებისა:

1,8 მმ. — 1,6 მმ. 2. 1,6 მმ. — 1,8 მმ.

1,6 მმ — 1,6 მმ. 1,6 მმ. — 1,8 მმ.

თვალახვეულ ცდისპირს ვთხოვთ მოხერხებულად დაჯდეს მაგიდასთან და ვეუბნებით, რომ „მის რამოდენიმეჯერ მოუხდება ორი სწორი ხაზის გავლება, გადახაზვა. მუყაოზე ამოჭრილი ხაზების დახმარებით, რომელთაგან ერთი ხაზი ოდნავ გრძელია მეორეზე. ხაზების გადახაზვისას შენ უნდა დააკვირდე შენს მიერ გავლებულ თითოეული ხაზის სიგრძეს, შეადარო ისინი ერთმანეთს და გვითხრა რომელ მხარეზე დიხაზა, ოდნავ უფრო გრძელი ხაზი მარჯვნივ თუ მარცხნივ“. იმ მიზნით, რომ ცდისპირმა შეხებით აღიქვას ცდის მასალა იგი მუყაოზე ამოკვეთულ თითოეულ ხაზს ყურადღებით სინჯავს, ავლებს საჩვენებელ თითს, შემდეგ ხაზის ჭრილში ვადებინებთ ფანქრის წვერს და 5-ჯერ ვახაზვინებთ გრძელსა და მოკლე ხაზს, რისიც სიტყვიერი კონსტატაცია ხდება.

განწყობის კლასიკური ექსპერიმენტებიდან ცნობილია, რომ სიდიდით მცირედ განსხვავებულ წრებს ტაქსიტოსკოპურად ჩატარებულ ცდებში ცდისპირები ხშირად ატოლებდნენ. მით უმეტეს ანალოგიური შემთხვევა (ვატოლეება) მოსალოდნელი იყო ოდნავ განსხვავებული ხაზების 10-ჯერ ხაზვის გასწვრივ. სწორედ ამიტომ ინსტრუქცია, რომელიც ზემოთ დიდი განახავების ხაზების გადახაზვისას გამოვიყენეთ შემდეგნაირად შევცვალეთ: ცდისპირის ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ მის მიერ გავლებული ხაზებიდან „ერთი ოდნავ დიდი იქნება მეორეზე“. ამასთან ერთად თვალახვეულ ცდისპირს ხელის გავარჯიშებისა და შესატყვისი მზაობის შექმნის მიზნით, წინასწარ ვავარჯიშებდით: ქალაღის ფურცელზე რამოდენიმეჯერ ვახაზვინებდით სიგრძის ოდნავ განსხვავებულ ორ ხაზს (ისეთივე განლაგებით როგორც ის საგანწყობოშია) და ვთხოვდით ყოველთვის ეთქვა რომელ მხარეზე, საით გაავლო ოდნავ ცოტა გრძელი ხაზი. ამის შემდეგ ვიწყებდით ნამდვილ ექსპერიმენტს.

მუყაოზე ამოჭრილ ხაზის ჭრილში ცდისპირს ვადებინებდით ფანქრის წვერს და ვეუბნებოდით ხელის თანაბარი მოძრაობით გაავლოს სწორი ხაზი მანამ, სანამ ფანქარს წინააღმდეგობა არ შეხვდება. თუ ცდისპირი რომელიმე



ცბ-თა დაჯგუფება მათ მიერ გავლებული ხაზების „გადაფასების“ პასუხების მიხედვით  
ცხრილი 4

ცდისპირთა რაოდენობა	ცდის მასალა		ასიმილაციური განწყობის ცდის პარება		კონტრასტული და ასიმილაციური განწყობის ცდ. პარება		უგანწყობო ცდ. პარება ანუ ადეკვატური შეფასება	
			ცდ. პირ.	%	ცდ. პირ.	%	ცდ. პირ.	%
10	1,8 მმ 1,6 მმ	1,6 მმ 1,6 მმ	8	80	2	20	—	—
10	1,6 მმ 1,6 მმ	1,8 მმ 1,6 მმ	6	60	4	40	—	—

ექტურად ერთნაირად მცირე არ ყოფილა. იგი ინდივიდების ერთი ჯგუფისათვის „ზღვრული ზღურბლური“ და მეორესათვის კი „ზეზღურბლური“ აღმოჩნდა.

უთუოდ ამ ფაქტით არის შეპირობებული ის, რომ ცდაში მონაწილე ინდივიდები ორ ჯგუფად გაიყო: 2 მმ-ით განსხვავებული ხაზებით (საგანწყობო) შემუშავებულმა განწყობამ ცდისპირების უმრავლესობასთან თავიდანვე ასიმილაციურად იმოქმედა (ასიმილაციური განწყობის ინდივიდები), ხოლო ცდისპირების მეორე ჯგუფს კონტრასტული და ბოლოს ასიმილაციური მიმართულებით მოქმედი განწყობა გაუფიქსირა (კონტრასტული ასიმილაციური განწყობის ინდივიდები).

ამრიგად, ექსპერიმენტული ფაქტების ანალიზის საფუძველზე უმკველად ხდება, რომ ხაზვის ცდებში ოდნავ განსხვავებული ხაზებით კინესთეტიკურად ფიქსირებული განწყობა ასიმილაციური მიმართულებით მოქმედებს და ნაწილობრივ კონტრასტული მიმართულებითაც.

დასასრულ, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის ანალიზის შედეგები (ცხრ. 1, 2, 3, 4) ნათლად ადასტურებს, რომ ხაზვის ცდებში მნიშვნელოვნად ან მცირე განსხვავებული ხაზებით კინესთეტიკურად ფიქსირებული განწყობა ურთიერთისაგან სრულიად განსხვავებული მიმართულებით მოქმედებს, სხვადასხვა ეფექტს გვაძლევს: ა. განწყობის დიდი განსხვავების ხაზებზე ფიქსირებისას დომინანტურია განწყობის კონტრასტული მიმართულებით მოქმედება, თუმცა იგი კონტრასტულ-ასიმილაციური მიმართულებითაც მოქმედებს მაშინ. როდესაც ბ. მცირე განსხვავების ხაზებით შემუშავებული განწყობა ა) ასიმილაციური მიმართულებითაც მოქმედებს და ბ) კონტრასტულ ასიმილაციური მიმართულებითაც, მაგრამ დომინანტური ხდება განწყობის ასიმილაციური მიმართულებით მოქმედება.

**დასკვნები.** ჩვენი გამოკვლევის მიზანი იყო გვეჩვენებინა: თუ რა მიმართულებით მოქმედებს ხაზვის ექსპერიმენტებში განსხვავებული სიგრძის ხაზებით „წმინდა“ კინესთეტიკურად შემუშავებული განწყობა. ცდები, რომლებიც ამ საკითხის გადასაწყვეტად ვაწარმოეთ, უფლებას გვაძლევს გვაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. ხაზვის ცდებში განსხვავებულ სიგრძის ხაზებით კინესთეტიკურად შემუშავებული განწყობა მიუხედავად დასახაზავი ხაზის სიგრძისა (სიდიდისა)



ორი მიმართულებით მოქმედებს: კონტრასტული და ასიმეტრიული მიმართულებით.

2. განწყობის მცირე განსხვავებულ ხაზებზე ფიქსაციის ცდებში კრიტიკული ტოლი ხაზებიდან ერთ-ერთის გადაფასება მეტწილად დიდი საგანწყობო ხაზის მიმართულებით ხდება და ნაწილობრივ კონტრასტული მიმართულებითაც. მაგრამ დომინანტური ხდება (—) გადაფასება (ასიმეტრიული ილუზია) ანუ ასიმეტრიული მიმართულებით მოქმედი განწყობა.

3. ხაზვის ცდებში განსხვავებული (დიდად და ოდნავ) სიგრძის ხაზებით ფიქსირებული განწყობის მოქმედებისათვის არსებითად არა აქვს სადიფერენციაციო მნიშვნელობა იმას, თუ რა სიგრძით განლაგებაში ეძლევა ცდისპირის ისინი და თუ რომელი საგანწყობო ხაზის ტოლია (დიდის თუ პატარას) კრიტიკული ხაზები.

4. ხაზვის ცდებში დიდი განსხვავებული ხაზებით კინესთეტიკურად შემუშავებული განწყობა განურჩევლად იმისა კრიტიკული ტოლი ხაზები, რომელი საგანწყობო ხაზის, ტოლია, კონტრასტული მიმართულებით მოქმედებს და ზოგჯერ ასიმეტრიული მიმართულებითაც დომინანტურია (+) გადაფასება კონტრასტული ილუზია ანუ განწყობის კონტრასტული მიმართულებით მოქმედება.

5. ხაზვის ცდებში განსხვავებული სიგრძის ხაზებით კინესთეტიკურად შემუშავებული განწყობა იმავე კანონზომიერებით მოქმედებს. როგორც განწყობის კლასიკურ ექსპერიმენტებში რაოდენობრივ სიდიდეებზე შემუშავებული განწყობა.



## ეკონომიკა

ნიკოლოზ იაშვილი

### ბუნების დაცვა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა

#### II

ბიოსფერო ბუნების უმთავრესი ნაწილია. საბჭოთა კავშირი, სარგებლობს რა სოციალისტური წყობილების უპირატესობით — ბუნებრივ სიმდიდრეთა სახელმწიფო საკუთრებით, გეგმაზომიერად და მიზანმიმართულად აწუხებს მათ ექსპლუატაციას ჩვენი საზოგადოების, ყველა საბჭოთა ადამიანის ინტერესებისათვის. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის დიდი ღწინიური გეგმის პირველხავე დასახულებად მოცემული იყო დიდი ამოცანების განხორციელების კონკრეტული გზები. მომდევნო ხანებში, ამა თუ იმ ინტენსივობით, უოველთვის იგეგმებოდა და ხორციელდებოდა შესაბამისი ღწონისძიებები ჩვენი მდიდარი ბუნებრივი რესურსების ჭეროვანი დაცვის, განვითარებისა და რაციონალური გამოყენებისათვის. კომუნისტური პარტიის ზრუნვამ ადამიანის გარემომცველი არს დაცვის პრობლემებზე თავისი ასახვა მპოვა სკკ პროგრამაში. ბუნების დაცვის საკითხები განხილულ იქნა სკკ XXIII და XXIV ყრილობებზე.

#### ბუნების დაცვის წანამძღვრები

1. ახალი ეტაპი ბუნების დაცვაში. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1972 წ. სექტემბერში მიიღო დადგენილება: „ბუნების დაცვისა და ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალური გამოყენების შემდგომი ღწონისძიებების შესახებ“. მიღებული იყო აგრეთვე საბჭოთა — საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობების სპეციალური დადგენილებანი შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და ცალკეული უნიკალური ობიექტების დაცვის, განვითარების და გონივრული გამოყენების შესახებ\*.

პარტიამ და მთავრობამ მიუთითა მიწისა და მისი წიაღისეულის, ტყისა და წყლის, ცხოველური და მცენარეული საფარის, ატმოსფერული ჰაერის მკაცრი დაცვის კანონმდებლობის აუცილებლობაზე. ეს აგრეთვე მკვეითითებს სამართლის დიდი როლის შესახებ ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში.

სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი მოთხოვნა ის არის, რომ ბუნების მწარმოებლური ძალები, მათი ექსპლუატაციის პროცესში, არა მხოლოდ არ იფიტებოდნენ, არამედ იზრდებოდნენ. ჩვენ ყოველგვარი ბრალდების, შიშისა და მორიდების გარეშე უნდა აღწინაოთ, რომ მთელს საბჭოთა ქვეყანაში და, რასაკვირველია, საქართველოშიც ბუნების დაცვისა და განვითარების საქმე ღღემდე არ აგვიყვანია ჭეროვან ღწონეზე; ზოგან ცუდად ვინარჩუნებთ და კიდევ უარესად აღვადგენთ ძველად გაჩანაგებულ ტყეებს, ეროზირებულ მიწებს და ზოგან მშრალ ხეებს; ვერც წყლებისა და საძოვრებას მომჭირნე გამოყენებას, ფლორისა და ფაუნა ძვირფასი რესურსების ჭეროვან გამოყენებას ვაღწევთ ყველგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1972 წლის აღწინაული დადგენილებიდან გამომდინარე და ამ ამოცანათა საქართველოს სინამდვილის შეაბამის

\* სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღწონისძიებათა შესახებ.

ლონისძიებთა წარმატებით დასახვა-გატარების მიზნით, საქართველოს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულია ერთობლივი დადგენილება ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ. აქ აღნიშნულია, რომ რესპუბლიკაში ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა სწარმოებს... თვალსაჩინოდ უმჯობესდება ბუნების ძირითად ელემენტთა გაფართოება და მათი დადებითი მოქმედების გაძლიერება... ბევრგან მცირდება გარემოს გაჭუჭყიანება და ხის სათბობის ხარჯვა, ხორციელდება ჩამდინარე წყლების და ატმოსფეროში სამრეწველო ამონაბოლქვის გაწმენდის უზრუნველყოფის ღონისძიებანი და მრავალი სხვა სასარგებლო საქმე.

ამასთანავე აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის ბევრი სამინისტრო, უწყება, აწარმო და ორგანიზაცია საკმაო ყურადღებას არ უთმობენ ისეთ საკითხებს, როგორც არის ბუნების დაცვა, გარემოს გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლა, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება... არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით აუცილებლადაა მიჩნეული შესაბამის ორგანიზაციების, დაწესებულება-საწარმოთა და მათი მუშაკების მიერ უქველად შესრულდეს ამ დიდი საქმის კრებლითი ვეგმით გათვალისწინებული სამუშაოები: გაჭუჭყიანების აღსაკვეთად — ჰაერის, წყლისა და მიწის წიაღში, აგრეთვე ეროზიებისა და სხვა მიზეზით (მეწყერი, ზეავები და სხვ.) დაზიანებული მიწის ფართობების აღდგენა; ამასთანავე უნდა დაცულ იქნან ნორმები — წიაღისეულის გადამუშავების და მზა მასალათა გამოშვების; ნიადაგების რეკულტივაცია და სხვ. საგეგმო ოპერატიული, საპროექტო, სამშენებლო, ადმინისტრაციულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ კომპლექსურ საქმეთა ყველა ელემენტის „ვეგმა-პროექტი“, სამშენებლო-მასალების, კონსტრუქციების, დეტალები და სხვ. სამუშაოთა — რაციონალური, მაღალ დონეზე და ხარისხოვანი ორგანიზაცია.

2. მუშაობის მზარდი მასშტაბი და შესაბამისი სახსრები. კანონი, ადამიანთა ყოფაქცევის საზოგადოებრივი ინტერესებისადმი შესაბამისი, რეგულატორია. ეს ამოცანა კანონისადმი მიკუთვნებულია ყველაზე ხალასად საბჭოთა ქვეყანაში. აქ უდიდეს ყურადღებას აქცევენ თანამედროვე მსოფლიოში უმნიშვნელოვანეს პრობლემად ქცეულ ბუნების დაცვისა და განვითარების ამოცანებს.

ჩვენში ბუნებრივი რესურსების სულ უფრო უკეთ გამოყენებისათვის დაუცხრომლად ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი. დასახული და განხორციელების გზაზე დამდგარა ხალხთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლებისაკენ მიმართული მიზნები და ამოცანები აუცილებლად მოითხოვენ ადეკვატურა მასშტაბების ფულად, ნივთიერ და სხვა მრავალ სახსრებს. მაღალი განათლების, მეცნიერულ-ტექნიკური რეკოლუციის საფუძველზე მოქმედი, მატერიული-ტექნიკური პროგრესით აღჭურვილი, ჰუმანიზმით გაყენილი ადამიანი შეძლებს გადაჭრას ზემოხსენებული საერთო-საკაცობრიო საყოველთაო ამოცანა.

3. ბუნების დაცვისათვის აუცილებელია საყოველთაო მშვიდობა. ამ უჩვეულო მოვლენების გამოწვევა-დადგინება საჭიროებს მსოფლიოში საყოველთაო მშვიდობისადმი დაუცხრომელ მისწრაფებას — მორალურად გაწმენდალი ახალი ადამიანისა და უახლესი ყოვე-



ლის მომცველი პროგრესული ტექნიკის (ურთულეს მანქანათა სისტემის) კომპლექსს, აგრეთვე მათი ყოველმხრივად ამთვისებელ და სრული დატვირთვით გამოყენებულ მრავალგვაროვან მუშაკთა კადრებს. ამაზე დაუსრულებელი ზრუნვა შეხამებული უნდა იყოს მსოფლიო მშვიდობის მოყვარეობასთან და ემსახურებოდეს საერთო-საკაცობრიო კეთილდღეობის ნებისმიერ დონეზე ამაღლებას.

ამ იდეების მეგობარდღრედ სულ უფრო მეტი ზომით გამოდის საბჭოთა კავშირი, მისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა. ეს თანდათანობით უზრუნველყოფს ახალ, საყოველთაოდ მისაღებ, ადამიანისათვის საუკეთესო ურთიერთობათა ფორმებს, გზებს, წესებს, მეთოდებსა და საშუალებებს — პოლიტიკურს, ეკონომიურს, კულტურულსა და კეთილმეზობლურ ურთიერთობის დარგებში — ერთეულებიდან ერთობლიობამდე. ამ გზაზე საბჭოთა ქვეყანა სულ უფრო მეტი ინიციატივითა და თაოსნობით გამოდის და მოწონებასაც პოუვებს.

4. გამარჯვების გზაა — ერთიანი ზრდადი მეცნიერება და წარმოება. კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა და მთელი ხალხი დაუცხრომლად ზრუნავენ საყოველთაო კეთილდღეობაზე — ამისაკენ მავალი გადაწყვეტი გზა ბუნების დაცვა, მისი რესურსების განვითარება და რაციონალური გამოყენება.

საბჭოთა ქვეყნის მეცნიერება განდიოხული მასშტაბით აჩქარებს თანამედროვე მოწინავე მეცნიერების დარგების წინსვლას და სულ უფრო მეტი წვლილი შეაქვს მსოფლიო მეცნიერებაში. ამ კოლოსალურ შემოქმედებით კვლევა-ძიებით საქმიანობაში სულ უფრო მეტი ადგილი ეთმობა — ბუნების დაცვისა და მისი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებას. უამრავ საკითხთა ამ კომპლექსში ცენტრალური ადგილა უჭირავს და მთავარი მნიშვნელობა აქვს „ბიოსფეროს დაცვას და მისი რესურსების სულ უკეთ გამოყენებას“.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე, 1973 წლის 22 ივნისს, რომელიც მიეძღვნა პრობლემას „მეცნიერება და ბიოსფერო“ — ფართოდ გააშალა მსჯელობა ბიოსფეროს დაცვისა და ბიოლოგიური რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემებზე. აკადემიის პრეზიდენტმა მ. ვ. კელიშვილმა შესავალ სატყავაში აღნიშნა:

მატერიალური წარმოების სფეროს სწრაფი განვითარება, მისი მასშტაბების გამსწრებადი ტექნიკური პროგრესი, გვიხსნიან ფართო შესაძლებლობებს დავაკმაყოფილოთ საზოგადოების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი. ეს ფაქტორები მასთან ერთად აპირობებენ ბუნებრივი რესურსების სულ უფრო ინტენსიურ ექსპლუატაციას, სულ უფრო ღრმა ზემოქმედებას ალბეჰდავენ გარემომცველ არეზე. ამასთანავე, არა მარტო ძლიერდება ურთიერთმოქმედება ადამიანისა გარემომცველ ბუნებასთან, არამედ იცვლება კიდევ ამ ურთიერთმოქმედების თვით ხასიათიც...

მრავალ საინტერესო საკითხთა შორის აქ აღინიშნა, რომ მეცნიერებათა აკადემიას, დიანტერესებულ სამინისტროებთან ერთად დავალებული აქვთ — დაამუშაონ უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეკონომიური შეფასების მეთოდოლოგია, მონაწილეობა მიიღონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგნოზის შედგენაში — ბიოსფეროში შესაძლო ცვლილებათა შესახებ 20—30 წლის განმავლობაში ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგად.

ამგვარ პროგნოზებში, მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგების საფუძველზე ბუნებრივ გარემოზე უარყოფითი მოქმედების აღკვეთისათვის, ამასთანავე ამ გამოკვლევათა შემდგომი განვითარებისათვის, ბუნებრივია, რომ მომავალშიაც წარმოიშობა შეუთანხმებლობანი — ახალ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის საჭიროებასა და გარემომცველი არეს შენარჩუნებას შორის. ასეთი წინააღმდეგობანი დაძლეული უნდა იქნან მხოლოდ მეცნიერების საფუძველზე... ასეთივე ყოველმხრივი მეცნიერული მიდგომა იქნება საჭირო — სასურველი ეკოლოგიური სისტემების ფორმირების და განვითარებისათვის, ე. ი. ბუნებრივი გარემოების გაუმჯობესებისა და გამდიდრებისათვის. ფრიად მნიშვნელოვანია იმ პრობლემათა დამუშავება, რომელნიც დაკავშირებულია ე. წ. „დაბურულ სისტემათა“ შექმნასთან, რომელნიც ან სულ გამორიცხავენ, ან არსებითად ამცირებენ წარმოებრივ დანაკარგებს. ამავე დროს აუცილებელია გამძინარე წყლების და გაზების, წვადი სათბობების გაწმენდის მეთოდებისა და საშუალებათა სრულყოფა (ტყე და დამცველი ზღუდეები) და მათი კომპლექსური გამოყენება. უნდა გაძლიერდეს ბიოსფეროს რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის სპეციალური საშუალებების დამუშავება. აგრეთვე უმნიშვნელოვანესი სახეების ბუნებრივი რესურსების ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასება და სათანადო დასკვნები.

ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ „ბუნების დიდ გარდაქმნებს“ — ისეთს, როგორიცაა ჩრდილოეთ და ციმბირის მდინარეთა ნაწილის გადმოსროლა სამხრეთში; კასპიის და აზოვის ზღვების წყლების რეჟიმის რეგულირება; ისეთი პრობლემების შესწავლა, როგორიცაა ატმოსფეროს თბიერების რეჟიმის დამოკიდებულება მასში ნახშირმყავას შემადგენლობის რაოდენობაზე. აუცილებელია გაერთიანდეს ძალები სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერებათა, ან უზრუნველყოს გამოკვლევათა კომპლექსური გატარება.

მ. ვ. კელდიშმა ხაზი გაუსვა, რომ მეცნიერულ პრობლემათა მთელ რიგს აქვს გლობალური ხასიათი და თავისი წარმატებით გადაჭრისათვის მოითხოვენ ძალების გაერთიანებას სხვა ქვეყნებთანაც. სსრ კავშირი მონაწილეობს მსხვილ საერთაშორისო პროექტებში, რომელნიც დაკავშირებულია ბუნების რაციონალურ გამოყენებასთან. ეს პრობლემათიკა მუშავდება სოციალისტურ ქვეყნების „ეკონომიურ ურთიერთდახმარების საბჭოს“ წევრ-ქვეყნებთან ერთად „კომპლექსურ პროგრამათა“ ჩარჩოებში. ამავე დროს ვითარდება თანამშრომლობა აშშ, საფრანგეთთან და სხვა ქვეყნებთან. ეს საქმე მალე უფრო დიდი მასშტაბით გაიშლება. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამ კრებაზე მოსმენილ იქნა სხვა მოხსენებებიც: ვიცე-პრეზიდენტი ა. პ. ვინოგრადოვის და წ/კ. ვ. ა. კოვდასი, აკად. ს. ს. შვარცისა. დაგროვდა დიდძალი ძვირფასი მასალა.

5. ბიოსფეროს ზოგადი დახასიათება. „თანამედროვე გაგებით, ბიოსფერო ეწოდება დედამიწის იმ ნაწილს, სადაც არსებობს სიცოცხლე. მაგრამ ამგვარი განსაზღვრა იმთავითვე წარმოშობს რიგ კითხვას, რაც საჭიროებს დაზუსტებას. დიდ სიმაღლეზე აღებულ ჰაერის სინჯარებში შეიძლება ვიპოვოთ სხვადასხვა ბაქტერიები და სოკოების სპორები მაგრამ ამ „ჰაეროპლანქტონს“, ცხადია, არა აქვს აქტიური მეტაბოლიზმი. მიწის ზედაპირზეც კი ცოტა როდია ძალზე ცივი, ძალზე ცხელი ან ძალზე მშრალი ადგილები იმისათვის, რომ იქ შეეძლოთ არსებობა აქტიურ მეტაბოლიზმიან ორგანიზმებს (თუ არ ვიანგარიშებთ, რასაკვირველია, ხომალდში მოთავსე-

ბულ ხალხს, რომელნიც მომარაგებული იქნებიან შესაბამისი გაწყობილობით); მაგრამ ასეთ ადგილებშიაც ყოველთვის შეიძლება მოვნახოთ სპორები. ამასთანავე დედამიწის გარსს, რომელსაც ბიოსფერო ეწოდება, აქვს არა სწორი ფორმა. იგი გარსშემორტყმულია რომელიღაც „პარაბიოსფერული“ სფეროთი, რომელშიაც სიცოცხლე იმყოფება მხოლოდ მოსვენებულ მდგომარეობაში. ამჟამად ცოცხალ ორგანიზმს შეუძლია, რასაკვირველია, არსებობა ბუნებრივი ბიოსფეროს ფარგლებს გარეშეც, თუ იმყოფება კოსმოსურ ხომალდში ან სკაფანდრში. ასეთი ხელოვნური ადგილსამყოფელი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ბიოსფეროს მონაკვეთი მისგან ამოგლეჯილი და დროებით გატყორცნილი კოსმოსში.

რა ახასიათებს ბიოსფეროს როგორც დედამიწის განსაკუთრებულ გარსს? — პირველ რიგში, ეს სფეროა, რომელშიაც დიდი რაოდენობით მოიპოვება თხიერი წყალი; მეორე, მასზე ეცემა მზის ენერჯის მძლავრი ნაკადი; მესამე, ბიოსფეროში არის ნივთიერებათა შორის განაყოფთა ზედაპირები, რომლებიც იმყოფებიან თხიერ, მაგარ და გაზისმავარ მდგომარეობაში. ყველა ეს სამი თავისებურება, რომელთაგან სამივე სასიცოცხლედ მნიშვნელოვანია ბიოსფეროს არსებობისათვის, მოითხოვენ უფრო ბევრად შესწავლას და განსჯას.

აქტიური მეტაბოლიზმიანი ორგანიზმები ძირითადად წარმოადგენენ ორგანულ მაკრომოლეკულების რთულ სისტემებს, დისპერგირებულს წყლის გარემოში. ორგანიზმების უნარი, შეეგუოს გარემო პირობებს, იმდენად დიდია, რომ თვით უდაბნოებსა ან ანტარქტიკის ყინულოვანი ფენის ნაპირებზედაც შეიძლება მოიძებნოს ცოცხალი ნივთიერება. ამ სფეროებში მხოლოდ მათ სხეულებშია შესული თხიერი წყალი. თუმცა ასეთ ქსეროფიტულ ორგანიზმებს შეუძლიათ ხანგრძლივი დროით შეინახონ თავის სხეულში წყლის მარაგება, მათ მაინც ესაუიროებათ დრო და დრო წვიმა ან ცვარი (ყველაზე ცხელი უდაბნოები ფორმალურად იმყოფებიან ბიოსფეროს გარეშე, თუმცა შეუძლიათ ითვლებოდნენ პარაბიოსფერულად იმ გაგებით, როგორც ეს ზევით ითქვა). დიდი ხანი არ არის, რომ ცოცხალი ორგანიზმების უნარი წყლის შენარჩუნებისა თავის სხეულების ქსოვილში — ეს თვისება აღძრავდა დიდ ინტერესს მარსზე მისი უწყლო პირობებით, სიცოცხლის პრობლემასთან დაკავშირებით; მაგრამ უახლოესი გამოკვლევები, როგორც ჩანს, გამორიცხავენ მარსზე ყოველგვარ შესაძლებლობას, რაიმე სახის ბიოსფეროს მასზე არსებობის შესახებ.

აღსათ მსგავსი მდგომარეობაა მოსალოდნელი კოსმოსურ გალაქტიკათა შორის. ჩვენი (მზის) გალაქტიკის პლანეტებს შორის სიცოცხლით დამშვენებული მარტო ჩვენი პლანეტა — დედამიწია. ეს უსახლერო დონეზე ამოღებს დედამიწას პლანეტაშორის და ერთგვარად გალაქტიკათაშორის მნიშვნელობას.

6. ბიოსფერო და ადამიანი. ადამიანის გავლენა გეოგრაფიულ გარემოზე, მისი ჩასახვა-განვითარებისა და პირველყოფილი მდგომარეობაშივე, მისი საყოველთაო უპირატესობით დაიწყო და თანმიმდევრულად ყოველმხრივი და სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა. ეს უწყვეტი პროცესი უხსოვარი დროიდან მაინც ძალზე ნელა, თუმცა სულ მზარდი ტემპით მიმდინარებობდა XX საუკუნის მეორე ნახევრამდე. ამ დროიდან ეს ურთიერთობა სულ უფრო ტოტალური, გლობალური და გრანდიოზული მასშტაბისა გახ-

და: მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ და ყოვლისმომცველ ტექნიკურმა პროგრესმა — ჩვენს დროში უარყოფითი, შემამფოთებელი, მომწამვლელი, გარდამქმნელი და ზოგჯერ მომსპობი შედეგი გამოიღო... მდგომარეობა სულ უფრო საშიშია ხდებოდა.

ხალხთმოსახლეობის ზრდა და კიდევ უფრო მეტად ტექნიკური პროგრესი აიძულებს განვითარებულ ქვეყნების მეცნიერებს, დაუფიქრდნენ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაგროვებასთან ერთად პლანეტის ზედაპირის ორგანიზმებისათვის მავნე ნივთიერებებით სისტემატურ გაჭუჭყიანებას. ადამიანმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს იმისათვის, რომ ამის შედეგად გამოწვეული მოვლენები აღკვეთოს, გარემო გააჯანსაღოს, განავითაროს და გაამდიდროს რესურსებით. ის რაც პირველად (მთელი საუკუნის მოვლენების შესწავლის შედეგად, ნოოსფეროს მოძღვრების სახით), იწინასწარმეტყველა გენიალურმა ვ. ვერნადსკიმ, მალე საყოველთაოდ იქნა აღიარებული ჰემ-მარიტებად.

სადღეისოდ, მსოფლიო მასშტაბით ფართოდ იშლება გლობალური მოვლენების საერთო მასშტაბით შესწავლა, ახსნა; მალე ცალკეულ ქვეყნებში იწყეს იგივე საკითხების ლოკალურად და უფრო ღრმად შესწავლა. ამ საქმეში დიდ მასტიმულირებელ მონაწილეობას იღებს საბჭოთა ქვეყანა. რაც დრო გადის, მაღალი ტემპით მზარდი მოსახლეობის უჩვეულოდ ზრდადი მოთხოვნილება უბიძგებს ადამიანებს ბიოსფეროს მაქსიმალური გამოყენებისაკენ. აქტუალობა იზრდება თითქმის ყველა ქვეყანაში. უკვე საჭირო გახდა საყოველთაო-პლანეტარული მასშტაბის ღონისძიებანი. ასევე თანმიმდევრულად და აჩქარებულად — ეს მოვლენები გადაიქცა კოსმოსური ინტერესების — სასიცოცხლო ამოცანად ჯერჯერობით კი, უნდა გაძლიერდეს ამ პრობლემების შესწავლა, უნდა გაღრმავდეს დედამიწის პრობლემათა იმ სფეროდან, რომელიც წარმოადგენს ცოცხალ ნივთიერებას. მან უდიდესი როლი შეასრულა დედამიწის ანუ ჩვენი პლანეტის წარმოქმნა-ჩამოყალიბებაში, სწორედ „ცოცხალი-ბიო“ — სიცოცხლე „ბიოსფერო“ — ისაა, რომ წარმოიქმნა და ჩამოყალიბდა მილიონობით წლების განმავლობაში უწყვეტი ევოლუციის შედეგად.

ჩვენს ეპოქაში „ბიოსფეროს“ ბედი — ურთულესი პრობლემაა, შეეხება არა მხოლოდ უკლებლივ ყველა მეცნიერს — დამოუკიდებლად მათი სპეციალობისაგან, არამედ პრაქტიკულად სისხლხორცეულად შეეხება იგი თითოეულ ჩვენგანს. ეს პრობლემა ყველაზე მეტად გააშუქა გეობიოქიმიის ფუძემდებელმა, ბიოსფეროზე თანამედროვე წარმოდგენების შემოქმედმა, შესანიშნავმა მეცნიერმა და მოაზროვნემ ვლადიმერ ივანეს ძე ვერნადსკიმ<sup>1</sup>. მან უჩვენა, რომ გეოლოგიურად მიქსოხილველ დროში სიცოცხლე მიწაზე ვითარდებოდა როგორც ურთიერთდაკავშირებული ორგანიზმების კრებადობა („ცოცხალი ნივთიერება“ ვ. ვერნადსკის ტერმინოლოგიით), რომელიც წინა დროს ახლა უზრუნველყოფილ ელემენტთა უწყვეტი და მომავალშიც მათი დინების უზრუნველყოფილი ნივთიერებათა ბიოგენურ ცვლაში მიმდინარეობს ჩვენი პლანეტის ზედაპირზე. ატმოსფეროსა და სტრატოსფეროს, მთელი ჰიდროსფეროსა და ლითოსფეროს მრავალკილომეტრიანი სისქის ფენის ერთიანი საფარი თავისი თვისებებით დამოკიდებულნი არიან იმ ზეგავლენაზე, რომელნიც მოახდინეს მიწის ზედაპირზე ორგანიზმებმა თავისი არსებობისა და ევო-

<sup>1</sup> А. Г. Умилевский. Вернадский, второе издание, М., 1967.





ლუციას მილიარდობით წლების განმავლობაში. ამ ზედაპირული მკვლევარების მოქმედების შედეგად შეცვლილ მიწის ფენას ვ. ი. ვერნადსკიმ უწოდებს „ბიოსფერო“. სიცოცხლეს — ყველა ორგანიზმთა მიწაზე კრებსითი მოქმედების საერთო გამოვლინების ერთობლიობაში — ხსნიდა ვ. ვერნადსკი და ემყარებოდა რა მრავალრიცხოვან მონაცემებს, სთვლიდა მას ყველაზე მძლავრ გეოქიმიურ აგენტად. სწორედ მან გარდაქმნა მიწის ზედაპირი, პლანეტარული მასშტაბის და დიდი მნიშვნელობის ენერგეტიკულ ფაქტორად.

დედამიწაზე სიცოცხლის განვითარება — ეს არსებითად არის განვითარება ორგანიზმების რთული კომპლექსისა — ბიოცენოზებისა (ფიტოცენოზი და ზოოცენოზი) თანამედროვე ტერმინოლოგიით, რომელნიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა ელემენტთა წრებრუნვას. წრებრუნვას პირველ რიგში იმართისა, რომელნიც მიღებულია და წოდებულ იქნენ ბიოგენურად წარმოქმნილად. იცვლებოდნენ ცხოველთა, მცენარეთა და მიკროორგანიზმთა სახეები და უფრო მსხვილი ტაქსონები, რომელნიც უზრუნველყოფდნენ ამ მუდმივ წრებრუნვას და ითრევენდნენ მასში სულ ახალ და ახალ შენაერთებს, მაგრამ ისინი ყოველთვის ინარჩუნებდნენ ერთგვარ, მეტნაკლებად გარკვეულ — შეთანაბრებას სხვადასხვაგვარ ორგანიზმთა ბიოქიმიურად აქტიური ჯგუფებში. მათი კრებსითი მოქმედება, ქმნის მიწაზე არაორგანულ გარემოს რეჟიმს და აუცილებელია სიცოცხლის არსებობისათვის.

ქანკბადი, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ, ოზონური ეკრანი, რომელიც გვიცავს ჩვენ ონიზაციის სასტიკ დამლუპველ ზემოქმედებისაგან, სულ მარაგდება ორგანიზმების მიერ; ორგანიზმებივე ქმნიან აგრეთვე ნახშირორჟანგების კალციუმის დანაფენების მარაგს, აუცილებელს მწვანე მცენარეთა ბიოსფეროს (ნახშირჟანგი) ატმოსფეროში და ა. შ.

აფასებდა რა ორგანიზმთა სხვადასხვა ჯგუფების ზემოქმედებას მთელი მიწის ქერქზე და მათს ბიოქიმიურ მნიშვნელობას, ვ. ი. ვერნადსკიმ წინასწარუპრეტით დაასკვნა — თავისი ცხოვრების გზის ბოლოს, რომ ადამიანის ბიოგეოქიმიური როლი, ამ ბოლო ასწლეულში გაცილებით მეტი გახდა სხვათა როლზე, რომელნიც ყველა ორგანიზმებზე აქტიურია ბიოგეოქიმიური მხრით. ადამიანას ზემოქმედება მიწის ზედაპირზე პრინციპიალურად განსხვავებულია დანარჩენ ორგანიზმთა ზემოქმედებისაგან; იგი დაკავშირებულია არა მარტო ბიოლოგიურ, არამედ ადამიანის წარმოებრივ მოღვაწეობასთანაც, რაც წარმართება მისი გონებით და კანონებით.

ღრმა ოპტიმისტს ვ. ა. ვერნადსკის ყოველთვის სწამდა გონების გამარჯვება — ყოველგვარ ბნელ ძალებზე; ვ. ი. ვერნადსკი სიამაყით წერდა, რომ ბიოსფერო სიცოცხლის — დედამიწაზე გავლენის სფერო — ჩვენს დღეებში, ადგილს უთმობს ნოოსფეროს — ადამიანის გონების და მისი კანონების გავლენას სფეროს.

ამ ვითარებაში რომ შევძლოთ ბუნების (ბიოსფეროს) რესურსების დაცვა და განვითარება, უნდა გონივრულად შევთანაწყოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ბიოსფეროში მიმდინარე პროცესებთან. ცვლილებანი გარემო არეში უნდა ხდებოდეს მოფიქრებულად, რაციონალურად, რათა არ დაზიანდეს ჯანმრთელობა. როგორც ამჟამინდელ, ისე ადამიანების მომდევნო თაობათათ... ეს სერიოზული საფრთხეა. ამიტომ ჩვენი პლანეტის მთელს ისტორიაში პირველად — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (ოონ) გადაწყვეტილებით, 1973 წ. 5 ივნისს ტარდება (გატარდა) მთელს პლანეტაზე „გარემო



არეს დაცვის დღე“ (იხ. გაზ. „პრაედა“, 5/VI—1973 წ.). ეს ღონისძიება ტოლმნიშვნელოვანი დასი უნდა აღმოჩნდეს ამ მოვლენის თავმინებების ან მოსალოდნელი უშირ-მესი შედეგებისა. იგი ქვეშეობრივად ტოტალური და გლობალური ხასიათისა თუ მასშტაბის არის და ჰარმონიულ ღონისძიებათა სახით უნდა სრულდებოდეს.

ადამიანის მიერ მისი ადგილსამყოფელის გარემოს სიმდიდრით: ცალმხრივად ექსპლუატაციისაკენ მიმართული ზეგავლენა, საუკუნეების მანძილზე იწვევდა ბიოსფეროში წონასწორობის დარღვევას ურთიერთდაკავშირებულ პროცესებს შორის: მაგრამ მეოცე საუკუნის შუახანებამდე პერმანენტულად და მეტწილად დარღვეული პროცესები ბუნებრივად წონასწორდებოდა — უგუნური საქციელის თუ კატასტროფული მოვლენების გარეშე... დღესაც მოსახლეობას ზრდა და კიდევ უფრო მეტად, ტექნიკური პროგრესი აიძულებს ტექნიკურად განვითარებული ქვეყნების მეცნიერთა და უფიქრდენ ბუნებრივი სიმდიდრეების უგუნური დატაცების შედეგებს. მათ მალე დასჭირდებათ ექიმი გზები, თუ როგორ აღკვეთონ ადამიანებმა პლანეტის ზედაპირის სისტემატური გაუქმებები ორგანიზმების წვის მანე ნივთიერებებით და შეცვალონ ყოფილი სისუფთავით. სულ მტა შრომები გამოდის, რომლებშიც ფიზიოლოგები და ბუნებისმეტყველნი ცდილობენ საღად შეაფასონ ცვლილებანი, რომელნიც შეაქვთ ადამიანებს თავიანთ ცოცხალ და არაცოცხალ გარემოში და ნორმაში მოიყვანონ მათი შედგენილობა.

ამას დადებით მაგალითად შეიძლება დასახელებდეს ორი გამოცემა:

1. Использование и охрана природных ресурсов — Труды конференций по рациональному использованию и охране ресурсов биосферы; გამოც. „იუნესკო“, პარიზი, 1970, თარგმანი ინგლისურიდან და გამოცემა „პროგრესი“, მოსკოვი, 1972 წ. შედგენილია ექსპერტთა მთავრობათა შორის კომისიის კონფერენციისა — ბიოსფეროს რესურსების დაცვის სა და რაციონალური გამოყენების მეცნიერული საფუძვლები.

2. Биосфера. Перевод с английского. Под редак. чл. корр. АН СССР.

М. С. Гилярова. ეს კრებულები ორივე ენაზე არსებითად ერთგვარად დადებითად და მაღალ მეცნიერულად არის შეფასებული, სახელდობრ: პირველის ანოტაციაში ნათქვამია: „ამ კონფერენციამ, რომელმაც მოიზიდა უდიდესი მეცნიერები 63 ქვეყნიდან, იუნესკოს წევრებია და 88 თანამშრომელია „ბიოსფეროს“ დანტერესებული ორგანიზაციიდან, აღმოჩნდნენ ფრიად ავტორიტეტული. მასზე განხილულ პრობლემებში და გამომუშავებული რეკომენდაციები წარმოადგენენ დიდ ინტერესს ყველა სპეციალისტისათვის, რომელთაც აქვთ დამოკიდებულება ბიოსფეროს გამოყენებასა და დაცვასთან.“

მეორე ანოტაციაში ხაზგასმულია, რომ: ბიოსფეროს ბედი — პრობლემა, რომელიც შეეხება არა მხოლოდ უკლებლივ ყველა მეცნიერს მისი სპეციალობისაკენ დამოუკიდებლად, არამედ პრაქტიკულად თვითოეულ ჩვენსს. ამ კრებულში გამოქვეყნებული პოპულარული ნარკვევები დაწერილია ცნობილ მეცნიერთა ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებულ გეგმის მიხედვით; იგი მიძღვნილია ბიოსფეროში მიმდინარე ყველა პროცესის ანალიზისადმი და ენერჯის წრებრუნვა დედამიწაზე, ენერჯის წრებრუნვა ბიოსფეროში, წყლის წრებრუნვისა — ქანგბადისა, ნახშირბადისა, აზოტისა, მიწის ნივთიერებათა; ამასთანავე განხილულია ბიოსფეროზე ადამიანის



მოქმედების გავლენა წარმოებაზე: საკმელისა, ენერჯისა, სხვადასხვა მასალებისა.

მომდევნო თბრობაში განხილული იქნება ბიოსფეროს, როგორც ურთულეს (საბიოცენოზო მოვლენების) კომპლექსური, ურთიერთგაპირობებული და უწყვეტი მსვლელობა — ცოცხალ ნივთიერებათა და ინდივიდურ სინთეზურ სიცოცხლისა.

„დღეამიწის ზედაპირი განიციდის მსოფლიო სივრცეში მზიდან მოფენილი ენერჯის დინების მუდმივ ზემოქმედებას. ეს ენერჯია მილიარდობით წლებში ელვრებოდა მას და იწვევდა კოლოსალური ინტენსივობის პროცესებს, შედეგად მოქონდა ნივთიერებათა განუწყვეტელი ევოლუცია, განაპირობებდა სტრუქტურის ურთულეს გარდაქმნებს. ყველაფერი ამის შედეგად „მინერალურ სამეფოს“ მრავალფეროვნება, აგრეთვე ნაირნაირი მრავალგვაროვანი სახეების წარმოქმნა, რომელნიც ყველაზე რთულად არის დაკავშირებული ურთიერთთან და დამოკიდებულია მათი მომცველი გარემოსაგან“<sup>2</sup>.

მიწა, როგორც პლანეტა, არსებობს 4,5—5 მილიარდი წლის განმავლობაში და ყველაფრიდან ჩანს არა უმეტეს 6 მილიარდი წლისა. სიცოცხლას აშკარა ნიშნები გაჩნდნენ 2,5—3 მილიარდი წლის წინათ; თუმცა შეიძლება რომ მისი პრიმიტიული ფორმები მანამდეც არსებობდა; დაახლოებით 0,5 მილიარდი წლის წინათ ცოცხალმა ორგანიზმებმა იწყეს ხმელეთის დაპყრობა. ამავე დროიდან დაიწყო მიწაზე მისი სტრუქტურის და გარემოს პირობების თუ პროცესების ხასიათის ძირითადი ცვლილებანი. გაჩნდნენ არა ცოცხალი მატერიიდან რადიკალურად განსხვავებული რთული აღნაგობის ცოცხალი ორგანიზმები; სიცოცხლის ევოლუციის მსვლელობაში წარმოიშვა ცხოველების, მკენარეებისა და მიკროორგანიზმების დაახლოებით 3 მილიონი სახე.

ცოცხალ ორგანიზმთა შორის განსაკუთრებული ადგილი დაიჭირეს მცენარეებმა, რომელთაც აქვთ მზის სხივური ენერჯის შექმნით ორგანულ ნივთიერებათა სანოეზის უნარი. სიცოცხლის განვითარების შედეგად შეიქმნა მიწაზე ახალი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც „ბიოსფერო“ ეწოდება. ბიოსფერო არის დღეამიწის ერთ-ერთი გარეგანი გარსი, რომელშიც სიცოცხლე არსებობს სხვადასხვანაირი ორგანიზმების უამრავი ნაირფეროვნების სახით: მათგან დასახლებულია ხმელეთის ზედაპირი, ნიადაგი, ატმოსფეროს ქვედა ფენები და ჰიდროსფერო. არსებითად ბიოსფერო არის ბიოტური და აბიოტური ნივთიერებების ურთიერთმოქმედების პროდუქტი. მცენარეთა ზემოქმედების წყალობით ბიოსფერო აკუმულირებს და ანაწილებს ენერჯის, რომელსაც მიწის ზედაპირი იღებს კოსმოსიდან.

აღამიანის საზოგადოება არსებობს ბიოსფეროს ჩარჩოებში, როგორც მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და იყენებს მის რესურსებს. ბიოსფეროს დაცეას მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით აუცილებელია ბიოსფეროში მიმდინარე პროცესებისათვის ქანგბადი და ნახშირმჟავა ორქანგი. ქანგბადი, რომელიც გამოიყოფა ფიტოავტოტროფების სულ მზარდი პოპულაციებით, გროვდება ოკეანეში და მადის ატმოსფეროში. იქ ულტრაფიოლეტური გამოსხივების მოქმედებით ქანგბადის მოლეკულების ნაწილი გაითიშა ატომებად და შეიქმნა უაღრესად მაღალი ხარისხის აქტიურობის ატომარული ქანგბადი და არა ნაკლებ აქტიური ოზონი... და ამას მო-

<sup>2</sup> Использование и охрана природных ресурсов, из-во „Прогрес“ М., 1972.



ყველა მთელი რიგი რეაქციების წარმოშობა და ჩატარება; მაგალ., ჯანმრთელობის დამყანავი და სხვა სახის რეაქციები. ქანგადადისა და ნახშირბადის ურთიერთობას ფრიალ დიდი მნიშვნელობა აქვს ბიოსფეროსა და საერთოდ სასაცოცხლო პროცესებისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ქანგაბადი დაგროვდა ატმოსფეროში მწვანე მცენარეთა ფოტოსინთეზური აქტიურობით.

სიცოცხლე წარმოადგენს მატერიის განვითარების განსაკუთრებულ ფორმებს, რომელიც ექვემდებარება თავის სპეციალურ კანონებს. სიცოცხლის აუცილებელი პირობაა ნივთიერებათა ცვლა, რომელიც დამახასიათებელია ყველა ცოცხალი ორგანიზმისათვის. ნივთიერებათა ცვლის პროცესში ორგანიზმში შეიქმნებიან სხვადასხვა შენაერთები, რომელთაგან აიგება ცოცხალი ნივთიერება: უჯრედი, ქსოვილი, სხეულის ორგანოები. ნივთიერებათა ცვლა შეადგენს ორგანიზმის ყველა სასიცოცხლო პროცესების — ზრდა, განვითარება, გამრავლება, მუშაობა, აზროვნება — საფუძველს.

რომ ბიოსფერომ გააგრძელოს არსებობა, რომ მოძრაობა მასში არ შეწყდეს, აქ უნდა არსებობდეს ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი ნივთიერებების წრებრუნვა, რომლებიც გამოყენების შემდეგ ახლად უნდა გადავიდნენ (მზის ენერჯის მონაწილეობით) ასეთ ფორმაში, რომელიც გამოსადეგი იქნება წრებრუნვაში შემდგომი მონაწილეობისათვის. ამ პროცესების სისწრაფე შეიძლება სხვადასხვა იყოს. მიწიერ არსებათა ორგანულ ნივთიერებათა, როგორც საბოლოო ანგარიშით, წარმოშობის საწყისს ატმოსფერული ნახშირბადის ორჟანგიდან ამთავრებს ცაკლს ათწლეულებში; კალციუმის წრებრუნვა ხდება მნიშვნელოვნად ნელა... მას ამ მხრით ჰგავს აზოტი, ხოლო აზოტს ამ მხრით აქვს დიდი მსგავსება ნახშირბადთან, თუმცა მისი მარავი ატმოსფეროში, რასაკვირველია, გაცილებით მნიშვნელოვანია; ხოლო მისი ბიოლოგიური ფიქსაცია თუ უფრო ნაკლები გავრცელება კი, მეტი ენერჯის მეტ დანახარჯთა მომთხოვნია.

პირველმა საერთაშორისო კონფერენციამ — ბუნებრივი გარემოს თანამედროვე პრობლემათა შესახებ, რომელიც ჩატარდა 1968 წლის 4—13 სექტემბერს, „იუნესკო“-ში წინასწარი სათანადო სამუშაოს შედეგად ცნებაში „ბიოსფერო“, რომელიც პირველად საერთაშორისო ხმარებაში შემოვიდა, ამჯერად — იგულისხმებოდა დედამიწის ის ნაწილი, რომლის ფარგლებშიაც არსებობს სიცოცხლე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის დედამიწის ზედაპირი და მასთან მიმდებარე ნაწილები — ლითოსფერო (მიწის ქერქი), ჰიდროსფერო და ატმოსფერო... ამ ეტაპზე ბიოსფეროს რესურსებში იგულისხმებოდა პარველ ყოვლისა ხმელეთის ბიოლოგიური რესურსები (მცენარეები, ცხოველები) მისი ნიადაგები და წყლები, რომელნიც წარმოადგენენ მიწის ზედა სიცოცხლის უშუალო გარემოს. ამავე კომპლექსის სხვადასხვა საკითხების შესწავლა მიმდინარეობდა ანალოგიურ კონფერენციებსა და სექციებში (ავტ. ი. ა. გერასიმოვი), ეტაპობრივად ხდებოდა სინთეზური დასკვნები და განზოგადებანი.

ჩვენს დროში ზოგი ელემენტები თავიანთ მოძრავ ფორმაში ჩაერთვიან ოკეანესა და ატმოსფეროში გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე ინდუსტრიალურამდეც ვრამდე; წარმოიქმნებოდნენ ახალი წრებრუნვები, რომელთა შემწეობითაც ფართოდ წარმოიქმნებოდნენ რაოდენობით ისეთი ელემენტები, როგორიცაა ტყვია და სინდიცი, აგრეთვე ფრიალ სტაბილური ხელოვნ.



ნური სინთეზური შენაერთები, როგორცაა ინექტიციდები და ტენეტნი, ცხადია, რომ აუცილებელია ინტენსიურად ესწავლობდეთ ყველა მსგავს ნივთიერებათა გავლენას, გეოქიმიური თვალსაზრისით მცირე ეფექტური ძალზე თხელი მიწის „მწვანე მანტიანზე“, თუ ჩვენ გვინდა, რომ ბიოსფერო<sup>3</sup> არ დაიღუპოს<sup>4</sup>. ასეთი საშიშროება სულ უფრო რეალური ხდება ჩვენი პლანეტის ინდუსტრიალიზაციის შემდგომი აჩქარებულად მზარდი ტემპის გამო. ამ ყოვლისმომცველ პროცესს შესატყვის სიჩქარით მოსდევს: ჰაერის, წყლის (ოკეანისა და შიგა წყლებს), მიწისა და წიაღის, ფლორისა და ფაუნის, ე. ი. მთელი ბიოსფეროს მოწამვლის საშიშროებაც.

ამ საკითხზე მსჯელობა არის საგანი როგორც ამ წერილის შემდგომი ნაწილისა, ისე სამერმისოდ განზრახული სტატიებისა ბიოსფეროს ციკლიდან.

### ზოგადი წანამძღვარი

გრანდიოზული ერთიანი ბუნების და მისი უსასრულო კომპლექსის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ბიოსფეროა. მისი ჩარჩო მიწა, წყალი და ჰაერია. მთელი ეს უკიდვანო სამყარო კოსმოსურ მოვლენათა მონათესავე ჯგუფების დაუსრულებლად განვითარებადი და განსაცვიფრებელი კანონზომიერებით მიმდინარე მონოლითური თანდათანობით ამოხსნებადი საოცრებათა საოცრებაა — უსასრულოდ ნაირ-ნაირი კოსმოსი, უთვალავ ვარსკვლავთა გალაქტიკებად დაჯგუფებული ერთიანი სისტემა.

მასში ჩამოყალიბებულ ქეისისტემათა შორის ჰელიოსისტემა რამდენიმე პლანეტის შემადგენლობით — შეიცავს კაცობრიობისათვის ყველაზე შეუცნობელ და ამასთანავე უსასრულოდ რთულ მოვლენათა მატარებელ ურიცხვ კომპლექსებს. ჩვენი პლანეტის გამუდმებული შესწავლით, კოსმოსში ახალი მოვლენების შეცნობით სულ უფრო მეტად იჭრება ადამიანი სამყაროს სიბრძნის ამოცნობაში; სულ უახლოვდება დედამიწის პლაცდარმიდან კოსმოსის ხეველებს... და ყველაფერი ეს — სამყაროს თანდათანობით შეცნობისათვის ბიოსფეროს ფარგლებში მიმდინარე მოვლენების თანმიმდევრული სქემატური თეორიულ-წარმოებრივი მეცნიერულ-პოპულარული შესწავლისათვისაა — მომდევნო თხრობა.

## II

### მიწის — ნიადაგისა და წიაღისეულის დაცვა

ჩვენს დროში შობად ახალ მეცნიერებას — პლანეტოლოგიას, ჯერ კიდევ მცირე მონაცემები გააჩნია იმისათვის, რომ თქვას, აუ სახელდობრ რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დედამიწის მოსახლეობისათვის ასი წლის მანძილზე აქედან დაკვირვებაში მოქცეულ და ბოლო ორ ათწლეულში ინტენსიური შესწავლის საგნად აღებულ სამ ციურ სხეულს: მთვარეს, მარსსა და

3 „ბიოსფეროს“ თვით ცნება პირველად ავსტრიელმა გეოლოგმა ედუარდ ზიუსმა იხმარა 1875 წ. მაგრამ ამას მეცნიერებაში მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია. მან ყურადღება მიიქცია მას შემდეგ, რაც 1926 წ. რუსულ ენაზე, ხოლო ფრანგულზე 1929 წ. სათაურით „Biosphero“ რუსმა მინეროლოგმა ელადიმერ ივანეს ძე გერნადსკიმ გამოაქვეყნა ორი ლექცია. ზიუსის მომდევნო ხანში ვერანდსკიმ განავითარა იდეები 50 წლის შემდეგ და საბოლოოდ ჩამოაყალიბა ის იდეები, რომელმაც შეცვალა შეხედულება კოსმოსის წარმომართვა-განვითარების შესახებ.

4 Биосфера; Издательство „Мир“, Москва, 1972, стр. 20.



ვენერას; ერთი რამ დადგენილად ჩაითვლება, — მიწიერი გაგებით, გიურ მოვლენებზე და აქედან გამომდინარე სხვა შედეგებზე აქ ჯერ-ჯერობით მოხსნილია<sup>5</sup>. უფრო გასაგებია, თუ „რა აშფოთებს ადამიანს“, როდესაც გავითვალისწინებთ რეალურ საფრთხეს კაცობრიობისას სამიოდე ათეული წლის მანძილზე იმ შემთხვევაში, თუ კი ხალხთა გამთიშველ სოციალურ ასპექტში დაპირისპირებულობა მხარეებმა არ დათმეს და ყველაფერ ცოცხალსა და, საერთოდ, სიცოცხლეს დედამიწაზე არსებობის საშუალება მოუსპეს. აი, როგორია კაპიტალიზმის ყველაზე მძლავრ, აგრესიულ და უძლებ ქვეყნებში „ცხოვრება, პირობები, მსჯელობა“...

გარემოს პრობლემების კონგრესზე, რომელიც 1969 წელს გაიმართა ვაშინგტონის სენტ-ლუისის უნივერსიტეტში, ბიოლოგიის პროფესორმა დოქტორმა ბ. კომონერმა განაცხადა, რომ „25—30 წლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ თვითმკვლელობითს გზაზე, რომელიც გარემოს განადგურებასაკენ მიდის, მიაღწევენ იმ წერტილს, რომლის შემდეგაც შემობრუნება შეუძლებელი იქნება“. სხვა მეცნიერი — ბიოლოგი პ. ერლიხი წინასწარმეტყველებს — 1980 წლისათვის ოკეანეებში სიცოცხლე მოისპობა, ვინაიდან ზღვის თევზის მარაგი განადგურდება. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ წყლის, ნიადაგისა და ჰაერის გაუქუყიანება თანამედროვე ტექნიკის კაპიტალისტური გამოყენებისას ისეთ ტვირთად აწევა ბუნებას, რომ ახლო მომავალში შეიძლება შეუქცევად გახდეს და ამ პირობებში ბუნების ტოტალურად მომწამვლელი შემამძრუნებელი ძალის — ატომულის იარაღის გამოცდა ნიქსონისადმი სალუტად მიიჩნის პეკინში. ამის შემდეგ გამოქვეყნდა ნიუ-იორკში ატომური ენერჯის კომისიის ცნობა, რომ „ამერიკის სულ ცოტა 16 შტატში აღმოჩნდა რადიოაქტიური ნალექები ამ ატომური აფეთქების შედეგად. ამას მოყვა ფართო პროტესტი იაპონიისა და რიგი სხვა ქვეყნებისა; მაგრამ, როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ არ არის რაიმე წარდგინება პეკინისადმი ამ შედეგებთან დაკავშირებით“. რა გაეწყობა: „გულს გული იცნობს“.

საერთო-საკაცობრიო მწვევე პრობლემებსა ერთობლივად და დროულად გადაწყვეტისაკენ მოწოდება საბჭოთა ქვეყნის მხრივ მსოფლიოში ხშირად ვაისმის. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. პოდგორნიმ „იუნესკოს“ არსებობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომის მონაწილეთადმი გაგზავნილ მისალმებაში მოუწოდა მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების, ბუნების დაცვისა და ადამიანის გარემომცველი არეს გაუმჯობესებისათვის<sup>6</sup>.

<sup>5</sup> Лейкин. „Марс-71“ (Рождение новой науки—Планетологии); см. газ. „Вечерний Тбилиси“, 24. VI. 1971.

<sup>6</sup> ვაზ. „კომუნისტი“, 13 თებერვალი, 1972.

<sup>7</sup> 18 მარტს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში კვლავ გამოცხადდა ატომური აფეთქება, მაგრამ აშშ ამას ახლაც დუმლით შეხვდა. ამის შედეგად იაპონიის ჩრდილოეთ ნაწილში რამდენიმე ასეულჯერ გაიზარდა რადიოაქტივობა და ნავაქის მუნიციპალიტეტმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიუმის ჯოუ ვენ ლაის გაუგზავნა საპრეტესტო დეპეშა. იხ. ვაზ. „კომუნისტი“, 22 მარტი, 1972.

<sup>8</sup> Н. Подгорный. Участникам торжественного заседания, посвященного 25 летию ЮНЕСКО, Париж, см. газ. „Правда“, 5 мая, 1971.





საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ განიხილა დეპუტატ ზ. გელაშვილის შვილის მოხსენება. „ბუნების დაცვის მდგომარეობა, ნიადაგის ეროზიის ნალმდეგ ბრძოლა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი რესპუბლიკაში“ და 1970 წლის 18 ივნისის დადგენილებაში აღინიშნა, რომ: „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის კანონის ცხოვრებაში გატარებამ საგრძნობლად გააუმჯობესა რესპუბლიკაში ბუნების დაცვის მდგომარეობა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1966 წლის 24 ივნისის დადგენილებამ ბუნების დაცვის კანონის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე“. უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში შესრულდა მნიშვნელოვანი სამუშაოები წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიებისაგან ნიადაგის დასაცავად: გაშენდა სახელმწიფო ქარსაფარი ზოლები (1.800 ჰა), მინდორსაცავი ტყის ზოლები (5.100 ჰა); მოწყობილია ტერასები. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მდინარეების გაჭუჭყიანებისაგან დაცვისათვის... საგრძნობლად გაუმჯობესდა გარეული ცხოველებს, აგრეთვე თევზის დაცვისა და მომრავლების საქმე. გაძლიერდა ბრძოლა ბრაკონიერებისა და ბუნების სიმდიდრეთა ყველა ხელშეწყობის წინააღმდეგ, სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა შავი ზღვის სანაპიროს, მდინარეების, წყალსაცავების, ტყეების დაცვისა და რაციონალური გამოყენებისათვის.

ამასთან ერთად, რესპუბლიკაში ბუნების დაცვის კანონის შესრულებისა და ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. გასაკეთებელი კი უამრავი საქმეა და მთავარი ისაა, რომ ერთდროულად და კომპლექსურად უნდა სრულდებოდეს დედაბუნების ყველა მთავარი ელემენტის დაცვა, გაუმჯობესება და გამოყენება. ბუნებაში მიმდინარე ყოველგვარი მოვლენა, დიდაა იგი თუ პატარა, ერთმანეთთან მიზეზობრივად დაკავშირებულია და შეადგენს მთელი ბუნების განუყრელ ნაწილს; ამიტომ აუცილებელია ბუნების მთლიანი შეცნობა და მასი გონივრული კომპლექსური გამოყენება, ძირითადია ნიადაგი და ქვენიადაგი, „წილი და გული“, დედამიწა.

მიწის წიაღისეულის დაცვა. ჩვეულებრივი ვაგებით, მიწა არის ჩვენი პლანეტის გარეგანი გარსი, რომლის სიღრმეში ბუნებრივად ან ადამიანის ზეგავლენით ამა თუ იმ ტემპით მიმდინარეობს გეოლოგიური — ფიზიკურ-ქიმიური და (სულ ზევით) ბიოლოგიური — სასიცოცხლო პროცესები, რომელთა შედეგად წარმოიქმნება ან შეიქმნება ყოვლისმომცველი მატერიალური სუბსტანცია. ეს პროცესი ყველგან, ოღონდ გეოგრაფიულად განსხვავებულ პირობონტულ და ვერტიკალურ ზონებსა თუ მიწის ზედაპირთან, სხედასხვა სიღრმეზე — თვისებრივად და რაოდენობრივად განსხვავებულად მიმდინარეობს და ასეთივე სარგებლიანობით გამოიყენება ადამიანის შეგნებული საქმიანობის შედეგად.

გამარტივებულად რომ ვთქვათ, „მაგარი მიწა“ თხელი ქერქია, რომლის სისქე კონტინენტებზე საშუალოდ ორმოცე კილომეტრია; იმის ქვეშ არის ზედა და ქვედა მანტია, უფრო ღრმად კი ძვეს გული — ბირთვი, რომელიც წარმოადგენს მიწის სამანუვარათასკილომეტრიან რადიუსს; ეს ბირთვი იყოფა ორ ნაწილად: შინაგანი (მაგარი) და გარეგანი (თხიერი). გარეგანი ბირთვის ძირითადი თვისებებია გამტარიანობა მძლავრი ელექტრული დენებისა, რომელნიც წარმოშობენ მიწის მაგნიტურ ველს. რისგან შედგება ბირთვი?



დავობენ ორ მასალაზე: სილიკატებსა და რკინაზე... ხოლო ბირთვში არსებული ვებერთელა წნევა და ამ ბირთვებში მოქმედი ელექტროდენები მრავალ ნივთიერებას სძენენ ლითონების თვისებებს; აქ წყალბადსაც კი შეუძლია გადაიქცეს ლითონიზებულ სუბსტანციად. იმის გაგება, თუ როგორაა აგებული დედამიწა, დიდად საჭიროა წიაღისეულის მოპოებისათვის.

უახლეს ათწლეულში გეოფიზიკის მრავალი პრობლემა გადაწყდება მათემატიკურ დონეზე და გადაიქცევა მზის სისტემის პლანეტათა ნამდვილ ფიზიკად<sup>9</sup>. ეს არაჩვეულებრივად გაზრდის ჩვენს შესაძლებლობას, რომ უკეთ შევიცნოთ არა მხოლოდ დედამიწა, არამედ — მზის მთელი სისტემა; მათ შორის — წიაღისეულთა ძაების, დაცვის, უფრო მეტის მოპოებისა და გონივრულად გამოყენების თეორიული და პრაქტიკული საკითხები<sup>10</sup>. საქართველოს მასშტაბისათვის დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი და მნიშვნელოვანწილად ათვისებულია მრავალფეროვანი წიაღისეული.

„საბადო აღმოჩენილია, დადგენილია მისი სამრეწველო მნიშვნელობა, შესწავლილია წიაღისეულის განლაგების სიღრმე, ფართობი, გამოთვლილია მისი მარაგი; გეოლოგებს შესტმშენებლება ცვლიან. საბადო საექსპლოატაციოდ მზადდება... ბოლოს დგება საბადოს საწარმოო ათვისების დრო. გეოლოგებისა და შესტმშენებლების ნაცვლად მოდიან სამთოელები. მათ წინაშე საპატრო ამოცანა დგას: ერთი ასად ანაზღაურონ წინამორბედთა შრომა; გამოსტაცონ მიწის წიაღს განძეული და სამშობლოს მისცენ კუთვნილი სიმდიდრე — ნახშირი, მადნეული, ნავთობი“<sup>11</sup>.

ამ სწორ დებულებათა შემდეგ ავტორები ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმეებზე მსჯელობენ. ისინი აღიარებენ, რომ ამ დარგში არსებულ აუცილებელ დანაკარგებს გარდა, რისა ნორმატივები პროექტითაც არის გათვალისწინებული, მნიშვნელოვანია მიწის ზედაპირზე არსებულ ნაგებობათა ქვეშ მოქცეული ან ნაკლები გამოქუშავებისა და საზღაურის მომკემი მცირე მოცულობის ნარჩენები საბადოებშია და სხვა. ეს დანაკარგები უნდა შემცირდეს აღნიშნული ნორმატივების გადასინჯვის მხრივაც, ხოლო ზენორმატიული დანაკარგები სრულიად დაუშვებელია. აუცილებელი დანაკარგების ნორმატივების გადასინჯვა მით უფრო მიზანშეწონილია, რომ წიაღისეულის მოპოვება 1980 წლისათვის უნდა გაორკეცდეს და ახლავე უნდა აღიკვეთოს გაუმართლებელი დანაკარგი.

ჩვენი რესპუბლიკა ამ მხრივ უკეთესად როდი გამოიყურება. პირიქით, მისი ძირითადი წიაღისეულის: ნახშირის, მანგანუმისა და ბარიტის მოპოვების დანაკარგები უფრო მკვეთრად იზრდება. სხვადასხვა ავტორები სამართლიანად სვამენ საკითხს მადნის დანაკარგის ეკონომიკური შეფასების, ზუსტი აღრიცხვის, ზედამხედველობის გაძლიერებისა და ზარალის ძირითადად იმ პირებზე დაკისრებისათვის, ვისაც პირდაპირი ბრალი მიუძღვის ამ საქმეში,

<sup>9</sup> Чл. корр. АН СССР, проф. В. Магницкий. Газыши нашей планеты; см. газ. „Молодежь Грузии“, 1 января, 1972.

<sup>10</sup> მარგანეცი ოქანის ფსკერიდან — იაპონიაში დაიწყო ამოღება (საქდეს); გაზ. კომუნისტი, 23 ივნისი, 1972.

<sup>11</sup> ო. კარბელაშვილი, გ. ტაბატაძე, საბადო ულვეი როდია — მინიმუმადღე შევაციროთ დანაკარგები; იხ. გაზ. „კომუნისტი“, 13 მარტი, 1970.

ვინც უზრუნველობას და წინაუხედაობას იჩენენ მადნის მარაგის ყაირათიანად გამოყენების საქმეში. ამ ზარალს, რასაკვირველია, ისიც უნდა დაემატოს, რომ წიაღისეულის დამუშავების არსებულ წესებსა და მთავრობის რეგლამენტაციას ძალიან ხშირად არ იცავენ; ეს აძლიერებს ეროზიულ, სელურ, ლვარცოფულ, ღრანტე-ხევების წარმოქმნისა თუ სხვა პროცესებს: ირეცხება და იფიტება ნიადაგები, იკარგება მიწის ფართობი და ნათეს-ნარგავებიც კი. საქართველოს სსრ-ში დიდი ზარალი მოაქვს ინტენსიურად მიმდინარე ეროზიას, მეწყერებს, ზევეებს, ლვარცოფებს, ხევეწარმოქმნასა და სხვა ამგვარ პროცესებს. ხშირად ამ მდგომარეობას ამძიმებს მრეწველობისა, საერთოდ და, კერძოდ, სამთამადნო მრეწველობისაგან მიყენებული ზარალი. ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის პრაქტიკიდან გვაქვს კარიერების არასწორად დამუშავების რამდენიმე მაგალითი. ზემო იმერეთის პირობებში ეროზიულ პროცესებს ყოველთვის დიდი ზარალი მოქონდა. მადნის მოპოვების ინტენსიფიკაციამ გამოიწვია ე. წ. ღია წესზე გადასვლა ამის გამო სამართლიანად წერს ავრ. რ. წიგნაძე: „თუ მადნის მოპოვების ეს წესი პროგრესულია მარგანეცის მრეწველობისათვის, მისი პრაქტიკაში დანერგვა დიდ ზიანს აყენებს მიწების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებას... საზარალოა აქაური მკვიდრი გლეხობისათვის. მათ თვალწინ იჭრება ხის ის ტოტი, რომელზედაც თვითონვე სხედან“<sup>12</sup>. საკავშირო მთავრობის დადგენილებით, ასეთ შემთხვევაში ყველასათვის სავალდებულოა დაზიანებულ ფართობთა აღდგენა — მიწების რეკულტივაცია და მარგანეცის ტრესტს ზემდგომი ორგანოების მითითებით, 1964—1970 წლებში უნდა მოესწორობინა და აღედგინა ღია წესით დამუშავებული 378 ჰა ფართობი; სინამდვილეში მან მოასწორა და აღადგინა 250 ჰა, ისიც უხარისხოდ, ხოლო კოლმეურნეობებს დაუბრუნდა მიწის უმნიშვნელო ფართობი — მარტოოდენ 30 ჰა, აქედან კი 1969 წელს „ახალი ითხვისის მალაროთა სამმართველოს მიერ 11 ჰა მოსწორებული მიწის ზედაპირის უმეტესი ნაწილი დაფარულია ქვის ლოდებით და მათი სოფლის მეურნეობაში გამოყენება შეუძლებელია“. რაკი ჩვენი მეცნიერებისა და პრაქტიკის მიერ რეკომენდებულ ღონისძიებათა სისტემას ამ მკვეთრქანობიან მიწებზე თითქმის არავინ ასრულებს, იმავე ადგილებში ეროზიული პროცესებით კვლავ ფუჭდება მიწა და აქა-იქ უსულგულოდ ჩატარებული ღონისძიებანი ძალზე დაბალ ეფექტს იძლევა: „მოსწორებულ ფართობზე კალინინის სახელობის მალაროთა სამმართველოს მიერ დარგული 13.000 ძირი ხეხილის გახარება 15—20 პროცენტს არ აღემატება...“ ზოგ შემთხვევაში საზადოს უბნები გადასხილია (სოფ. ზოდი, ხალიფაური), „სამუშაოები დიდი ხანია შეჩერებულია. აღდგენილი სამუშაოები კი არ მიმდინარეობს და აქ ნარგანეცის ამოღებაზე მუშაობა გრძელდება. 1969 წელს დიმიტროვის სახელობის მალაროთა სამმართველომ თვითნებურად დაიკავა და მარგანეცის მადნის ღია წესით დამუშავება დაიწყო სოფელ ზოდის 3 ჰა ვენახის ფართობზე და 10 ჰა სახნავზე, ხოლო შემდეგ აღძრა საკითხი მისი სამმართველოზე მიკუთვნების შესახებ. მან არ გაითვალისწინა კანონი, რომლის მიხედვითაც მიწის ნაკვეთების გადაცემა არ მოხდება, თუ სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელ მდგომარეობაში არ იქნება მოყვანილი ადრე გადაცემული მიწის ნაკვეთები“.

<sup>12</sup> მთავარი ავრონომი რ. წიგნაძე, მარგანეცი და ეროზია, ვახ. „კომუნისტი“, 11 მარტი 1970.

წერილში ამგვარი სხვა მაგალითებიცაა მოყვანილი და გაკეთებულია შემართებული დასკვნა: „სოფლებისა და მღაროთა სამმართველოების ტერიტორიაზე გადახსნილი ქანები ისე იყრება ჭიათურისათვის საერთოდ დამახასიათებელ ფერდობებზე, რომ მეწყერებმა შეიძლება გამოიწვიოს დიდი მატერიალური ზარალი, შეაფერხოს საგზაო ტრანსპორტის მოძრაობა და საფრთხე შეუქმნას თვით ქალაქ ჭიათურას“. მაგრამ ეს ბუნებისა და, კერძოდ, მიწის დაცვის ერთ-ერთი საკითხია. ყველა დანარჩენი საკითხიც ასევე მოგვარებას საჭიროებს, რადგან ურთიერთდაკავშირებულ აუარებელ მოვლენათა ერთობლიობა შესაბამის ღონისძიებათა კომპლექსურ და ერთდროულ გატარებას მოითხოვს.

უპირატესად მთიან და ძალზე დანაკვეთულ, მკვეთრ რელიეფიან საქართველოში ყველაზე სერიოზულია მიწისძვრების საკითხი (იგი 5—8 ბალიან სეისმურ ზონაშია). მთელ საბჭოეთსა და მის ფარგლებს გარეთაც ცნობილია ჩვენ მეცნიერთა, კონსტრუქტორ-მშენებელთა თეორიული მიღწევები და პრაქტიკული ღვაწლი ამ დარგში... და მაინც სულ მზარდი, ინტენსიური და დაუღალავი შემოქმედებითი და განუწყვეტელი შრომა გვიდევს წინ.

ზ ვ ა ე ბ ი და მ ე წ ყ ე რ ე ბ ი. შავი ზღვის რკინიგზის გასწვრივ (მდ. ინგურთან მდ. შავწყალამდე), აჭარა, იმერეთი და ამერეთი, რაჭა-ლეჩხუმი ან, უფრო სწორად, დიდი და მცირე კავკასიონის ფართო თუ ვიწრო ხეობებში. მეტწილად დიდი ძალითა და სისწრაფით ხმაურიანად მოდენილი მომცრო თუ მზარგაშლილი მდინარეები — იწვევენ ან აძლიერებენ ჩვენში ხშირ და მძაფრ ზეავებსა და მეწყერებს. ამ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი მეცნიერების ძვირფასი წვლილის ერთი მაგალითი მოყვანილია ქვემოთ; იგი ამ სტიქიის შეცნობისა და საბოლოოდ ალაგმვისაკენ არის მიმართული და სისტემატურად ქვეყნდება საამისო მოკლე ცნობები პრესაში: „დადგა ზაფხულის მეცნიერული ექსპედიციის დრო, და როგორც ყოველთვის, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში გზავნის გამოკვლევითს ჯგუფებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს თხონით, ინსტიტუტის ერთ-ერთი ჯგუფი შეისწავლის მეწყერების მიზეზებს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ბორჯომის რაიონის სოფ. ახალდაბიდან — მცხეთამდე. მეწყერების შესასწავლად გამოყენებული იქნება ელექტრო დაზვერვის უახლესი მეთოდი“<sup>13</sup>.

თანამედროვე საზოგადოებას შეუძლია, რომ მოაწესრიგოს და მართოს ბუნების მრავალი სტიქიური მოვლენა; ამასთან, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი ამ დარგში სულ ახალსა და მეტ შესაძლებლობებს ქმნის, — აღამიანი სულ უფრო გაბედულად ეუფლება დედამიწის განძებს. ბუნებრივი კატაკლიზმების მეტი ნაწილის განკვერტა ახლა უკვე შესაძლოა, თუმცა ბუნებასთან ბრძოლაში ადამიანი ყოველთვის როდი იმარჯვებს. ასეთ, ჯერ კიდევ დაუძლეველ ბუნებრივ მოვლენებს მიეკუთვნება პირველ რიგში მიწისძვრები, მისი მოსალოდნელი შედეგებით.

მიწისძვრა ერთ-ერთი მეტად საშინელი სტიქიური უბედურებაა. იგი წარმოიშვება უეცრად, რაიმე აშკარა გამაფრთხილებელი ნიშნების გარეშე და, თუმცა ძირითადი ბიძვის ხანგრძლივობა სულ რამდენიმე წამია, მას

<sup>13</sup> Внимание, оползни, газ. Заря Востока, 21 июля, 1970.

მოპყვება ხოლმე ყოველგვარ ტაიფუნზე საზარელი და შემადრწუნებელი შედეგები: კიდევ უფრო შემზარავია ვულკანების ამოფრქვევა<sup>14</sup>. მთავარი უბედურება, რასაც მიწისძვრა იწვევს, ეს ნაპრალები და უფსკრულება კი არაა, არამედ მიწის გრუნტის ძალიან ძლიერი შერყევა და აძივადება, რასაც მიწისქვეშა ტალღები იწვევენ; ეს მოვლენა უსაფრთხო გახდება, თუ შენობა-ნაგებობანი გაუძლებენ წიადაგის რყევას, ხოლო ნაგებობათა სეისმო-მდედგობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცოდნა იმისა, თუ სად და რა ძალით ხდება მიწისძვრები.

საბჭოთა სეისმოლოგების მრავალწლიანი შრომით, რაშიაც ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მცოდნეობის ამ დარგის ქართულმა სკოლამ (გ. ონიაშვილი, კ. ზავრიევი და სხვ.), შესაძლო გახდა სსრ კავშირის ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუქის შედგენა; მასზე ყოველი გეოგრაფიული პუნქტისათვის ნაჩვენებია მომავალი შესაძლო მიწისძვრების მაქსიმალური ინტენსივობა. ცნობილია, რომ საბჭოთა ქვეყნის აღმოსავლეთი და სამხრეთი საზღვრების გასწვრივ მდებარე ოლქებისათვის (მაშასადამე — ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში) დამახასიათებელია მაღალი სეისმურობა. ამ ზონაში მრავალია მალიონამდე სული მოსახლეობის, დიდი სოციალურ-პოლიტიკური და მატერიალურ-კულტურული მნიშვნელობის ქალაქები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მჭიდროდ დასახლებული რაიონები. ამიტომ აქ დამატებით ტარდება სეისმურა მიკროდარაიონებაც, რაც იძლევა გამაგრებული ნაგებობების მშენებლობის საშუალებას...

დიდი ალქიმოზოსი ე. ლ. რაგევი წერდა: „არ შეიძლება ედო მიწისძვრას“; მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო და შემდგომ ადამიანმა ბუნების მრავალი საიდუმლო გამოიკნო. არც ისე დიდი ხანია, რაც ალბათობის თეორია, მყარი სხეულების ფიზიკა და დრეკადობის თეორია შეიქრნენ მცოდნეობის ისეთ დარგებში, რომლებიც წინათ მიეკუთვნებოდა გეოგრაფიასა და გეოლოგიას. ამიერიდან ადამიანი ჩასწვდა ამ სფეროში გაბატონებული შემთხვევითობისა და აუცილებლობის კანონზომიერ კავშირურთიერთობას... და ასე დაიწყო თანამედროვე სეისმოლოგია<sup>15</sup>. ახლა ეგზომ გამოუტენობი და ძრწოლვის მონვერელი აღარ არის ადამიანის მამიებელი გონებისათვის მიწისძვრებათა და მათი თანამგზავრებით (ზეკვებით, ხანძრებით, ცუნამებით) გამოწვეული საშინელი ნგრევა და უბედურებანი<sup>16</sup>. ამაზე ბევრად ნაკლებს, მაგრამ მაინც დიდი ზარალი მოაქვს ბუნების ისეთ მოვლენას, რომელსაც წყალმოვარდნა ეწოდება.

**წყალმოვარდნა** — დაუდევარი, აზვირთებული მილიონობით კუბური მეტრი წყლის მძაფრმდინარე უზარმაზარი მასის უეცარი გამოჩენა; იგი ხრამ-ხეხების ან მდინარეთა კალაპოტში უსწრაფესად გადინდება მომცროდან — უფრო დიდში, საბოლოოდ კი ზღვაში ჩაიტანს წყლის უზარმაზარ მასას. წყალმოვარდნა ყველგან დიდად მაზარალებელია: ვაკე-დაბლობებსა თუ ბორცვ-გორაკიან რაიონებში, მაგრამ ეს ზარალი განუზომლად დიდია

<sup>14</sup> Извержение вулкана. газ. Заря Востока, 19 сентября, 1972.

<sup>15</sup> С. С. Медведева, Н. Шебалина, С землетрясением можно спорить, изд-во „Наука“, М., 1968.

<sup>16</sup> ნეიჯერ კოლდერი, მიწისძვრების „მორჩულება“ (ობსერვები, ლონდონი), გ. ზ. „კომუნისტი“, 11 ივნისი, 1972.

მთიან ზონებში; განსაკუთრებით, როცა წყალმოვარდნა შუა თუ მაღალმთიან სარტყლებიდან იწყება. თუ ვაკეში უხირხატო ადგილებიდან დაუღვრომელ წყალს ზედაპირზე მიწის მეტ-ნაკლები სიღრმით ვადარეცხილი მოტივტივე ნიადაგის ნოყიერი განხნლი ვებერთელა მასა მოაქვს და დაბლობზე ლექავს, ან მეტწილად ზღვაში ჩააქვს, — მთავორიანი ზონიდან თავაწყვეტილი ღრიალით მიმდინარე წყალი ანგრევს სანაპიროზე ტინ კლდეებს, იტაცებს ღორღს, ქვიშას, სილას და უზარმაზარი მღვრიე ტალღებით ბარისაკენ მოექანება. ასეთი წყალდინება თავის გზაზე ყველაფერს ანგრევს და ხშირად ძნელად ასანახლაურებელ ზარალს აყენებს მთელი რაიონების ეკონომიკას. რაც არ უნდა რიყნარი და ფხვნილი იყოს ეს კალაპოტი, წყლის სულ ცოტა ნაწილი გაედინება გრუნტის სიღრმეში; წყლის ძირითადი მასა კი სწრაფად გაეცლება არემარეს და საბოლოოდ იკარგება აქაური მცენარეულობისა და, საერთოდ, ცოცხალ არსებათათვის. სხვა დროს ამ ადგილებში წყლის დიდი ნაკლებობაა: მდინარეები და ხევ-ხრამები შრება და გრუნტის წყლების დონეც ძალზე დაბლა იწევს; ნათეს-ნარგავს, საძოვარ-საბალახოს, ტყე-ბუჩქნარს ტენი აკლია, ვეგეტაცია უჭირს და მცენარე ჭკნება.

ასეთი მოვლენების წინააღმდეგ ადამიანი, რაღა თქმა უნდა, ოდითგანვე შეძლებისამებრ იბრძოდა, მაგრამ დიდ ზარალს საგრძნობლად ვერ ამცირებდა. მდინარეები და ხრამ-ხევეები ასობით და ათასობით არის ამა თუ იმ ქვეყანაში და ისინი ზაფხულობით ამომხმარი, გავარვარებული, ღრმა ნაკრთობებში ამჩნევია არემარეს; ხოლო ყოველი წყალმოვარდნის შედეგად, იფართოებენ სიგანეს და სიღრმე ემატებათ. ეს დამანგრეველი და ამომშრობი ძალა უზარმაზარია. მილიონობით კუბური მეტრი მაცოცხლებელ წყალს როდემდე უნდა ჰკარგავდნენ მიწის გრცელი ფართობები, საბოლოოდ კი — მილიონობით ადამიანიც?! ეს საკითხი დიდად შემაწუხებელია და საბჭოთა პრესაში ბევრი იწერება ამის თაობაზე. ხოლო პრობლემის სასურველად გადაჭრისათვის ბლომად მოიპოვება მეცნიერული ლიტერატურა მდინარეთა და წყალსატევების ამოშრობისაგან გადარჩენისა და მათში წყლის რეჟიმის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ პრაქტიკაში ჯერ კიდევ უცმარისად იყენებენ მათ. არის ლაპარაკი ერთ-ერთ ახალ მეთოდზე: „... ხრამებისა და ხევეების მჭიდრო ქსელში ზედაპირული დინების მილიონობით კუბური მეტრი წყალი შეიძლება დარეგულირდეს და წარიმართოს მიწისქვეშა წყლების დონის ასაწევად, მათი მარაგის შესავსებად. მხოლოდ ამისთვის საჭიროა ხრამებსა და ხევეებში ზედაპირული დინება დროულად შევაჩეროთ, ან არა და შევანელოთ მდინარეებში წყლის დინების სისწრაფე“. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საკითხი დღემდე პრაქტიკაში გამოყენების დონეზე დამუშავებული არ არის. არსებული პროგრამა და ამ თემაზე გამოქვეყნებული შრომები უპირატესად ეძღვნება მდინარეთა დინებას და არა ხრამ-ხევეებში წყლის გადინების საკითხებს... მათი წინადადება, რასაკვირველია, მოითხოვს მსჯელობასა და დამუშავებას.

ხრამებში უნდა შენდებოდეს ორი ჯებირი, ზოგჯერ კი — მეტიც, ისეთი ვარაუდით, რომ დიტიოს შეძლებისამებრ მთელი ხრამის ჩამონადენი წყალი, როგორც წესი: ერთი ჯებირი — ხრამის ზედა ნაწილში, მეორე — შესართავთან ახლოს. ჯებირების დანიშნულებაა, რაც შეიძლება მეტი წყლის შეკავება, რომელიც მერე წავა ფილტრაციის გზით მიწისქვეშა წყლების პო-

რიზონტის ამალგებასა და მათს კვებაზე. ცალკეულ შემთხვევაში წყლის ფილტრაციის გასაძლიერებლად „ფსკერგახვრეტილ“ ხრამებში მათი ლეიბის უსწრაფესი სოფლისმეურნეობრივი ათვისებისათვის სასურველია გამოიყენონ სპეციალური მანქანით ამოთხრილი და ბეტონის რგოლებით გაწყობილი შთანთქმელი ჭები. ასეთი ჭების რაოდენობა და მათი ფსკერზე განაწილება განისაზღვრება ამა თუ იმ ხრამის თავისებურებით, ხოლო მათი სიღრმე დაყვანილი უნდა იქნეს ყველაზე მეტი ფილტრაციის მქონე დედაქანამდე. ეს, რასაკვირველია, მოითხოვს სახსრებს, მაგრამ ხარჯები მალე და მალაღონეზე ანაზღაურდება... ამის შედეგად მდინარეთა დინება უეჭველად გადანაწილდება და ისინი უფრო წყალუხვნი გახდებიან ზაფხულის პერიოდში; ასე, რომ უკმარი დატენიანების ოლქებში ამ ღონისძიებათა შესრულება გეალვასთან ნამდვილი ბრძოლის დასაწყისი გახდება. გა ბ ე დ უ ლ ა დ უ ნ და შ ე უ დ გ ნ ე ნ ს ტ ი ქ ი უ რ ი ზ ე დ ა პ ი რ უ ლ ი დ ი ნ ე ბ ი ს მ ო თ ო კ ვ ა ს.

აღნიშნული პრობლემა საერთაშორისო მნიშვნელობისაა და სასიამოვნოა აღნიშვნა, რომ „წყალმოვარდნის ღონისძიებების აღმომიქმდენილი საერთაშორისო სემინარი“ ჩატარდა თბილისში — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის მეცნიერულ-კვლევით ინსტიტუტში — 1969 წლის 27—30 სექტემბერს თემაზე: „როგორ შევავადასოთ წყალმოვარდნა“. სემინარს ხელმძღვანელობდა „ბმმ“-ის წყლის რესურსების განყოფილების უფროსი ა. ალაგაზანი. მოისმანეს მოხსენებანი: პროფ. ა. სოკოლოვისა (ლენინგრადი) — წყალმოვარდნის შეფასებისადმი წაყენებული მოთხოვნების შესახებ; გ. ნარასიმხა რაოსი (იაპონია) — წყალმოვარდნის გაანგარიშების პრინციპები; გ. ვაკოვისკისა (ალყირი) — წყალმოვარდნის პრობლემები აფრიკისა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ინფორმაციები წაიკითხეს: გ. ვაკოვიაკმა (ცენტრალური აფრიკა), ა. ვალრმა (სუდანი), პ. ფტჰალამ (კაირო), ბ. აციბეტომ (დაგომეა) და სხვ. სემინარზე მოხსენებით გამოვიდა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი გ. ქობულია თემაზე — რესპუბლიკაში წყალმოვარდნის საწინააღმდეგო ნაგებობათა მშენებლობის, დაპროექტებისა და ექსპლუატაციის გამოცდილება. გარდა ამისა, სემინარის მონაწილეებმა მოასმინეს ლექციები ამიერკავკასიის მეცნიერულ-კვლევით ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტში: გ. პოკუბისა — წყალმოვარდნის ფორმირება და პროგნოზი; პ. მალიუკოვისა — წყალმოვარდნის პროგნოზების მეთოდების განვითარების დარგში კვლევისა და მიღწევების მიმოხილვა; ი. ხერხეულიძისა — წვამისა და სელური წყალმოვარდნის მაქსიმალური ხარჯები.

ღვარცოფები (სელური წყალდენა). მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ დაახლოებით 40—50 წელიწადში ერთხელ მდინარეთა აუზები, განსაკუთრებით, კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწალში „ამბოხდებიან“ ხოლმე და კალაპოტში მოქანება ღვარცოფული ნაკადები ქვების, გრუნტის, ხეებისა და წყლის ნარევით; ისინი ყველაფერს ანგრევენ თავის გზაზე. ასეთ მასას ერთ წამში შეუძლია შექმნას დიდი საგუბარები, რომლებიც წყალდიდობით ემუქრებიან ხოლმე სანაპირო დასახლებულ პუნქტებსა და სოფლის მეურნეობის სახმარ მიწებს. სტიქიური უბედურების პერიოდულობის დადგენა ხელს უწყობს სპეციალისტებს ეფექტურად აწარმოონ ბრძოლა მათ წინააღმდეგ.



ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის ღვარცოფის ნაკადებისა და საკალაპოტო პროცესების სექტორის თანამშრომლები უკვე მრავალი წელია მუშაობენ ღვარცოფების კვლევის, მასთან ეფექტური ბრძოლის ორგანიზაციის დარგში. ამ სპეციალისტებმა საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანის მთელ რიგ დაწესებულებებთან თანამეგობრობით შეადგინეს ამიერკავკასიის ღვარცოფიანი მდინარეების კატალოგი, რომელშიც აღნიშნულია ათასზე მეტი სტიქიური უბედურება, მომხდარი კავკასიას მთის მდინარეებზე XIX საუკუნის დამლევებიდან დღემდე. გამოვლენილია, რომ ქვა-ლორღების მრისხანე ნაკადები ყველაზე ხშირად წარმოიშობება ივნის-აგვისტოს თვეებში, თქვენი კი — წვიმებისა და მთებში მყინვარების ძლიერი დნობის გამო. ამ წყალმოვარდნისა და სელური მოვლენების შესწავლა სხვაზე მეტად და ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოებდა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის მეცნიერულ-კვლევით ინსტიტუტში (მ. გაგოშიძე<sup>17</sup>, ლ. სულაქველიძე, ი. ტრეგუბოვი, ი. ხერხეულიძე და სხვ.). განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ამ საქმეში პროფ. მ. გაგოშიძეს, რომელმაც ჯერ კიდევ 1953 წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა თემაზე — „Селевые потоки и борьба с ними“ და შემდგომაც ინტენსიურად ამუშაებდა ამ პრობლემის სხვადასხვა აქტუალურ საკითხს; აგრეთვე — დაკვირვების აპარატურისა და სხვა მეთოდურ-პროგრამულ საკითხებს. გამოკვლევის მასალების საფუძველზე, მ. გაგოშიძემ და სხვა ჰიდროტექნიკოსებმა შეიმუშავეს მთებში ღვარცოფების წარმოშობის პროგნოზირების პრინციპები; კიდევ მეტი — ი. ხერხეულიძემ შექმნა ღვარცოფდამკვირი დახადგარების სანდო კონსტრუქციები და დანერგა კიდევ.

სტანდარტული ასაწყობი რკინაბეტონის ელემენტების ინდუსტრიული მეთოდებით დამზადება ადვილია ყოველ სამშენებლო პოლიგონზე. საქართველოში ღვარცოფდამკვირი ეს დანადგარები პირველად აშენდა მდ. დურუჯზე ყვარელთან; უფრო ზუსტად — ასეთი მშენებლობა პირველად ჩვენთან განხორციელდა. მალე ეს მიღწევა და გამოცდილება გადაიღეს ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში და სხვ.; იუგოსლავიაში და სხვაგანაც უკვე მოქმედებს ათობით ხერხეულიძისეული დანადგარი. ღვარცოფების რთულა ბუნების შესწავლა კვლავაც წარმოებს დურუჯის აუზში, რადგან ეს აუზი კავკასიის ღვარცოფსაშიში მდინარეების კლასიკური ნიმუშია. შექმნილია მრავალწლიანი კვლევისათვის საბაზო ღვარცოფული ჩანადენის ექსპედიცია, რომელიც შეიმუშავეს და ა/კ რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის პრაქტიკაში ნერგავს საშიში წყალდიდობების პროგნოზის ყველაზე ეფექტიან მეთოდებს. ამის წყალობით ირგვლივ გარკვეულ მანძილზე მყოფ მოსახლეობას ავტომატური სიგნალიზაციით აცნობებენ მოახლოებულ საშიშროებას. ამ საქმის შემდგომი სრულყოფის ყოველმხრივი და დეტალური შესწავლა კიდევაც გრძელდება.

ჩვენს მიერ მოკლედ განხილული სტიქიური მოვლენები (მიწისძვრა, წყალმოვარდნა, ხევწარმოქმნა და ეროზია)<sup>18</sup> მუდმივ დაკვირვებას, ბევრ შემთხვევაში

<sup>17</sup> М. С. Гагошидзе. Аппаратура для автоматической записи горизонтов и скоростей воды и селевых потоков и отбора проб из движущейся селевой массы, Труды Груз. Н. И. Инст. Гидротехники и мелиорации, вып. 20, 1958, ст. 343, 378.

<sup>18</sup> Б. იაშვილი. საქართველოს სსრ მიწის ფონდი, თბუ, 1961, გვ. 80—97.



წავლასა და შესაბამისი ზომების სწრაფ მიღებას მოითხოვს. მდგომარეობა ამ მხრივ ჯერაც დამაკმაყოფილებელი არ არის, თუმცა სკკ პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ არსებული ვითარების გაუმჯობესებას.

ე რ ო ზ ი ა. ეროზიისაგან მიწები საქართველოში აღრიდანვე დიდად ზარალდებოდნენ; მისი სამივე სახე — წყლისმიერი, ქარული და ირიგაციური ეროზია<sup>19</sup>, — საქართველოს მეტად რთული რელიეფის გამო, — ინტენსიურად მიმდინარეობს და მისგან მიყენებული ზარალი ძნელად აღსარიცხავი-ცაა. სპეციალისტები თვლიან, რომ ყოველწლიურად მართო დასავლეთ საქართველოში 1000 ჰა მიწის ფართობი გამოდის წყობიდან (პროფ. მ. დარასელია) და სხვაგანაც ნიადაგი ძალზე იფიტება; ზოგან შეტანილ სასუქებზე მეტი — მცენარის მასაზრდოებელი ბუნებრივი ნივთიერებები ეროზიას მი-აქვს.

საქართველოში თითქმის 40 წელიწადია, რაც ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს. მეცნიერულად დამუშავებულია ძირითადი ღონისძიებებიც (აკად. ვ. გულისაშვილი, აკად. ტ. კვარაცხელია, აკად. მ. საბაშვილი, აკად. წ. კ. მ. დარასელია, დოც. ვ. ამბოკაძე და სხვ.); მაგრამ ადგილებზე ყველა ერთნაირ გულმოდგინეობას როდი იჩენს ამ საქმისადმი და სადაც უფრო მეტი ბრძოლაა საჭირო ეროზიის წინააღმდეგ, იქ შეფარდებით ნაკლებიც კი ვითრება ამ მხრივ. ყოველთვის უნდა გამახვილდეს ყურადღება და ქმედითი გახდეს ღონისძიებანი, რათა არა თუ დაგვაკლდეს მიწის ფართობი, არამედ წინაღ დაკარგულიც თანდათან დავუბრუნოთ სოფლის მეურნეობას. ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებით ეფექტიანობას მაშინ მივაღწევთ, როცა ამ დარგის მუშაებს ნამდვილად ეცოდინებათ თუ სად, როდის და რა პირობებში უნდა გაკეთდეს ესა თუ ის საქმე; მაგრამ არც ეს კმარა: ყველამ უნდა იცოდეს და, საჭირო შემთხვევაში უშუალოდ და უკომპრომისოდ განიცადოს თავისთავზე, რომ გეგმის ყველა ვალდებულებისა და მისი ცალკეული ნაწილის შეუსრულებლობა გარდაუვლად დაისჯება. სადღესოდ კი — ეროზიისაგან დაცვა და, საერთოდ, მიწათსარგებლობის, ნიადაგის გაუმჯობესების, მოსავლიანობის ამაღლების, მიწების ბუნებრივი სტიქიისაგან თუ ადამიანთა ხელყოფისაგან დაცვის — მთავრობის მიერ რეგლამენტირებული ღონისძიებანი ყველგან მთლიანად რაოდენობრივად და ხარისხიანად როდი სრულდება, ვინაიდან ამ საქმის უშუალო პასუხისმგებელი პირი მორალურად და მატერიალურად ზოგჯერ არც ისჯება.

1971 წლის მარტში საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო სესია მიძღვნილი ნიადაგის ეროზიისა და სელური დინებისაგან დაცვის ღონისძიებათა დამუშავებისადმი. ეს თითქმის საკავშირო მასშტაბის ღონისძიება იყო, მაგრამ რა მოჰყვა მას რეალურად პრაქტიკისათვის?! საქმეს შემდგომი მუდმივი მეთვალყურეობა და ბოლომდე მიყვანა უნდა; ამისათვის საქართველოში ყველა წინამძღვრია: ზემდგომი ორგანოების ორგანიზაციულ-ეკონომიკური და მატერიალურ-ფინანსური დახმარება, კომპლექსურად დამუშავებული და ადგი-

<sup>19</sup> პროფ. ი. ანჯაფარიძე, ეროზია და მის წინააღმდეგ ბრძოლა, შრომის წითელი დროშის ორდენისანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, XXXIII—XXXIII, თბ., 1972, გვ. 118.

ლობრივი წარმოებრივი პირობების შესაბამისი მიწათმოქმედების კულტურების მისი ძირითადი რგოლი — ნიადაგის დაცვა და გონივრული დამუშავება... საჭიროა მხოლოდ ამ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენება.

დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენს პლანეტაზე კაცობრიობის პროგრესის ერთ-ერთი მთავარი და განმსაზღვრელი ადამიანის საქმიანობისა, არის ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენების ეფექტური წარმართვა; ეს კი შეუძლებელია ნიადაგის წყლისმიერი, ქარული და ირიგაციული ეროზიისაგან ბეჯითი დაცვის გარეშე. დაახლოებით ნახევარი საუკუნეა, რაც ამ პრობლემამ მიიპყრო მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის შესაბამისი დარგების მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ყურადღება; შეიქმნა და იზრდება სპეციალური ლიტერატურა, ყალიბდება და სორცეიდლება ქმედითი ღონისძიებათა ლოკალიზებული სისტემები, რომლებშიაც ითვალისწინებენ რიგი ქვეყნების ისტორიულ გამოცდილებას. აშშ-ში ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ეროზია მიჩნეული იყო ეროვნულ უბედურებად. სოფლისმეურნეობრივი მიწების დაშლისა და გამოფიტვის გარდა, ეროზია აზარალებს ნაოსნობას, საერთოდ — ტრანსპორტს, ქალაქებს, ენერგომომარაგებას, წყალმომარაგებას და ა. შ.

ქარი იტაცებს მიწის ზედაპირიდან ნიადაგის წვრილ ნაწილაკებს და მტვრის შავი ბული აქუქყიანებს ჰაერს, აბნელებს ცის კაზადონს; ერთი ადგილიდან ახვეტილი მტვერი სხვაგან დაიყრება და ნორჩი ნათეს-ნარგავი სილასა და ქვიშაში იფლობა; ამით ზარალდება მილიონობით ჰექტარი მარცვლეული, ბოსტნეული და სხვა ნათეს-ნარგავები. პ. ბენეტის მიხედვით, „ნიადაგის ზევითა ყველაზე ნაყოფიერი ფენა ძალზე სწრაფად იშლება ეროზიისაგან, ხოლო ამ პორიზონტის 2,5 სანტიმეტრის ფენის აღდგენა ლალი მცენარეულობის საფარის ქვეშაც კი მოითხოვს 300—1000 და მეტ წელიწადს“<sup>20</sup>. ამგვარი უდიდესი, ზშირად აღუნაზღაურებელი ზარალი მოაქვს როგორც წყლისმიერ, ისე ქარულ ეროზიას; ვრცელი ვაკე და ნოყიერნიდაგაინი ტერიტორიების ზედაპირიდან ერთს ქარიშხლიან დღეში ჰაერას სწრაფად მოძრავ მასას შეუძლია აიტაცოს და შორს მანძილზე გატყორცნოს მილიონობით ტონა ნიადაგი...

საქართველოში მიმდინარეობს მეტნაკლები, კვლევითი და ოპერატიული მუშაობა ეროზიის აღსაკვეთად: ტერასირება — ტრანშეების გაკეთება, კონტურების დამაგრება, გარდიგარდმული ზენა, წყალსარინი თხრილების გავლება; მრავალწლიანი და მძლავრფესვიანი მცენარეების თესვა და რგვა, ქარსაფარებისა და მინდორსაცავი ტყის ზოგების გაშენება, მინდვრებიდან ქვების აკრეფა და გამოზიდვა, ფართობთა ვაკორდება და სხვა მრავალი სასარგებლო ღონისძიება ტარდება ჩვენში. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ შესრულებული სამუშაო საკმარისი არ არის. საჭიროა მკვეთრად გაძლიერდეს ეროზიის საწინააღმდეგო ეფექტური ღონისძიებანი. პარტია და მთავრობა ყოველწლიურად მეტ შესაძლებლობას ქმნიან ამ საქმიანობის ზრდა-გაუმჯობესებისათვის. ასეთ პირობებში შეიძლება ეროზიის არა მარტო დამარცხება, არამედ მის მიერ ოდესღაც წარმოებიდან გამოთიშული მიწების აღდგენა და კვლავ სოფლის მეურნეობაში გამოყენება.

<sup>20</sup> X. X. Беннет. Основы охраны почвы (перевод с английского), изд. „Иностран. Литература“, М., 1958; стр. 6.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე მოწვევის მეოთხე სესიის ნილება — ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი სების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შესახებ (მოსკოვი, კრემლი, 1972 წლის 20 სექტემბერი), კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხალხთა კეთილდღეობაზე დაუცხრომელი ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო გამოხატულებაა. აღსანიშნავია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ვ. ა. კირილინის მოხსენება — „ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც, — მანამდე უმაღალითო სიღრმითა და სისავსით, — კომპლექსური საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტია; ამ მოხსენების ყოველმხრივ კრიტიკულმა, დიდად გონივრულმა განხილვამ და სესიის ყოვლისმომცველმა დადგენილებამ ცხოველი ინტერესი და მოწონება გამოიწვია მსოფლიოს მეტწილი ქვეყნების პრესაში. „უკანასკნელ დროში, — აღნიშნა მომხსენებელმა, — ჩვენს ქვეყანაში, ჩატარდა დიდი მუშაობა, რომლის მიზანი იყო მოემზადებინა წინადადებანი ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებისათვის. ამ სამუშაოში ჩაბმული იყო სწავლულთა და სპეციალისტთა ფართო წრე“. ბუნებრივია, რომ ხსენებულ დოკუმენტებში სწორუპოვრადაა გათვქებული პრობლემათა უდიდესი კომპლექსის — სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებათმცოდნეობის მეტწილ მეცნიერებათა და ჩვენი ქვეყნის წარმოებრივი მდიდარი გამოცდილების უამრავი კონკრეტული დამახასიათებელი მასალა. „გარემომცველი ბუნების დაცვა, — განავრძო მომხსენებელმა, — გაჭუქყიანებასთან, ბუნებრივ წონასწორობათა დარღვევასთან და ბუნებრივი რესურსების გამოფიტვისთან ბრძოლის აუცილებლობა და ამ რესურსების ეფექტური ეკონომიური გამოყენების ორგანიზაცია — წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის. ჩვენს პლანეტაზე ეკონომიკის, ტექნიკისა და ადამიანთა რიცხვის ზრდა წარმოშობს ახალ ფაქტორებს, რომელთა საერთაშორისო მასშტაბით ანგარიშგაუწველობა არ შეიძლება“. საბჭოთა ქვეყანა სათანადო მონდომებით მონაწილეობს ამ უფართოესი პრობლემის თეორიულ და პრაქტიკულ-გონივრულ გადაჭრაში. ამისი ერთი მკაფიო მაგალითია 1972 წლის 12 სექტემბრის ვაზ. „პრავდის“ ცნობა: „საბჭოთა სპეციალისტების დელეგაცია გაემგზავრა კანადაში, სადაც მუშაობას იწყებს ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირის ასამბლეა“. ამ კავშირში შედის 200 ორგანიზაცია 72 ქვეყნიდან. საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი პროფ. ა. ბ. ბანიკოვი გვატყობინებს, რომ ასამბლეის სხდომებზე განიხილება განვლილი სამი წლის მოღვაწეობის შედეგები მსოფლიო მასშტაბით ბუნების დაცვის დარგში; ამასთანავე დაისახება მომავალი თანამშრომლობის პროგრამა. იმავდროულად შედგება ტექნიკური თათბირი ბუნების დაცვის საკითხებზე. მსოფლიო პრესა ცხოველი ინტერესით განმარტავს მოსკოვში დამთავრებულ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს სესიის შედეგებს (ბერლინი, პრაღა, ვარშავა, სოფია, დელი, უენეა და სხვა მრავალი); ვაზ. „სიუისი“ აღნიშნავს, რომ სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკის განვითარება ემყარება ხალხის კოლექტიურ საკუთრებას, არის დიდი შესაძლებლობანი ბუნების საუკეთესოდ დაცვისა და მისი რესურსების უფრო ეფექტური გამოყენებისათვის. იგი, კერძოდ, აღნიშნავს საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიებებს დიდ ქალაქებში ჰაერის გაჭუქყიანების წინააღმ-

დეგ ბრძოლისათვის. ახლო წარსულში ამ დარგის კანადის სპეციალისტმა დელეგაციამ დაათვალიერა საბჭოეთის რიგ კუთხეში უახლეს ღონისძიებათა ნიმუშები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა ობიექტზე, განცვიფრებას გამოთქვამდა ცალკეული მიღწევებით და მათ აღიარეს, რომ მსგავსი დანადგარები კანადას ჭერაც არ მოეპოვება.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხთა დიდ შემფთობებას იწვევს ჰაერისა და წყლის აუზების გაჭუჭყიანება, ნიადაგების ეროზია, ცხოველური და მცენარეული სამყაროს მზარდი ზარალი; არაეკონომიური გამოყენება მიწების, ნავთობის, გაზისა და ნახშირის, ლითონური მადნეულის და სხვა ბუნებრივი რესურსებისა, რადგან ბუნებრივი რესურსები თუმცა დიდია, მაგრამ უღვევი როდია; მათს გამოყენებაში უყაირათობასა და უზრუნველობას შეუძლია დაზარალოს ადამიანის არსებობის გარემო. მტკნარი წყლისა და ჰაერის გაჭუჭყიანება, ნიადაგის ეროზია სამწუხაროდ, დღეს, რეალური ფაქტია... ამის მიუხედავად, ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ღრმად არ შეისწავლება აღნიშნულ მოვლენათა ხასიათი, არ მუშავდება მათ წინააღმდეგ ბრძოლის სპეციფიკური ღონისძიებანი; საკმარისი ყურადღება არ ექცევა გაუმჭობესებულ ტექნოლოგიისა და ტექნიკურ დანადგართა გამოყენების ყველა საკითხს რეგიონალური სტრუქტურის და მთელი პლანეტის მწილში მასშტაბური განხილვის გზით.

წინამდებარე სტატიის ამ ნაწილში ლაპარაკია ნიადაგის, წიაღისეულის და ატმოსფეროს დამაზიანებელი ზოგიერთი ფაქტორის თაობაზე, უარყოფითი მოვლენების უვნებელყოფისა და სასურველი მიმართულებით წარმართვის ზოგიერთ საკითხზე... აქაც უნდა აღინიშნოს, რომ ყველგან და ყოველთვის ჯერ კიდევ სათანადოდ არ ითვალისწინებენ და არ იცავენ კანონმდებლობის მოთხოვნებს მიწის წიაღის კომპლექსურად გამოყენების შესახებ, ურიგდებიან სასარგებლო წიაღისეულის დიდ დანაკარგებს, მათი მოპოებისა და გადამუშავების დროს. ზოგჯერ მადნიდან იღებენ მხოლოდ ძირითად ლითონებს, ძვირფასი თანამგზავრი კომპონენტების მთავარ ნაწილს ყრიან რის გამოც სერიოზული ზარალი მოდის სახელმწიფოს; ნელა მუშავდება ახალი ტექნოლოგიური პროცესების დარგობრივი სრული წრე — დახურული რკალი, ნედლეულის კომპლექსური ბოლომდე უტილიზაცია, — ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ყველა კომპონენტის, კერძოდ წყლის ხარჯვას (ორმაგი გამოყენება და სხვა) და გაჭუჭყიანებას, გარემოზე მავნე გავლენის მომხდენი ნარჩენების რაოდენობას. ანალოგიურია არსებული პირობები და მომავალი გზა ბუნების ზემოხსენებულ სხვა ელემენტთა მიმართაც.

А. БРЕГВАДЗЕ

## КОНСЕРВНАЯ ПРОМЫШЛЕННОСТЬ ГРУЗИНСКОЙ ССР (1921—1970 гг.)

Природные и климатические условия Грузии благоприятствуют произрастанию многочисленных, в том числе и редких, видов плодовых растений. Население Грузии с древнейших времен занималось виноградарством, плодоводством и овощеводством, которые «имели большое значение для его здоровья и физического развития»<sup>1</sup>. Потребляя фрукты и овощи как продукты каждодневного питания, грузины также умели сушить и солить их. Виноградный, вишневый, гранатовый и айвовый соки, а также масла косточковых плодов применялись в лечебных целях. Однако, в условиях патриархально-феодалного хозяйства Грузии почти вся продукция применялась только для удовлетворения собственной потребности. Только с начала XIX века, по мере постепенного развития экономических связей, сельское хозяйство Грузии стало находить рынок сбыта. И все же плодоводство к тому периоду еще не имело промышленного значения. Развитию плодоводства и овощеводства во многом способствовали крестьянская реформа и строительство Закавказской железной дороги. Однако, крайняя раздробленность земельных участков, характерная для пореформенного сельского хозяйства, мешала крестьянам заниматься промышленным производством плодов. Значительный вклад в развитие европейских сортов плодовых культур и повышение их качества внесли русские и грузинские прогрессивные деятели: сначала в Каргли, затем и в других местах Грузии создавались крупные специализированные плодоводческие и овощеводческие хозяйства.

Площадь плодовых особенно возросла к началу XX века и в 1921 г. составляла 32128 гектаров. Основными районами промышленного плодоводства дореволюционной Грузии являлись: Тифлисский, Горныйский, Ахалцихский, Сигнахский, Кутаисский, Озургетский, Севанский и Зугдидский уезды (наибольшим спросом пользовались фрукты Горныйского уезда). Фрукты вывозились и за пределы Грузии: в 1909—1913 гг. в Россию было отгружено 413724 пуда яблок, 173356 пудов абрикосов, 30271 пуд груш<sup>2</sup>. Ранние овощи из кутаисской зоны посылались в Тифлис, Баку, в некоторые города Черноморского побережья и в Ростов-на-Дону. В 90-х гг. XIX в. из Кутаисской губернии ежегодно вывозилось в среднем 90 тыс. пудов ранней зелени<sup>3</sup>.

Производство плодоовощных консервов распространилось в Южной России и удельный вес этой продукции в общем объеме выпускаемых консервов постепенно возрастал, достигнув в 1913 г. 19,0 проц.<sup>4</sup>, в нем некоторая доля принадлежала и Закавказью. Поэтому нельзя согласиться с мнением исследователей, утверждающих, что до револю-

<sup>1</sup> Н. Н. Кецохели. Зоны культурных растений в Грузии. Тб., 1957, стр. 305 (на груз. яз.).

<sup>2</sup> Н. Кецохели. Сбор фруктов, сортировка и укладка Тб., 1926, стр. IX (на груз. яз.).

<sup>3</sup> И. Мирцхулава. Аграрно-крестьянский вопрос в Грузии 1900—1917, I, Тб., 1964, стр. 26 (на груз. яз.).

<sup>4</sup> М. М. Урсул. Консервная промышленность Молдавской ССР. Кишинев, 1962, стр. 8.

<sup>11</sup> სარა ბარნაველი. გასათხოვარი ქალის მშობიერი XVIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI—B, თბილისი, 1941, გვ. 91—132.

<sup>12</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X — B, თბილისი, 1940, გვ. 205—223. ხსენებული მშობის წიგნი, რუსულად თარგმნილი ექიმ ე რ ი ს თ ა ე - შ ე რ ე ა შ ი ძ ი ს მიერ გამოცემა მოსკოვში 1916 წ. მთარგმნელს იგი შეცდომით მიუჩნევია ვიორტი XIII-ის შვილის ნინოს მშობის წიგნად და დაუთარილებია 1791 წლით. იხ. Книга о приданном царевны Нины Георгиевны. Памятник 1791 года. Перевод с грузинского. С двумя листами копии с оригинала. Москва, 1916 г. ს. ბარნაველმა დასაბუთა, რომ შემოახსენებული მშობის წიგნი ეკუთვნის ერეკლე II-ის დასაბუთებს, რომელიც 1765—66 წლებში მიათხოვეს კაცია დადიანს. ამ დროს უნდა იყოს შედგენილი ხსენებული დოკუმენტი.

<sup>13</sup> ს. ბარნაველი. დადიანის ასულის მარიამის მშობის წიგნი, აკად. ს. ჯანაშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXIII — B, თბილისი, 1962.





XVIII—XIX საუკუნეების მშითვის წიგნებს, როგორც წყაროს საქართველოს ისტორიისათვის უურადალბა მიჰქცია აკად. ნ. ბერძენიშვილმა და გამოაქვეყნა ისინი<sup>14</sup>.

1974 წელს გამოვიდა „მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის“ (მშითვის წიგნები), რომელიც გამოსაცემად მოამზადა შპია იაშვილმა. ხსენებული წიგნი წარმოადგენს ქართული მშითვის წიგნების უველაზე სრულ პუბლიკაციას. გამომცემლის მონხად აქვს მშითვის წიგნების ყოველმხრივი შესწავლა და მონოგრაფიის გამოქვეყნება<sup>15</sup>.

მშითვის წიგნების მნიშვნელობას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის შესასწავლად არაერთგზის შეეხო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ვალერიან გაბაშვილი. ვ. გაბაშვილი ერთგან წერს: „XVI—XVII საუკუნეებშიც საქართველოს ქალაქებს ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქალაქებთან და ნავსადგურებთან. ამისათვის საქარისია გადახედეთ ე. წ. „მშითვის წიგნებს“, სადაც დიდი რაოდენობითაა ჩამოთვლილი აღმოსავლური და დასავლური წარმოშობის ძვირფასი ნივთები და ქსოვილები“<sup>16</sup>.

ზემოხსენებული დოკუმენტების ცნობები ირან-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის დახასიათებისას გამოიყენა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა კარლო კუციაშვილმა<sup>17</sup>.

XVII—XVIII სს მშითვის წიგნების, ისევე როგორც სხვა ქართული დოკუმენტების საფუძველზე ამ სტრიქონების ავტორის მიერ განხილული იქნა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან (ირანი, თურქეთი...) საქართველოს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის საკითხები<sup>18</sup>.

ზემოხსენებულ საბუთებში აღარბეღი ირანული, თურქული, ევროპული თუ სხვა (ინდური, ჩინური, შუა აზიური...) ქსოვილი, ტანსაცმელი და სხვა ნივთი იხსენიება, რომელნიც ვაჭრობის გზით მოხვედრილან საქართველოში. ეს გარემოება კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ XVII—XVIII საუკუნეებში ირან-საქართველოსა და თურქეთ-საქართველოს შორის სავაჭრო ეკონომიური ურთიერთობა არსებობდა (ეს ურთიერთობა, გარკვეული მიზეზების გამო, უფრო ვაცხოველებული იყო ირან-საქართველოს შორის, ვიდრე თურქეთ-საქართველოს შორის). მაგრამ მშითვის წიგნების მნიშვნელობა მარტო ზემოთქმულით არ ამოიწურება. მათში დატრ ცნობებს, ისევე როგორც XVII—XVIII სს სხვა ქართულ დოკუმენტებში (ქონების, გარდახაზურავის წესებში, ვაჭართა ამხანაგობების „წიგნები“ და სხვ.) შემონახულ ცნობებსაც, დადი მნიშვნელობა აქვს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების, კერძოდ კი ირანის ქალაქების ისტორიის შესასწავლად. სავსებით სამართლიანად წერს ვ. გაბაშვილი, რომ „ქართული დოკუმენტური წყაროების ცნობები კარგ მასალას იძლევა მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების როგორც საქალაქო წყობილებისა და ცხოვრების, ისე სოციალურ-ეკონომიური ისტორიის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესასწავლად“.

ქართული დოკუმენტური მასალების მიხედვით შეიძლება ვუტყვენოთ, მაგალითად, ირანის როგორც საშინაო ვაჭრობის სტრუქტურა, ისე მისი ხერთაშორისო ვაჭრობის ორგა-

<sup>14</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ შ ა, თბილისი, 1955, გვ. 225, 339, 360, 396, 416, 444, 445, 470, 484, 513, 520, 529, 530, 535.

<sup>15</sup> მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, მშითვის წიგნები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შპია იაშვილმა, თბილისი, 1974, გვ. 5.

<sup>16</sup> ვ. გაბაშვილი, თბილისი XVI—XVII საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 99, თბილისი, 1962, გვ. 253.

<sup>17</sup> კარლო კუცია, სედიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, თბილისი, 1966, გვ. 47.

<sup>18</sup> დავით კ ა ე ტ ა ძ ე. XVII—XVIII საუკუნეთა ქართული დოკუმენტური წყაროები ირან-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის შესახებ (ზოგადი მიმოხილვა), მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები II, თბილისი, 1972, გვ. 104—131; მისივე, თურქეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა XVII—XVIII საუკუნეების ქართული დოკუმენტური წყაროების მიხედვით; მაცნე, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1973, № 2, გვ. 143—150.



ნაიციცა (რა თქმა უნდა, საამისო ტერმინოლოგიის ანალიზისა და სათანადო აღმოსავლური წყაროებთან შედარება-შეჭერების საფუძველზე)<sup>19</sup>.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შხითვის წიგნებში ირანული წარმოშობის ბევრი საგანი (ქსოვილები, ქურჭელი, ძვირფასეულობა, ტყავის ნაწარმი და სხვ.) იხსენიება, რომელთა დამზადების ადგილიც ხშირად მითითებულია. ეს გარემოება კი ჩვენ საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინო ვიქონით იმაზე, თუ ხელოსნური წარმოების რომელი დარგები იყო განვითარებული XVII—XVIII სს ირანში და რავარი საქონლის ექსპორტირება ხდებოდა იქიდან მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შხითვის წიგნების ცნობების საშუალებით XVII—XVIII საუკუნეთა ირანის საქალაქო ცხოვრების ზოგიერთი მხარის, კერძოდ, ხელოსნური წარმოების და საგარეო ვაჭრობის ჩვენება.

XVII საუკუნის დასაწყისიდან ირანში იწყება საერთო ეკონომიური აღმავლობა, რამაც გავლენა მოახდინა ირანის ქალაქების განვითარებაზე. ირანის ქალაქებში დაწინაურდა ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგი. ირანულა ხელოსნური ნაწარმი, რომელიც ხშირად ხელოვნებას ნიმუშსაც უდებდა ტოლს, საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთი ძირითადი საგანი იყო. ეს ვაჭრობა კი ხელს უწყობდა ამ ქალაქების დაწინაურებას, რომლებიც სავაჭრო-სატრანზიტო გზებზე მდებარეობდნენ. „ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საკუთრივ ირანის სავაჭრო-სატრანზიტო მარშრუტებს (არდებილი-თავრიზი-ყაზვინი-ქაშანი-ისფაჰანი-შირაზი და შარაზი-ჰამადანი-ბაღდადი-ალუპო)<sup>20</sup>.

სავაჭრო-საქარავნო გზებთან დაკავშირებული იყვნენ ე. წ. „წმინდა ქალაქები“ (არდებილი, მემშედი, ყუმი...), რომლებიც აუარებელ მლოცველს იზადავდნენ. „წმინდა ქალაქების“ სალოცავად მოხილვა კი ვაჭრობასთან იყო გადაჯაჭვული<sup>21</sup>.

სავარეო ვაჭრობასთან იყვნენ დაკავშირებულნი აგრეთვე ირანის ის ქალაქები, რომელთაც სხვადასხვა სახის ხელოსნური ნაწარმის დამზადებით გაითქვეს სახელი და რომელთა აღმავლობაც განსაკუთრებით XVII საუკუნეში იწყება. „ყველა ამ ქალაქის ხელოსნური ნაწარმი ძირითადად საგარეო ვაჭრობის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა“<sup>22</sup>.

ირანის ქალაქები ხელოსნური წარმოების და ვაჭრობის ცენტრები იყო<sup>23</sup>. ეს გარემოება, ვფიქრობთ, კარგადაა არეკლილი XVII—XVIII საუკუნეების ქართულ „შხითვის წიგნებშიც“.

<sup>19</sup> ე. გ ა ბ ა შ ე ი ლ ი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის დოკუმენტური წყაროები, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1968, გვ. 24, 25.

<sup>20</sup> ე. გ ა ბ ა შ ე ი ლ ი, XVII—XVIII სს საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიის, თბილისი, 1966, გვ. 186.

<sup>21</sup> ე. გ ა ბ ა შ ე ი ლ ი, XVII—XVIII სს საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე, გვ. 186; ე. კუცია, სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, გვ. 23; იან სტრეისი არდებილის აღწერის დროს აღიშნავს, რომ იგი (არდებილი) დიდი სავაჭრო ქალაქია, საესე ვილანიდან, ქურთისტანიდან, საქართველოდან და სხვა ქვეყნიდან მოსული ვაჭრებით. შემდეგ იგი უმატებს, რომ ქალაქი დიდ სარკვებელს და შემოსავალს იღებს წმინდა ადგილების მოსალოცად მოსულთაგანო. იხ. Я. Я. Стрейс, Три путешествия, Москва, 1935, გვ. 293, 294.

<sup>22</sup> ე. გ ა ბ ა შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 186.

<sup>23</sup> И. П. Петрушевский, Азербайджан в XVI — XVII вв., Сборник статей по истории Азербайджана, вып. I, Баку, 1949, გვ. 287; იხ. აგრეთვე ე. კუცია, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

9. „მაინე“, „ფილოსოფიის“, სერია, 1975, № 2



ამზადდებდნენ ტალოვან აბრეშუმის ქსოვილს — ხარას (მუარი)<sup>31</sup> სხვაფერ (წითელი, ყვითელი, ყირმიზი, ალისფერი) ფარჩას<sup>32</sup>, ჩიგინს.

იეზაღშივე მზადდებოდა სხვადასხვაფერი (ხორცისფერი, იისფერი, ცისფერი, თეთრი, მწვანე, შავი, ყვითელი, წეროს ფერი) ნაქსოვები<sup>33</sup>.

სხვადასხვაგვარი ძვირფასი ქსოვილი მზადდებოდა აგრეთვე ქალაქ ისპაანის სახელოსნოებში.

მზითვის წიგნებში ხშირად გვხვდება ისპაანის დიბა (თეთრი, ყვითელი...), ისპაანის ნაქსოვი (ყვითელი, ხორცისფერი, წითელი...)<sup>34</sup>, ისპაანის დიბის ზარბაბი, ისპაანური დარაი ბავთი, ისპაანური ზარქაში<sup>35</sup>; შაჰნავაზის მზითვის წიგნში იხსენიება აგრეთვე ისპაანის ჩითი (ისპაანის ჩითის საჯელო სუფრა ხუთი)<sup>36</sup>.

ზემოხსენებული დოკუმენტებიდან აშკარად ჩანს, რომ ისპაანის სახელოსნოებში ამზადდებდნენ როგორც ძვირფას, ისე უბრალო ქსოვილებს<sup>37</sup>.

შალის ქსოვილების წარმოებით ცნობილი ყოფილა ქალაქი ქირმანი. მზითვის წიგნებში ხშირად გვხვდება ქირმანის შალი<sup>38</sup>. ხსენებულ დოკუმენტებში განსაკუთრებით ხშირად იხსენიება სხვადასხვაფერა ქირმანის შალის სარტყელები (მაგ., ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნშია „სარტყელი ნარინჯი ქირმანი შალისა“, „სარტყელა შავის ქირმანის შალისა“, „სარტყელი ყირმიზი ქირმანის შალისა“, „სარტყელი თეთრის ქირმანი შალისა“)<sup>39</sup>.

აღსანიშნავია აგრეთვე ისაც, რომ ქირმანში მზადდებოდა თავსახური შალები, რომლებიც მცენარეული სურათებით ყოფილა შემკული („თავსახური ქირმანის შალი ხეებიანა“)<sup>40</sup>.

ნაირგვარი ქსოვილებით განთქმული ყოფილა გილანიც. გილანში ამზა-

<sup>31</sup> ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 216.

<sup>32</sup> ელენე ქსნის ერისთავის დავითის ასულის მზითვის წიგნი, გვ. 495, გვ. 496, 498.

<sup>33</sup> ელენე ქსნის ერისთავის დავითის ასულის მზითვის წიგნი, გვ. 496, 497, 498, 499; ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 486, 488, 489.

<sup>34</sup> ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 486, 487, 488, 490, 491; შაჰნავაზის მზითვის წიგნი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, გვ. 19, 20; მ. ი ა შ ვ ი ლ ი, გვ. 22, 23, 24, 25.

<sup>35</sup> შაჰნავაზის მზითვის წიგნი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, გვ. 21, 22; მ. ი ა შ ვ ი ლ ი, გვ. 26, 27.

<sup>36</sup> შაჰნავაზის მზითვის წიგნი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, გვ. 23; მ. ი ა შ ვ ი ლ ი, გვ. 30.

<sup>37</sup> აღსანიშნავია ერთი გარემოება: XVII—XVIII სს მზითვის წიგნებში ირანული უბრალო ქსოვილები იშვიათად გვხვდება. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ხსენებული დოკუმენტები დაეყვანილებულია ქართულ ფეოდალურ არისტოკრატიათან (მეფის, ბატონიშვილების, მსხვილი ფეოდალების ოჯახები...). სამაგიეროდ უბრალო ქსოვილების ხსენება ხშირდება XVIII საუკუნის უკანასკნელი წლების და XIX საუკუნის ქართულ დოკუმენტებში, თუმცა, უნდა ითქვას, რომ დიდგვარიანთა მზითვის წიგნებში უბრალო ქსოვილების მოხსენიება მაინც იშვიათია. ისპაანის ჩითის სუფრა გვხვდება 1807 წლის 1 ივლისით დათარიღებულ ექნატი თუმანიშვილის ქალის ელისაბედის მზითვის წიგნში. იხ. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, გვ. 401.

<sup>38</sup> ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 217; ელენე ქსნის ერისთავის დავითის ასულის მზითვის წიგნი, გვ. 496, 500;

<sup>39</sup> ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 216, 222.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 217.



დებდნენ აბრეშუმის ქსოვილს — დარაია<sup>41</sup>, ოქროქსოვილს — ზარქაში<sup>42</sup>, სხვადასხვაფერა ოქროს სხეპლით ნაქსოვს (მუყაიაში)<sup>43</sup>.

ქსოვილების დამზადება ქალაქ ქაშანის ხელოსნობის ერთერთი მთავარი დარგი ყოფილა. ქაშანში ამზადებდნენ ოქროს ძაფით ნაქსოვს („ზარქაში“)<sup>44</sup>.

ქაშანი განთქმული ყოფილა სხვადასხვაფერი ნაქარგი ქსოვილებითაც. მაგ., ელენე ქსნის ერისთავის დაეითის ასულის მზითვის წიგნში გვხვდება „ქაშანის ჩივინი“<sup>45</sup>.

ქსოვილების წარმოებას მისდევდნენ აგრეთვე თავრიზში და ხოიში. ხსენებულ ქალაქებში დამზადებული უბრალო ქსოვილები გვხვდება ძირითადად XVIII ს-ის უკანასკნელა წლების და XIX საუკუნის პირველი ათეულის მზითვის წიგნებში<sup>46</sup>.

ირანული ქსოვილები საქვეყნოდ იყო განთქმული. ისინი მრავლად ვაჭონდით ირანიდან მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებში (მაგ., საქართველოში, რუსეთში...). ამას მოწმობს ზემოხსენებულ მზითვის წიგნებში ირანის ქალაქებში დამზადებული ქსოვილების მოხსენება (აგრეთვე რუსეთ-ირანის დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის ამსახველი საბუთები)<sup>47</sup>.

ირანული ძვირფასი ქსოვლები (ნაქარგი, ოქროქსოვილები, აბრეშუმის, ატლასის და სხვ. ...) იქცევდნენ ევროპელი მოგზაურების და პოლიტიკური დამკვირვებლების ყურადღებას. მაგ., ადამ ოლეარიუსი მოგვითხრობს, რომ ქაშანში უმთავრესად ოქროქსოვილებს და აბრეშუმის ქსოვილებს ამზადებენო<sup>48</sup>.

<sup>41</sup> ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნში გვხვდება „ზარიანი გილანის დარაია“, „საბანი საზაფხულო გილანის დარაიასა 5“, „ზარიანი გილანის დარაიასა ორი“, „ფუტა ყირმიზი გილანის დარაიასა“. იხ. ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 217, 218, 219; ქსნის ერისთავის დაეითის ასულის ელენეს მზითვის წიგნშია „ნარინჯი გილანის დარაია უთოქეში ერთი, თახთახი დარაია გილანისა ერთი“, იხ. ელენე ქსნის ერისთავის დაეითის ასულის მზითვის წიგნი, გვ. 496.

<sup>42</sup> შანნავაზის მზითვის წიგნშია „გილანური ყირმიზის ზარქაშის საგულე“, „გილანური სანდლის ფერი ზარქაშის საგულე“, „გილანური ზორციისფერი ზარქაშის საგულე“. იხ. შანნავაზის მზითვის წიგნი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, გვ. 22; მ. იაშვილი, გვ. 27.

<sup>43</sup> შანნავაზის მზითვის წიგნი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, გვ. 22; მ. იაშვილი, გვ. 27.

<sup>44</sup> შანნავაზის მზითვის წიგნში იხსენიება „ქაშანური ყეთილიანი ზარქაშის საგულე“. იხ. შანნავაზის მზითვის წიგნი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, გვ. 22; მ. იაშვილი, გვ. 27;

<sup>45</sup> ელენე ქსნის ერისთავის დაეითის ასულის მზითვის წიგნი, გვ. 498.

<sup>46</sup> ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნში გვხვდება „მოვი იეზდისა და შანის თავთები“, იხ. ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 216; შამი, შამბი — თავრიზის გარეუბანია; იოანე დოლენჯიშვილის ქალის მზითვის წიგნში (შედგენილია 1796 წლის 15 აგვისტოს) იხსენიება „საბანი ორი ერთი თავრიზისა, მეორე რუსული“, „ერთი თავრიზის საბანის პირი“. იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 4132; გენტი თქმანიშვილის ქალის ელისაბედის მზითვის წიგნშია „ზოას ჩითი თავისი ფეხის ჩითითა“, „ქა ხოის ჩითის ლეები“, „ქა ხოის ჩითის მუთაქა“. იხ. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 402.

<sup>47</sup> И. И. Веселовский. Памятники дипломатических и торговых отношений Московской Руси с Персией, т. т. I—III, СПб, 1890, 1892, 1898; М. В. Фехнер, Торговля Русского государства со странами Востока в XVI века, Москва, 1956, гв. 72—74; კ. კ ე ც ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

<sup>48</sup> Подробное описание путешествия голштинского посольства в Московию и Персию в 1633, 1636 и 1639 годах составленное секретарем посольства Адамом Олеарием, Москва, 1870, гв. 61.



საყურადღებოა აგრეთვე იან სტრეასის ცნობა, რომლის მიხედვითაც ქაშანში იქსოვებოდა უდიდესი ნაწილი აბრეშუმისა და სხვა სახის ქსოვილებისა, რომლებიც სპარსეთშია და სხვა ქვეყნებშიც იყიდება. აქ იქსოვება ბევრი ხავერდისა და ატლასის ქსოვილა<sup>49</sup>. შემდეგ სტრეისი უმატებს, რომ იქ ბევრი აბრეშუმისა და ფარჩის ოსტატააო.

ირანის საფეიქრო წარმოების შესახებ ძალზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ფრანგი ნეგოციანტი ჟან შარდენი, რომელიც არანში იმყოფებოდა 1664—70 და 1671—77 წლებში. შარდენის სიტყვით იეზდის, ქაშანის და ისპაანის ოქროქსოვილები უძვირფასესი იყო დედამაწაზეო<sup>49</sup>.

იგივე შარდენი, თავრიზის აღწერისას, აღნიშნავს, რომ ქალაქი თავრიზი განთქმული იყო თავისი ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილებითო<sup>50</sup>.

თავრიზული ქსოვილების შესახებ ცნობები დაცული აქვს XVII საუკუნის თურქი მოგზაური ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნს“.

ევლია ჩელები წერს: „არც ერთ ქვეყანაში არ არიან ისეთი სრულყოფალი, დაოსტატებული კედლის მომხატველები, მხატვრები, ოქრომჭედლები და თერძები, როგორც აქ. ყოველგვარი ხელობის უმაღლესი (დონე) ამ ქალაქშია. კერძოდ აქაურ ძვირფას ქსოვილს, აბრეშუმის ტანსაცმელს, ხავერდს, დარაიას თავრიზულს უწოდებენ და საქვეყნოდაა ცნობილი“<sup>51</sup>.

ირანის ქალაქების სახელოსნოებში ამზადებდნენ მაღალხარისხოვან ტყავეულს. ირანული ტყავის ნაწარმა ფართო ექსპორტის საგანს წარმოადგენდა. იგი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ რუსეთში<sup>52</sup> და შემოჰქონდათ საქართველოში. (ქართული მზითვის წიგნში გვხვდება ისპაანის ტყავი)<sup>53</sup>.

ირანელი ხელოსნები დაოსტატებულნი იყვნენ შესანიშნავი ტარსიკონის გამოქნა-დამუშავებაში. სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ ტარსიკონს ამზადებდნენ შირაზში<sup>54</sup>, თავრიზში, ყაზვინში და ირანის სხვა ქალაქებში<sup>55</sup>.

მზითვის წიგნების ცნობებდან ჩანს, რომ ირანის ქალაქებში ხელოსნური წარმოების ერთერთ განვითარებულ დარგს ძვირფასი ხალიჩების დამზადება წარმოადგენდა. ხალიჩების ქსოვით განსაკუთრებით განთქმული ყოფი-

<sup>49</sup> Я. Я. Стрейс. Три путешествия, Москва, 1935, გვ. 304, 305. ქაშანი დიდი სავაჭრო-სახელოსნო ქალაქია XVI საუკუნეშიც. თომას ბენისტერი და ჯეფრი დეკერი (1568—1574 წწ.) გვაწვდიან ცნობებს, რომ ქაშანი მხოლოდ და მხოლოდ ეპქრობით ცხოვრობს. იქ ჩნდის ისელებს შეუსყიდათ დიდი რაოდენობა აბრეშუმის ქსოვილებისა, სანელებლებისა და ფირუხისა. იხ. Английские путешественники в Московском государстве в XVII веке, Москва, 1937, გვ. 253. არტურ ელუარდის 1566 წლით დათარიღებული წერილიდან ჩანს, რომ ქაშანში ამზადებდნენ ხავერდს. იქვე, გვ. 235.

<sup>49</sup> Voyages du chevalier Chardin en Perse et autres lieux de l'Orient, t. IV, Paris, 1811, გვ. 152, 153, 154.

<sup>50</sup> Chardin, II, გვ. 327.

<sup>51</sup> ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნი, კომენტარები და გამოკვლევა დაერთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. I, ქართული თარგმანი, თბილისი, 1971, გვ. 238.

<sup>52</sup> М. В. Фехнер. Торговля Русского государства со странами Востока в XVI веке, გვ. 81, 96.

<sup>53</sup> ელენე ქსნის ერისთავის დავითის ასულის მზითვის წიგნი, გვ. 500.

<sup>54</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, II, გვ. 287.

<sup>55</sup> გ. კუციბა, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

ლა ქალაქი ქირმანი. მზათვის წიგნებში იხსენიება ქირმანული ხალიჩა<sup>56</sup>, ორხაოიანი გრძელი ხალიჩა — ორხოვა („ქირმანული ორხოვა“)<sup>57</sup>, ქირმანის თაქნაბადი<sup>58</sup>, „ქირმანის ორხუები და თაქნაბადები“<sup>59</sup>, „ქირმანული ბამბის ორხოვა“<sup>60</sup>; ერთერთი მზათვის წიგნიდან ისიც ჩანს, რომ ირანში ამზადებდნენ ოქროქსოვილ ხალიჩებსაც<sup>61</sup>.

როგორც ჩანს, ხალიჩების დამზადების საქმეში ქირმანი პირველობას არც ერთ ქალაქს არ უთმობდა. ქირმანული ხალიჩებით ვაჭრობდნენ როგორც საკუთრივ ირანში<sup>62</sup>, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებშიც ვაჭრონდათ ისანი<sup>63</sup>. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ჟან შარდენი. იგი მოგვითხრობს, რომ ირანში მოქსოვილ ხალიჩებს ევროპის ქვეყნებში „თურქული ხალიჩების“ სახელწოდებით იცნობდნენ, რადგან მათი ექსპორტირება ოსმალეთზე გავლით ხდებოდა<sup>64</sup>.

ირანის ქალაქები ოდითგანვე ცნობილი იყო მაღალხარისხოვანი ჭურჭელულის დამზადებით. აქ ავეთებდნენ როგორც თიხის, ასევე მაღალმხატვრულ მინის ჭურჭელსაც.

თიხის ჭურჭლის წარმოებით განსაკუთრებით განთქმული იყო ქალაქი ქაშანი. ქაშანში დამზადებული თიხის ჭურჭელი გამოირჩეოდა თავისი მაღალი ხარისხით (გამძლეობით) და სალამაზით. იგი ფართო მოხმარების საგანს წარმოადგენდა საკუთრივ ირანში. ამასთანავე ხდებოდა მისი ექსპორტირებაც მეზობელ ქვეყნებში.

მზითვის წიგნიდან კარგად ჩანს, თუ რა სახის ჭურჭელი მზადდებოდა ქაშანში. ზემოხსენებულ დოკუმენტებში გვხვდება „ქაშანური ჯამი“<sup>65</sup>, ქაშანურა თულუფდანი, ქაშანური ტაშტი<sup>66</sup>, ქაშანური თეფში<sup>67</sup>.

ქაშანში დამზადებულ ჭურჭელს იმდენად გაუთქვამს სახელი, რომ იგი საერთოდ მაღალხარისხოვანი ჭურჭლის აღმნიშვნელ ზოგად სახელად ქცეულა (მაგ., ქაშანურის სახელის მქონე ჭურჭელს ამზადებდნენ თავირზშიც)<sup>68</sup>.

<sup>56</sup> ელენე ქანის ერისთავის დავითას ასულის მზითვის წიგნი, გვ. 497.

<sup>57</sup> ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 491.

<sup>58</sup> ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 490; თაქნაბადი — თექნაბადი — საუკეთესო ხარისხის ნაბადი, იხ. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, დანართი I, II, III წიგნების ლექსიკონი და სამიბელო შეადგინა შამისა ბერძენიშვილმა, თბალისი, 1957, გვ. 19.

<sup>59</sup> ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 219.

<sup>60</sup> შაჰნავაზის მზითვის წიგნი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. გვ. 24; მ. ი ა შ ვ ი ლ ი. გვ. 31.

<sup>61</sup> ანა ქანის ერისთავის ასულის მზითვის წიგნი გვხვდება „ზარბაზის ფარდაგი“. საქართველოს სიძველენი, II, გვ. 431.

<sup>62</sup> ადამ ოლგარიუსი გვაწვდის ცნობას, რომლის თანახმადაც ქირმანული ხალიჩებით ვაჭრობდნენ აზბაიჯანში. იხ. ადამ ოლგარიუსი, დასახ. თხზულება, გვ. 711.

<sup>63</sup> ირანიდან რუსეთში ვაჭრონდათ უმთავრესად აბრეშუმის ხალიჩები, რომლებიც მცენარეული საღებავით იყო შეღებილი. იხ. М. Фаддеев, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

<sup>64</sup> Chardin, დასახ. თხზულება, IV, გვ. 154; ჟ. კუცია, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

<sup>65</sup> ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 490.

<sup>66</sup> XVII ს-ის მზითვის წიგნი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 1985.

<sup>67</sup> მზითვის წიგნი იოანე დოლენჯიშვილის ქალისა.

<sup>68</sup> 1792 წლის ერთ საბუთში ვკითხულობთ: „ბადია თეფში თავროზისა ქაშანური“. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 244; იან სტრეისის ცნობით თიხის ჭურჭლის დამზადებით განთქმული ყოვილა ქალაქი ყუმიცი. იგი მოგვითხრობს, რომ იქ (ყუმიცი) ბევრი მეჭოთნეა, რომელნიც ამზადებენ ყოველნაირ ჭოთნებს, ჯამებს და ტაფებს, რომლებიც იხმარება შიშის ქვეყანაში. Я. Я. С т р е ц, დასახ. ნაშრ., გვ. 303.

მინის ქურჭლის წარმოებით განთქმული ყოფილა ქალაქი შარაზი<sup>69</sup>. როგორც ცნობილია, შირაზი ირანის დედაქალაქი იყო ქერიმ-ხან ზენდის ზეობის წლებში. ქერიმ-ხანა იღვწოდა ვაჭრობა-ხელოსნობის აღორძინებისათვის. აარსებდა დიდ სახელოსნოებს ფაიფურის, მინის და სხვა სახის ქურჭლეულის დასამზადებლად<sup>70</sup>. შირაზული მაღალხარისხოვანი მინის ქურჭელი გაქონდათ საზღვარგარეთაც.

ირანის ქალაქებას ხელოსნური წარმოების ერთერთ დარგს წარმოადგენდა ძვირფასი ქვების დამუშავება და ოქრომჭედლობა. ძვირფასი ქვები, სამკაულებში ჩასმული თუ უსამკაულოდ, ირანის ქალაქებიდან გადიოდა სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოსა და რუსეთშიც<sup>71</sup>.

აღებული ხანის მზითვას წიგნებში ძალიან ხშირად იხსენიება ნიშაბურის ფირუზი<sup>72</sup>. აშკარაა, რომ ფირუზის მოპოვება-დამუშავებით განთქმული ყოფილა ქალაქი ნიშაბური, რის შესახებაც ცნობები დაცულია ადამ ოლეარიუსის და ეან შარდენის თხზულებებშიც<sup>73</sup>.

მზათვის წიგნებში ხშირად გვხვდება აგრეთვე ბადახშანის ლალი<sup>74</sup>. „ბადახშანი ცნობილია უმაღლესი ხარისხის ლალის საბადოებით. მაგრამ ჯერ კიდევ მარკო პოლომ აღნიშნა, რომ ლალის საბადოები მოიპოვებოდა არა საკუთრივ ბადახშანში, არამედ მის მახლობლად შულნანში, ამუ დარიას მარჯვენა ნაპირზე. ვინაიდან ისტორიულ ეპოქაში ეს მხარე ბადახშანთან ერთად ერთს სამფლობელოში იყო გაერთიანებული, ამიტომ აქაურ ლალს „ბადახშანური ლალი“ (lāl-i badaxšani) ან „ბადახშური ლალი“ (lal-i badaxši) ეწოდა. „ბადახშანური ლალი“ განთქმული იყო საშუალო საუკუნეების მუსლიმურ აღმოსავლეთში თავისი სალამაზითა და სხვა ღირსებებით“<sup>75</sup>.

ირანის ქალაქებიდან გაქონდათ მარგალიტი, ზურმუხტი და იაგუნდი<sup>76</sup>. ზემოხსენებულ საბუთებში ისინი ხშირად იხსენიება.

<sup>69</sup> ანუა ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 490.

<sup>70</sup> Н. В. Пигулевская А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Строева, А. М. Беленицкий, История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Ленинград, 1958 გვ. 332.

<sup>71</sup> М. В. Фехнер, დასახ. ნაშრ., გვ. 87—89.

<sup>72</sup> შანავეზის მზითვის წიგნი, ივ. ჯავახიშვილი, გვ. 17. მ. იაშვილი, გვ. 19. ელენე ქსნის ერისთავის დავითის ასულის მზითვის წიგნი, გვ. 494, ანა ქსნის ერისთავის ასულის მზითვის წიგნი, გვ. 432; ანუა ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 488; ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 210; ლევან დღვიანის დის მარიამის მზითვის წიგნი აქად. ს. ჯანაშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XVIII! — В. თბილისი, 1962, გვ. 214, 217—219, 222.

<sup>73</sup> ადამ ოლეარიუსი, დასახ. ნაშრ., გვ. 614, 702; Chardin, დასახ. ნაშრ., IV, გვ. 560 561.

<sup>74</sup> შანავეზის მზითვის წიგნი, ივ. ჯავახიშვილი, გვ. 16; მ. იაშვილი, გვ. 18 ელენე ქსნის ერისთავის დავითის ასულის მზითვის წიგნი, გვ. 494. ანუა ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 383, 484, 486; ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 210; მარიამ დღვიანის მზითვის წიგნი, გვ. 214, 217, 219, 222.

<sup>75</sup> ვიორჯი წერეთელი, ბადახში და ბადახში ვეფხისტყაოსანში, აღმოსავლური ფილოლოგია, II, თბილისი, 1972, გვ. 35. იხ. აგრეთვე, В. В. Бартольд, Бадахшан, Сочинения, III, Москва, 1965, გვ. 343. В. В. Бартольд, Историко-географический обзор Ирана, Сочинения VII, Москва, 1971, გვ. 51.

<sup>76</sup> დ. კაციაძე, XVII—XVIII საუკუნეთა ქართული დოკუმენტური წყაროები ირან-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის შესახებ, გვ. 139, 140.



ზემოხსენებულ მზითვას წიგნებში ძალიან ხშირად გვხვდება გილანის დილი<sup>77</sup>. როგორც ჩანს, გილანში რაღაც განსაკუთრებულ ძვირფას დილებს ამზადებდნენ. გილანშივე აკეთებდნენ ძვირფას გულქანდებს<sup>78</sup>.

მზითვის წიგნებში, მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც, არის მასალა ირანის ქალაქების ხელოსნური წარმოების სხვა დარგების შესახებაც. მაგ., ზემოხსენებული დოკუმენტებიდან ვგებულობთ, რომ ისპაანში ამზადებდნენ მუყაოს<sup>79</sup>, სარკეებს<sup>80</sup>, საწერელებს<sup>81</sup>; ქაშანში — ზანდუკებს<sup>82</sup>, მარანდში — საპონს<sup>83</sup>, ვერცხლის ლამბაქებს<sup>84</sup>.

ზემოხსენებულ დოკუმენტურ წყაროებში ზოგჯერ მითითებულია, რომ ესა თუ ის საგანი დამზადებულია ქარხანაში<sup>85</sup>.

ქარხანე შაჰის ან მსხვილი ფეოდალების სახელოსნო აყო: სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ქარხანეს სახელოსნო პროდუქცია ხმარდებოდა არა მარტო მის მფლობელს, არამედ ქარხანეს პროდუქციის ერთი ნაწილი გამაზნული იყო ბაზარზე გასატანად, კერძოდ ვეროპისა და აზიის სახელმწიფოებშია ექსპორტირებისათვის“<sup>86</sup>.

აქვე გვინდა ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებასაც: ზემოხსენებულ მზითვის წიგნებში გვხვდება ინდური და შუა აზიური საქონელი, რომელიც, საფიქრებელია, რომ ირანის გზათ შემოვიდა საქართველოში.

საქმე ისაა, რომ ირანის ქალაქებში მრავალი ვაჭარი მოდიოდა ინდოეთიდან, ჩინეთიდან თუ შუა აზიიდან. ამის დამადასტურებელი ცნობა მოეპოვება ტავერნიეს, რომლის მიხედვითაც თავრიზში განუწყვეტლივ ვაჭრობაა გაჩაღებული თურქებთან, არაბებთან, ქართველებთან, მეგრელებთან, სპარსელებთან, ინდოელებთან, მოსკოვიტებთან და სხვ<sup>87</sup>.

როგორც ჩანს, ინდოელ თუ შუა აზიელ ვაჭრებს ირანის ქალაქების საშუალებით კონტაქტი ჰქონდათ ქართველ ვაჭრებთან და ინდური და შუა აზი-

<sup>77</sup> ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 216, 222; ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნში გვხვდება „გილანის ჩაღილული შვიდის ფირუზქარის გილანურის ოქროს დილითა“ გვ. 486, 487. „ვიღვე ისფერის იფლის წაქსოვისა კაბა ერთი, გილანურის ჩაღილულითა დ ხრიყებით“, გვ. 486.

<sup>78</sup> ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნშია „გილანური გულქანდა“. გვ. 486.

<sup>79</sup> ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნში გვხვდება „ისპაანული მუყაო“. იხ. ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 212.

<sup>80</sup> სიონის დეკანოზის იოსებ ავალიანის ასულის მართას მზითვის წიგნშია „ერთი ისპაანის სარკე“. იხ. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 472; ენკატი თუმანიშვილის ქალის ელისაბედის მზითვის წიგნში იხსენიება „ისპაანის სარკე, ხათაზნდათ ჩაწყობილი, ხელით დასაჭერი“. იხ. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 399.

<sup>81</sup> „პატარა ისპაანის საწერელი გაწყობილი“ იხსენიება ეგნატი თუმანიშვილის ქალის ელისაბედის მზითვის წიგნში. იხ. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 399.

<sup>82</sup> ელენე ქსნის ერისთავის დაეთის ასულის მზითვის წიგნშია „ქაშანის ზანდუკი“, გვ. 499.

<sup>83</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 400, 472.

<sup>84</sup> იქვე, III, გვ. 513.

<sup>85</sup> მაგ., ქსნის ერისთავის დაეთის ასულის ელენეს „მზითვის წიგნში“ იხსენიება „ტყაყი ისპაანის ქარხნის დიბისა“. იხ. საქართველოს სიმეფლენი, III, გვ. 406; ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნში გვხვდება „ქათიბი ყეთელის ქარხნის დიბისა“, გვ. 215; იქვეა „ბალიში ყეთელი ქარხნის დიბისა“ და „ნავბადანი ქარხნისა“, იქვე გვ. 218, 220. იხ. აგრეთვე კ. კუცია, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

<sup>86</sup> კ. კუცია, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

<sup>87</sup> Les six voyages de Jean Baptiste Tavernier, en Turquie en Perse, et aux Indes, premiere partie, Paris, MDCXCII, გვ. 57.

ური საქონელი (ისევე, როგორც ჩინურია<sup>88</sup>, ირანის ქალაქების გავლით გამოდი-  
წევდა საქართველომდე, ე. ი. ირანის ქალაქები შუამავლის როლში გამოდი-  
ოდნენ საქართველოსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ვაჭრობის საქმეში.

მზითვის წიგნების მიხედვით შეგვიძლია, ნაწილობრივ მაინც, წარმოდ-  
გენა ვიქონიოთ, თუ რა სახის საქონელი შემოდოდა ინდოეთიდან, შუა აზიის  
ქვეყნებიდან თუ ჩინეთიდან ირანის ქალაქებში, ხოლო ამ ქალაქებზე გავლით  
საქართველოში. მაგ., ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნში გვხვდება „ახა-  
ლუხი ნარინჯი ჩაქსული ინდის უჯრათისა“<sup>89</sup>, „საბანი ინდის ყალანქრისა“<sup>90</sup>,  
„ჩაქსული მძიმე ინდის ხათაისა, ჩალილული“<sup>91</sup>, „ქათბა მძიმე ინდის ფარ-  
ჩისა“<sup>92</sup>, „სარტყელი კაპრაში ქიშპირი შალისა“<sup>93</sup>.

შაჰნავაზის მზითვის წიგნშია: „აღისფერი ინდური ოქროქსოვილის კა-  
ბა“, „ინდური თეთრის ზარქაშის კაბა“, „გუჯრათის ზარქაშის კაბა“, „ინ-  
დური ოქროს მელნით დაბასმული მწვანე საგულე“, „ინდური მუყაიაშის  
საგულე“, „ინდური გუჯრათის ბროწეულყვავილისფერი ოქროქსოვილი კა-  
ბა“, „ინდური გუჯრათის ყირმიზი ოქროქსოვილის კაბა“<sup>94</sup>, ეგნატი თუმანი-  
შვილის ასულის ელისაბედას მზითვის წიგნშია: „გუჯრათის ლეჩაქი“, „გუჯ-  
რათის აბანოს ყადიფა“<sup>95</sup>, ქსნის ერისთავის დავითის ასულის ელენეს და შაჰ-  
ნავაზის მზითვის წიგნებში გვხვდება „ოზბეგური უნაგირი“<sup>96</sup>.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: ზემოხსენებულ საბუთებში ყურადღებას  
იქცევს ინდური საქონლის სიჭარბე. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ  
„სეფიანთა სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობაში სომხური სავაჭრო კაპიტალის  
გვერდით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ინდურ სავაჭრო კაპიტალს“<sup>97</sup>.

<sup>88</sup> XIX საუკუნის დასაწყისის ქართულ საბუთებში გვხვდება „ჩაიდან ეგრეცხოსა და ჩინისა“  
„სარტყე ჩინისა“, „ჩინის ჭურჭელი“, „ჩინის ჯამი ერთი“, „უ ჩინის თეფში ერთი“. იხ. მასაღე-  
ში საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 246, 248, 409; 1795 წლის ერთ საბუთშია  
„ჩინის ჯამი“, „ჩინის ფინჯანი“. იხ. მასაღები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III  
გვ. 258.

<sup>89</sup> ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 216.

<sup>90</sup> იქვე, გვ. 218; ყალანქარი (სბ. *قالانکاري*) — ჩიითი (კოლენკორი) სახეობაღებქლილი, ხელით  
იხ. შამისა ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

<sup>91</sup> იქვე, გვ. 216; „ხათაია“ ჩინურ მძიმელ ნაქსოვ ფარჩას ეწოდებოდა (იხ. შამისა ბერძენი-  
ვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 50) და მისი დამზადების ადგილად თავდაპირველად ჩინეთი უნდა ყოფილ-  
ყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩინეთში დამზადებული მძიმელ ნაქსოვი ფარჩის სახელი („ხათაია“)  
შემდეგ ძირფასი ქსოვილის საზოგადო სახელად იქცა. ზემოხსენებული საბუთიდან აშკარაა, რომ  
ქსოვილი „ხათაია“ მზადდებოდა ინდოეთშიც. ჩვენს ვანაჯრულებშია აგრეთვე სხვა საბუთები,  
საიდანაც ჩანს, რომ „ხათაიას“ ამზადებდნენ იგზდშიც (მასაღები საქართველოს ეკონომიური ისტო-  
რიისათვის, III, გვ. 271), ერთ საბუთში გვხვდება აგრეთვე „თურქესტან ხათაია“ (საქართველოს  
სიძველენი, II, გვ. 270).

<sup>92</sup> იქვე, გვ. 215.

<sup>93</sup> იქვე, გვ. 222.

<sup>94</sup> შაჰნავაზის მზითვის წიგნი, ივ. ჯ ა ვ ა ზ ი შ ვ ი ლ ი, 21, 22; მ. ი ა შ ვ ი ლ ი, გვ. 25,  
26, 27.

<sup>95</sup> მასაღები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 402.

<sup>96</sup> ქსნის ერისთავის დავითის ასულის ელენეს მზითვის წიგნი, გვ. 499, 500; საქართველოში  
შემოტანილი ინდური, შუა აზიური (აგრეთვე ჩინური) საქონლის სია საცხადო ვრცელია. ეს საქო-  
ნელი გვხვდება XVIII ს-ის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისის ქართულ საბუთებში, მაგრამ  
მათ ამაჟამად, გარკვეული მიზეზების გამო, არ განვიხილავთ.

<sup>97</sup> ქ. კ უ ც ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

ევროპული წყაროების (ადამ ოლეარიუსი, შარდენი, კარმელიტების ქრონიკა...) ცნობით ირანს ქალაქებში მრავალი ინდოელი ვაჭარი ცხოვრობდა<sup>98</sup>, რომელთაც ბუნებრივია, კონტაქტი ექნებოდათ ამიერკავკასიელ, კერძოდ ქართველ, ვაჭრებთანაც.

ირანის ქალაქებს გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდათ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. ირანის ქალაქებში მრავალი ევროპელი კომერსანტა ვაჭრობდა. ადამ ოლეარიუსი გვამცნობს, რომ ისპაანში ბითუმად და ცალობით ვაჭრობდნენ სხვადასხვა ეროვნების ვაჭრები (თურქები, ებრაელები, ინგლისელები, პოლანდიელები, ფრანგები, იტალიელები, ესპანელები, სომხები...), რომელთა შორის იგა ასახელებს ქართველებსაც<sup>99</sup>.

ირანიდან ევროპის ქვეყნებში ნაირგვარი საქონელი (ტყავეული, იარაღი, ოქრომკვდლობის ნიმუშები, თვალ-მარგალიტი, მინასა და ფაიფურის ჭურჭელი, ხალიჩები...) გაჰქონდათ. ამავე დროს ევროპიდან ირანში შემოდის მრავალი სახის საქონელი (ძირითადად ძვირფასი ქსოვალეები. ეს საქონელი შემდეგ ირანის ქალაქებიდან საქართველოშიც შემოაღწევდა ხოლმე. ამის დამადასტურებელი უნდა იყოს მზითვის წიგნებში ევროპული (ფრანგული) ძვირფასი ქსოვილების მოხსენიება. მაგალითისათვის მარტო შანნავაზის მზითვის წიგნიც კმარა, სადაც ხშირად გვხვდება „ფრანგული“ დიბა სხვადასხვა ფერისა (ყვითელი, ყირმიზი, ალისფერი, ფარუზისფერი), „ფრანგული“ ატლასი, „ფრანგულა“ ხარა (ყვითელი, ალისფერი, ყირმიზი), „ფრანგული“ ოქროსქსოვილი ხარა და სხვ.<sup>100</sup>

ზემოთმოტანილი მასალა აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ირანის ქალაქები შუამავლის როლში გამოდიოდნენ დასავლეთ ევროპის<sup>101</sup>, ინდოეთის<sup>102</sup> და შუა აზიას სახელმწიფოებსა და ამიერკავკასიის ქვეყნებს (კერძოდ საქართველოს!) შორის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის საქმეში (მოვიგონოთ ადამ ოლეარიუსისა და ტავერნიეს ცნობები!).

ასეთია, მოკლედ ქართული მზითვის წიგნების ცნობები ირანის ქალაქების შესახებ. როგორც ვხედავთ, ამ ცნობების საშუალებით შეიძლება, ნაწილობრივ მაინც, წარმოდგენა ვიქონიოთ ირანის ქალაქების ხელოსნური წარმოებას და სავაჭრო ვაჭრობის შესახებ.

რა თქმა უნდა, ზემოთ განხილული მზითვის წიგნების ცნობები ამომწურავი არაა. შემდგომი კვლევა-ძიება, ალბათ, ახალ, საინტერესო მასალას გამოავლენს.

<sup>98</sup> კ. ა კ ც ი ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 59, 60.

<sup>99</sup> ადამ ოლეარიუსი, დასახ. თხზულება, გვ. 727.

<sup>100</sup> შანნავაზის მზითვის წიგნი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, გვ. 20, 21, 22; მ. ი ა შ ვ ი ლ ი, გვ. 22—26.

<sup>101</sup> საქართველოში დასავლეთ ევროპული (ფრანგული) საქონელი შემოდის თურქეთის გზითაც.

<sup>102</sup> რასაკვირველია, გამორიცხული არაა, რომ ქართველი ვაჭრები უშუალოდ ინდოეთს წასვლიყვნენ სავაჭროდ. ჩვენს ხელთაა 1790 წლის მარტის 21-ით დათარიღებული საბუთი, საიდანაც ჩანს, რომ ქართველი ვაჭარი ინდოეთს დადიოდა სავაჭროდ. იხ. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, II, თბილისი, 1953, გვ. 280.



В. М. ГАБУЧЬЯН

## ОСЛАБЛЕНИЕ РЕГИОНАЛЬНОЙ ВАЛЮТНОЙ ГЕГЕМОНИИ АНГЛИИ ПОСЛЕ ВТОРОЙ МИРОВОЙ ВОЙНЫ

Валютные группировки под названием блоков возникли на первом этапе общего кризиса капитализма. Их образование было обусловлено, с одной стороны, обострением валютных противоречий империалистических стран, с другой — кризисом колониальной системы. На втором и третьем этапах общего кризиса капитализма сильнее проявился колониальный характер этих группировок. Основная их миссия — обеспечить региональную гегемонию данной валюты. После второй мировой войны эти группировки стали называться зонами. Существуют стерлинговая зона, зона доллара, франка, гульдена, лиры, эскудо, песеты. Самая крупная валютная группировка капиталистического мира — это стерлинговая зона, картина развития которой дает представление о ходе изменения региональной валютной гегемонии Англии.

Само собой разумеется, что во времена былого могущества британской империи не нужно было проводить специальную политику для обеспечения валютной гегемонии метрополии. Крушение колониальной системы капитализма, распад британской колониальной империи поставили перед Англией новые проблемы. Встал вопрос сохранения неоколониальными методами экономической зависимости народов бывших колоний. В этих условиях возникли Британское содружество наций и стерлинговая группировка.

Предпосылки, необходимые для образования стерлинговой группировки, были созданы всем предшествующим ходом развития мировой капиталистической экономики. Основное из них — завоевание Англией господствующего положения в мировой промышленности и международной торговле. Значительная часть мировой торговли, особенно продажа сырьевых материалов и подавляющая часть реэкспорта, проходили через морские ворота Англии. Страны, торговавшие между собой, чаще всего в качестве обменной валюты использовали фунты стерлингов, а часть своих капиталов хранили в английских банках. Каналы монетарной связи между Англией и странами ее империи возникли в XIX веке. Фунт стерлингов становился обменной валютой и в таких сделках, в которых Англия не принимала участия. Более того, во многих странах он стал выполнять роль их национальной валюты. Не имея своей собственной финансово-валютной системы, колониальные и полуколониальные страны все сделки, связанные со своими ликвидными средствами, совершали на Лондонском денежном рынке. Еще не зная дефицита платежных балансов, Лондон в экспорте капиталов играл главную роль.

Англия была вне конкуренции в области мирового судоходства, банкового и страхового предпринимательства. Большую роль сыграло основание разных англо-колониальных банков, центром которых являлся Лондон. Но вместе с тем, нельзя полагать, что в этот период уже была создана стерлинговая группировка, т. к., с одной стороны, проблема создания валютной зависимости других стран еще не возникла, а с другой еще действовал золотой стандарт. Существование



последнего исключало возможности регулирования механизма международных валютных отношений.

Углубление кризиса и распад колониальной системы со всей остротой поставили вопрос об организации стерлинговой группировки, что стало возможным после отказа Англии от золотого стандарта в 1931 году. Следовательно, история стерлинговой группировки началась с 1931 г. под названием «стерлинговый блок». Он не был закреплен соглашениями или другими юридическими актами. Несмотря на такое название, он был группировкой без определенных, установленных законов.

Механизм стерлингового блока действовал по принципам: добытое в его пределах золото, как правило, продавалось в Лондоне на фунты стерлингов. Резервы этих стран хранились в Лондоне в виде стерлинговых авуаров; эти средства объявлялись свободными, но их использование фактически находилось под контролем английского правительства. Таким образом, Англия получило в свое распоряжение всю валютную, в том числе и долларовую выручку этих стран. Обмен иностранной валюты они производили в Лондоне. Англия брала на себя обязательство в случае необходимости обменивать фунты стерлингов на другие валюты, предоставлять кредиты и разрешила эмиссию их ценных бумаг на Лондонской бирже.

Активное сальдо балансов с нестерлинговыми странами использовалось стерлинговыми странами для покрытия их хронического дефицита торгового баланса с Англией. Расчеты стерлингового блока по сделкам с другими странами покрывались в Лондоне. Разрешалось свободное передвижение капиталов из Англии в страны стерлинговой группировки. Эти страны поддерживали устойчивый курс своих национальных валют к фунту стерлингов. В пределах группировки не было валютных ограничений, фунты стерлингов свободно переводились.

Стерлинговый блок дал Англии возможность закупать товары в странах группировки на фунты стерлингов. Эти страны, в свою очередь, чтобы использовать фунты стерлингов, вынуждены были покупать в основном английские товары. Следовательно, стерлинговый блок был механизмом для усиления экономической зависимости стран, членов этой группировки, не только чисто монетарно-валютными, но и внешнеторговыми рычагами. Однако, поддерживала в этот период внешнеторговые позиции Англии в основном система имперских преференций, возникшая в 1932 г. на основе решений Оттавской конференции.

Как в функциональном, так и в юридических аспектах очевидны различия между системой имперских преференций и стерлинговой группировкой. Что касается их территориального охвата, то надо сказать, что в стерлинговую группировку никогда не входили члены Содружества — Канада и Ньюфаундленд. С другой стороны, в 1931—1939 гг. членами стерлинговой группировки являлись не только страны Британского содружества наций (кроме вышеупомянутых), но и Скандинавские страны, Португалия, Исландия, Египет, Таиланд, Аргентина, Япония, большая часть которых не была участницей ни Содружества, ни Оттавской конференции.

В период 1931—1939 гг. стерлинговая группировка охватывала значительную территорию. Причины участия в блоке разных стран были различными. Такие страны, как Аргентина, Япония, Бразилия по сути дела не были заинтересованы в членстве блока. Они использовали английскую валюту лишь постольку, поскольку их заинтересовал

курс своих валют по отношению к фунту стерлингов больше, чем какой-нибудь другой валюте.

Попытки укрепить стерлинговый блок юридическими актами и усилить региональную валютную гегемонию Англии привели к его территориальному сужению. Еще до начала II мировой войны из него вышли ряд стран. Это было следствием сложившейся политической обстановки, угрозой назревающей войны и массовым притоком золота из Европы в Америку. Когда началась II мировая война, в стерлинговую зону входили кроме стран Содружества, только Египет и Ирак.

В период войны произошел ряд изменений. К фунту стерлингов примкнуло большинство воюющих против гитлеровской Германии капиталистических стран. В 1940 г. было принято несколько юридических актов и законопроектов, оформивших статус зоны. Прекратилась свободная обратимость фунта стерлингов на другие валюты и стерлинговая зона стала определяться как зона контроля валютного обмена. Была установлена система валютного присмотра с целью контроля за передвижением капиталов.

Важным новшеством был организованный «долларовый пул», согласно которому страны, участницы стерлинговой зоны, свою долларовую выручку должны были сосредоточить в Лондоне в „Exchange Equalisation Account“.

Итак, значительная часть приобретенных ими долларов (следовательно и всех других валют) фактически обменивались на фунты стерлингов. А доллары при необходимости они могли получить в Английском банке. И хотя было установлено, что они имели право получить доллары в «пуле», но это было ограничено системой контроля над импортом этих стран. Более того, «судоходный пул», возникший вследствие трудностей мирового торгового судоходства, фактически лишил эти страны возможности пользоваться правом импорта товаров из государства, не входящих в стерлинговую зону. Усилилась валютная зависимость стран этой зоны от Лондона.

Несмотря на эти выгодные для фунта стерлинговые условия, после II мировой войны в стерлинговой зоне сложилась неблагоприятная для Англии обстановка. Она имела очень большие долги. В годы войны стерлинговые авуары приняли такие размеры, что в случае необходимости, Англия оказалась бы не в состоянии погасить их ни конвертируемой валютой, ни товарами. Более того, активные платежные балансы США образовали «долларовый голод». В этих условиях возникла необходимость контролировать и регулировать использование резервов через механизм стерлинговой зоны. Правда, определенной системы контроля не существовало, но центральные банки обязались ограничить использование валют других стран. Капитальные вложения в нестерлинговой зоне сократились. Каждая страна — участница должна была покрыть внешние обязательства за счет поступлений извне. Эти условия остались в силе до конца 50-х и начала 60-х годов, когда стерлинговые авуары значительно сократились.

После II мировой войны Англия хотела выйти из экономического затруднения с помощью американского кредита в сумме 3,75 млрд. долларов. Одним из условий получения этого кредита было обязательство Англии восстановить свободную обратимость фунта стерлингов, что и было объявлено в июле 1947 г. Но международный авторитет английской валюты, в частности, ее позиции для обеспечения региональной гегемонии в рамках стерлинговой зоны не могут определяться тем или иным актом валютной политики. Они зависят, прежде всего, от состояния английской экономики, ее позиций в мировой системе





капиталистического хозяйства. Из главных западноевропейских валют в 1947 г. только фунт стерлингов стал свободно конвертируемой валютой, превратился в своего рода мост, через который западноевропейские страны могли легко приобрести доллары. Центральные резервы Англии стали использоваться в роли кислородной подушки свободной обратимости фунта стерлингов. Но ни это, ни замораживание оставшегося после войны долга в 4000 млн. фунта стерлингов, ни другие меры не могли помочь делу сохранения обратимости фунта стерлингов. Американский кредит, который предусматривалось использовать в течение 3-х лет, был израсходован за 1 год. В течение пяти недель на американские доллары обменялись намного больше фунтов стерлингов, чем требовалось для сделок по текущим операциям. Свободная обратимость фунта стерлингов прекратилась после пятидневного существования. Попытка возвращения к ней была предпринята только через 11 лет.

Эксперимент 1947 года был неудачен, во-первых потому, что английская валюта была переоценена, вследствие чего исключалась возможность уравнивания платежных балансов страны. С открытием рынка иностранных валют стала известна «реальная» стоимость фунта стерлингов. В период с 1947 по 1959 г. его курс почти всегда был на высшей точке в рамках допускаемых колебаний (2,82 долл.) и очень редко на низшей (2,78 долл.). Во-вторых, в условиях тогдашнего «долларового голода» с введением свободной обратимости фунта стерлингов почти все резервы английской валюты стран стерлинговой зоны стремились обменяться на доллары. И, в-третьих, золотые и долларовые резервы Великобритании не отвечали существующим требованиям.

В сентябре 1947 г. на освещении Министров финансов стран Содружества впервые обсуждались вопросы усиления валютного контроля в рамках стерлинговой зоны. Документы, принятые как на этом, так и на последующих совещаниях, были направлены на оздоровление механизма стерлинговой зоны. В документе, принятом о валютном контроле страны, участницы стерлинговой зоны, были перечислены в приложении и отсюда их стали называть «приложенные в списке территории» („Scheduled Territories“). В этом же году Южная Африка отказалась от участия в «долларовом пуле», но из состава зоны не вышла.

Последующие годы также были неблагоприятными для стерлинговой зоны. Фунту стерлингов было все труднее обеспечить региональную валютную гегемонию Англии. В связи с тем, что дефицитность платежных балансов приписывалась искусственно повышенному долларовому содержанию фунта стерлингов (4,03 долл.), которое было установлено в 1945 году, в сентябре 1949 г. фунт стерлингов был девальвирован на 30 процентов. Его паритет был снижен до 2.80 долларов. Почти одновременно девальвацию провели другие страны, в том числе и все члены стерлинговой зоны (за исключением Пакистана, где девальвация была проведена только в 1955 г.). Хотя процент девальвации в разных странах отличался, все таки в итоге это означало всеобщее повышение «стоимости» американского доллара.

Война, развязанная в Корее в 1950 году, отрицательно сказалась на платежном балансе Великобритании. Достаточно сказать, что дефицит баланса в 1951 году составил 400 миллионов фунтов стерлингов. С другой стороны, цены поднимались такими темпами, что девальвация 1949 г. не привела к ожидаемому эффекту.

После отказа от неудачного эксперимента в июле 1947 г. обрати-



мость фунта стерлингов осталась в силе лишь для сделок между странами стерлинговой зоны или между их резидентами. В 1950-х годах с сокращением стерлинговых авуаров и появлением возможности отказаться от строгого валютного контроля, начались подготовительные работы для новой попытки восстановления полной обратимости фунта стерлингов. Вначале отдельные страны заключили двусторонние соглашения. Затем для свободной обратимости английской валюты был создан новый канал — «переводный счет», число участников которого постепенно увеличивалось и, наконец, охватило все страны стерлинговой зоны.

Итак, фунт стерлингов стал обратимым в трех сферах: а) «американском счете» (США, Канада и некоторые государства центральной Америки); б) «переводном счете» и в) стерлинговой зоне. Однако между этими кругами обратимости не было. В январе 1959 года фунт стерлингов стал обратимым для иностранных владельцев; первые два счета слились в один и установилась «Нерезидентная» обратимость. Механизм валютного контроля продолжал ограничивать приобретение британскими резидентами иностранной валюты. Эта система не была сходной с обратимостью, существовавшей до 1939 года, так как сохранился барьер между стерлинговой зоной и остальным миром. Хотя в 1959 г. эти ограничения были смягчены, однако английские заграничные капитальные вложения остались под строгим контролем.

Подобное восстановление обратимости фунта стерлингов, смягчение валютных ограничений отнюдь не являются признаками выздоровления английской валюты. Она находилась в кризисном состоянии в 1951, 1955 и 1961 гг., когда иностранные владельцы фунта стерлингов изымали большие суммы из Лондона. Такова была реакция к падению доверия, к снижению международного авторитета фунта стерлингов в результате усиления трудностей платежных балансов Великобритании. Это стало проблемой для экономики Англии даже в период с 1950 до 1963 года, когда ее платежные балансы были дефицитными только трижды: в 1955, 1960 и 1961 гг.

В 1956 году, впервые в XX веке, был активен даже торговый баланс страны. Однако все это не опиралось на прочную основу, с одной стороны, и, с другой — золотые и долларовые резервы Англии не отвечали требованиям международной роли ее валюты.

Состояние платежных балансов страны, валюта которой считается резервной, имеет особо важное значение. От этого, в первую очередь зависит авторитет и доверие к английской валюте, являющейся якорем стерлинговой зоны. Более того, Лондон является распорядителем не только стерлинговой зоны, но и большого количества иностранных фондов, поступающих чаще всего из Европы. В условиях неравноценностей и продолжающейся неустойчивости платежных балансов Англии на валютном рынке Лондона преобладает мрачная атмосфера, вследствие чего эти фонды резко сокращаются. Тем самым уменьшаются возможности Англии предоставлять капиталы странам стерлинговой зоны. А это значит, что ослабляются позиции Англии для обеспечения региональной гегемонии ее валюты.

На третьем этапе общего кризиса капитализма отношения в стерлинговой зоне приняли новый характер. После окончания второй мировой войны сотрудничество стран зоны еще строилось на доверии к фунту. Но теперь, с одной стороны, перед народами, завоевавшими политическую независимость, во весь рост встали собственные экономические проблемы, с другой стороны, хронический характер приобрели трудности английской экономики, в перманентном кризисе



